



USAID
აშერიკელი ხალხისგან

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

საქართველოს მეწარმეთა
შესახებ კანონპროექტის
რეგულირების ზეგავლენის
შეფასება

ISET

International School of Economics at TSU
Policy Institute

MG
L A W

თბილისი

2018

წინამდებარე ანგარიში მომზადდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ევროპულ სტანდარტებთან სამხრეთ კავკასიის სამართლებრივი დაახლოების პროგრამის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) დაკვეთით. ანგარიშის შინაარსი შესაძლოა, არ გამოხატავდეს GIZ-ის შეხედულებებს.

ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარებით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით. ანგარიში მომზადდა აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) ფარგლებში. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი ორგანიზაცია. იგი არ წარმოადგენს ამერიკის მთავრობის ოფიციალურ მოსაზრებას და არ ასახავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს.

სარჩევი

შემაჯამებელი მიმოხილვა.....	4
I. პრობლემის განსაზღვრა	8
A. პოლიტიკის/კვლევითი შინაარსი.....	8
B. გამოყენებული ინფორმაცია და წყაროები	10
C. 2030 წლის დღის წესრიგის ინტეგრირება.....	13
D. დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა.....	14
E. ჩარევის დასაბუთება.....	26
მეწარმეთა შესახებ კანონის საკანონმდებლო გამოწვევების სამართლებრივი მხარეები	28
F. საბაზისო მდგომარეობის აღწერა	30
საქართველოს კერძო სექტორის არსებული სტრუქტურა	30
ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ინდიკატორები.....	33
საკანონმდებლო ჩარჩო და ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურა	36
II. მიზნები	43
A. ზოგადი მიზნები.....	43
B. კონკრეტული და საოპერაციო მიზნები.....	43
III. პოლიტიკის ვარიანტები.....	46
IV. გავლენების ანალიზი.....	49
A. ხარჯსარგებლიანობის ანალიზი	52
გაანალიზებული პოლიტიკის ჩარევები და მათი მოსალოდნელი გავლენა	52
შეფასებული პოლიტიკის ჩარევების რაოდენობრივი ანალიზი.....	55
ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის შეჯამება	61
B. სასამართლო პრაქტიკა შერჩეულ დებულებებზე	67
C. უფრო ფართო გავლენა	68
D. მდგრადი განვითარების მიზნები	72
V. ვარიანტების შედარება მრავალკრიტერიუმიანი ანალიზის გამოყენებით	75
VI. მონიტორინგისა და შეფასების გეგმა	78
VII. პროცედურული საკითხები და კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან.....	80
A. ორგანიზაცია და დრო	80
B. კონსულტაციები და ექსპერტიზა.....	81
გამოყენებული ლიტერატურა.....	83
დანართი I – დაინტერესებული მხარეების კითხვარი	85
დანართი II – გამოკითხული დაინტერესებული მხარეების სია.....	86
დანართი III – დირექტივების მოკლე შემაჯამებელი მიმოხილვა.....	89
დანართი IV – შედარებითი ანალიზი.....	92
დანართი V - ევროკავშირის დირექტივებთან შესაბამისობის ანალიზი (დაინტერესების შემთხვევაში მოგვწერეთ).....	120
დანართი VI - სასამართლო პრაქტიკის ანალიზი შერჩეულ დებულებებზე (დაინტერესების შემთხვევაში მოგვწერეთ).....	120

შემაჯამებელი მიმოხილვა

პოლიტიკის კონტექსტი. 2013 წელს საქართველოს მეწარმეთა შესახებ მოქმედი კანონის გაუმჯობესების მიზნით ჩატარებული საჯარო კონსულტაციების შემდეგ შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა საქართველოს მეწარმეთა შესახებ ახალი კანონი („კანონპროექტი“). სამუშაო ჯგუფი შეიქმნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კერძო სამართლის რეფორმის განმახორციელებელი საკონსულტაციო საბჭოს ფარგლებში. სამუშაო ჯგუფის პარტნიორი იყო აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი, რომელიც ახორციელებდა USAID-ის მიერ დაფინანსებული მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერებისა და მოგვიანებით კანონის უზენაესობის მხარდაჭერის (PROLoG) პროექტებს საქართველოში. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ ქართული სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები, იურისტები. ჯგუფს კონსულტაციებს უწევდნენ საერთაშორისო ექსპერტები.

ჯგუფის თავდაპირველი მიზანი იყო მთელი რიგი დისპოზიციური წესების შემუშავება, რომელთა საფუძველზე მხარეები შეძლებდნენ ხელშეკრულების გაფორმებას დამატებითი პირობებით. ამას უნდა გაეზარდა საკანონმდებლო გარემოს ეფექტიანობა და შეემცირებინა გაურკვევლობა, რაც უზრუნველყოფდა კანონის უკეთეს განხორციელებასა და აღსრულებას. ევროკავშირთან გაფორმებულმა ასოცირების შესახებ შეთანხმებამ საჭირო გახადა, კანონპროექტში შესულიყო ახალი იმპერატიული და დისპოზიციური დებულებები.

კონსულტაციების პროცესი. ჩატარდა მრავალმხრივი და ყოვლისმომცველი კონსულტაციები. დაინტერესებულ მხარეთა თითოეული ჯგუფისთვის შემუშავდა განსხვავებული კითხვარები, ოფიციალური კონსულტაციები/ინტერვიუები მომზადდა და ჩატარდა იურისტებთან, ბიზნეს ასოციაციებთან, საინვესტიციო კომპანიებთან, მთავრობის უწყებებთან, სამოქალაქო საზოგადოებასა და კვლევით ინსტიტუტებთან. ჯამში 40 დაინტერესებულ მხარესთან 26 შეხვედრა გაიმართა.

დაინტერესებულ მხარეებს ვთხოვეთ, საკუთარი აზრი გამოეხატათ მომავალი კანონის ძირითად მუხლებზე. დაინტერესებულ მხარეთა უმეტესობა შეთანხმდა, რომ მეწარმეთა შესახებ მოქმედი კანონი („მოქმედი კანონი“) ერთგვარ გადახედვას საჭიროებდა. თუმცა ახალი კანონის იდეალურ სტრუქტურაზე შეხედულებები განსხვავდებოდა. დაინტერესებულ მხარეთა შეხედულებები შეჯამებულია ანგარიშის I ნაწილში.

მეწარმეთა შესახებ კანონპროექტის ორი უმთავრესი გამოწვევა არის: 1) ნორმებისა და პრაქტიკის ეფექტურობის გაზრდა ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, 2) ევროკავშირის მეწარმეთა შესახებ კანონთან ეფექტიანი ჰარმონიზაცია.

მოქმედი კანონი 1994 წლის 28 ოქტომბერს დამტკიცდა, რის შემდეგაც კორპორაციული ურთიერთობების მოცულობა და სირთულე მნიშვნელოვნად გაიზარდა. ზოგადად მიღებულია, რომ 2008 წელს კანონში შეტანილი ცვლილებების მიზანი იყო სამართლებრივი დებულებების შემცირებისა და სხვადასხვა სამართლებრივი მოთხოვნების გაუქმების მეშვეობით კანონის გამარტივება. ამკარაა, 2008 წელს შეტანილმა ცვლილებებმა და მისმა ლიბერალურმა დამოკიდებულებამ ხელი შეუწყო კორპორაციული ურთიერთობების მთელი რიგი მხარეების განვითარებას, თუმცა მან სასტიკი კრიტიკაც დაიმსახურა. კერძოდ,

კრიტიკოსები საუბრობდნენ მეტი რეგულირებისა და საწარმოთა სისტემის, როგორც ბიზნესისა და ფინანსების ინსტრუმენტის მზარდი და ცვალებადი გამოყენების ეფექტური კონტროლის საჭიროებაზე. საუბარია სისტემით ბოროტად სარგებლობის შესაძლებლობების არიდებაზე, რის შესაძლებლობასაც მოქმედი კანონი უზვად იძლევა. ზოგადად, ითვლება, რომ მოქმედი კანონით გათვალისწინებული მცირე რეგულირება ზღუდავს მოსამართლეებსა და ადვოკატებს კორპორაციული დავების გადაწყვეტისას, სადაც მოქმედი კანონი საერთოდ არ იძლევა მკაფიო ამონახსნებს. შესაბამისად, მიზანია გაურკვევლობების შემცირება, მეწარმეთა შესახებ კანონის „ხარვეზების შემავსებელი“ როლის გაძლიერება, მთელი რიგი ინსტრუმენტების შემოღება, რომლებიც უფრო ეფექტურად გააკონტროლებს შესაძლებლობებზე დაფუძნებულ ქცევას, რაც გაზრდის კანონის ეფექტიანობას ფინანსებზე უკეთესი წვდომის თვალსაზრისით.

მეორე გამოწვევა დაკავშირებულია ასოცირების დღის წესრიგის დანერგვასთან, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნების შემოღებას, რომლებიც განსხვავდება მოქმედი კანონის მოთხოვნებისგან. 2012/30/EU დირექტივა (ყოფილი კომპანიების შესახებ კანონის მე-2 დირექტივა), რომელიც ეხება საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს და მათი კაპიტალის შენარჩუნებისა და შეცვლის წესებს, ყველაზე დიდ გავლენას მოახდენს მეწარმეთა შესახებ ახალი კანონის შექმნასა და განხორციელებაზე. მიზანი, შესაბამისად, არის ვალდებულებების შესრულება ისე, რომ უსარგებლო ტვირთი არ დააწვეს საქართველოს კერძო სექტორს.

აღნიშნული რეგულირების გავლენის შეფასების (RIA) ფარგლებში განხილულია შემდეგი პოლიტიკის ვარიანტები:

1. მეწარმეთა შესახებ მოქმედი კანონი არ იცვლება (სტატუს-ჟეო). ალტერნატიული პოლიტიკური ჩარევები, მე-2 და მე-3 ვარიანტები დარდება სტატუს-ჟეოს, რათა დავადგინოთ/შევაფასოთ მსგავსი სხვა ალტერნატივების წმინდა სარგებელი.
2. მე-2 ვარიანტი არის პოლიტიკის სცენარი, რომელშიც კანონპროექტის ყველა ძირითადი დებულება გათვალისწინებულია. მთელი რიგი დებულებები ეხება როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს (შპს), ისე სააქციო საზოგადოებებს (სს), ამიტომ შეფასებისას ყურადღებას ვამახვილებთ, რა გავლენა ექნება რეფორმის ამ ვერსიას სს-ებსა და შპს-ებზე.
3. მე-3 ვარიანტი არის მე-2 ვარიანტის სახეცვლილება, რომელშიც ყველა იმპერატიული დებულება, რომელიც ასოცირების შესახებ შეთანხმებით არ არის სავალდებულო, ამოღებულია. უფრო კონკრეტულად, ჩვენ შევაფასებთ წარდგენილი რეგულაციების გავლენას სს-ებზე, როგორც გათვალისწინებულია ასოცირების შესახებ შეთანხმებით და გამოვრიცხავთ შპს-ებს კანონპროექტით გათვალისწინებული მოთხოვნებისგან.

მრავალკრიტერიუმის ანალიზის საფუძველზე ვარიანტების შედარება

შეფასების კრიტერიუმები	1-ლი ვარიანტი	მე-2 ვარიანტი	მე-3 ვარიანტი
ცვლილებით გამოწვეული ხარჯები (წმინდა მიმდინარე ღირებულება)	-	- 36.7 მლნ. ლარი	- 3.9 მლნ. ლარი
ეფექტურობა 1 (ნორმებისა და პრაქტიკის ეფექტურობის გაზრდა ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით)	+	+++	++
ეფექტურობა 2 (ევროკავშირის მეწარმეთა შესახებ კანონთან ეფექტიანი ჰარმონიზაცია)	+	++	+++
განხორციელებადობა / ჰარმონიზების სიმარტივე	+++	+	++
პოტენციური რისკების შემცირება	0	--	-
გარეგანი სარგებლის გაზრდა	0	+++	++

ვარიანტების შეფასება

ანალიზის თანახმად, ყველა ვარიანტს აქვს გარკვეული უპირატესობა. ვარიანტების რეიტინგი შეიძლება შეიცვალოს იმის მიხედვით, თუ რომელ კრიტერიუმს მივანიჭებთ უფრო დიდ წონას/მნიშვნელობას.

მოტივაცია

1-ლი ვარიანტი (საბაზისო სცენარი) დანარჩენ ვარიანტებთან შედარებით უპირატესია განხორციელებადობის/ჰარმონიზების სიმარტივის კრიტერიუმით, რადგან აღნიშნული ვარიანტის განხორციელების ნამატი ვალდებულებები არის ნული.

მე-2 ვარიანტი საუკეთესოა რეფორმის პირველი ამოცანის შესრულების თვალსაზრისით. ჩვენი შეფასებით, ეს არის ვარიანტი, რომელიც ყველაზე მეტად ზრდის მეწარმეთა შესახებ კანონის წესებისა და პრაქტიკის ეფექტურობას, რათა გაძლიერდეს ფინანსებზე წვდომა. მე-2 ვარიანტი ყველაზე ეფექტურია რეფორმის დადებითი (და არსებითი) არაპირდაპირი ეფექტის მაქსიმიზაციის თვალსაზრისითაც, თუმცა ამ ვარიანტის განხორციელება ყველაზე რთულია და შედარებით ცუდ შედეგებს იძლევა ხარჯების (მაგალითად, წმინდა მიმდინარე ღირებულების) ეფექტიანობის მხრივ. ამავდროულად ვარიანტს უკავშირდება რისკების ყველაზე მაღალი დონეც.

და ბოლოს, მე-3 ვარიანტის რეიტინგი ყველაზე მაღალია სხვა ვარიანტებთან შედარებით ეფექტურობის მეორე კრიტერიუმის მიხედვით. ეს ვარიანტი იძლევა ევროკავშირის დირექტივებთან სრული ჰარმონიზაციის საშუალებას ყველაზე მცირე ხარჯებით. ეს ვარიანტი აღემატება მე-2 ვარიანტს პოტენციული რისკების შემცირების თვალსაზრისითაც. თუმცა იგი შედარებით ცუდ შედეგებს იძლევა 1-ლ და მე-2 ვარიანტთან შედარებით სხვა კრიტერიუმებით, მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე დაბალანსებულია, რადგან არც ერთი კრიტერიუმით არ აქვს ყველაზე ცუდი შედეგი.

I. პრობლემის განსაზღვრა

A. პოლიტიკის/კვლევითი შინაარსი

2013 წელს, საქართველოში მეწარმეთა შესახებ მოქმედი კანონის გაუმჯობესების შესახებ საჯარო კონსულტაციების შემდეგ, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც უნდა შეემუშავებინა მეწარმეთა შესახებ ახალი კანონპროექტი. სამუშაო ჯგუფი შეიქმნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კერძო სამართლის რეფორმის განმახორციელებელი საკონსულტაციო საბჭოს დაქვემდებარებაში. პროექტის პარტნიორი იყო EWMI-PROLoG. ჯგუფში შედიოდნენ აკადემიური წრეების წარმომადგენლები და სამართლის სპეციალისტები. ჯგუფს კონსულტაციებს უწევდნენ საერთაშორისო ექსპერტები.

ჯგუფის თავდაპირველი მიზანი იყო მთელი რიგი დისპოზიციური წესების შემუშავება, რომელთა საფუძველზე მხარეები შეძლებდნენ ხელშეკრულების გაფორმებას დამატებითი პირობებით. ამას უნდა გაეზარდა საკანონმდებლო გარემოს ეფექტიანობა და შეემცირებინა გაურკვევლობა, რაც უზრუნველყოფდა კანონის უკეთეს განხორციელებასა და აღსრულებას. ევროკავშირთან გაფორმებულმა ასოცირების შესახებ შეთანხმებამ დამატებით საჭირო გახადა ახალი დებულებები, როგორც იმპერატიული, ისე დისპოზიციური. მეწარმეთა შესახებ კანონის, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის, კორპორაციული მმართველობის დებულებები შესულია ასოცირების შესახებ შეთანხმების 316-319 მუხლის VI თავში („თანამშრომლობის სხვა სფეროები“).

316-ე მუხლი ხაზს უსვამს ეფექტურ საკანონმდებლო ჩარჩოსა და პრაქტიკას:

„აღიარებენ რა, სრულყოფილად ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკის შექმნისა და ვაჭრობის წახალისებისთვის, ეფექტური წესებისა და პრაქტიკის მნიშვნელობას კორპორაციული სამართლისა და კორპორაციული მმართველობის, ასევე ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროებში, მხარეები თანხმდებიან, რომ ითანამშრომლებენ შემდეგ სფეროებში:

- (a) აქციონერთა, კრედიტორთა და სხვა ბიზნეს პარტნიორთა დაცვა აღნიშნულ სფეროში ევროკავშირის წესების შესაბამისად;
- (b) ეროვნულ დონეზე შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა და ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში ევროკავშირის წესებთან ეტაპობრივი დაახლოება; და
- (c) კორპორაციული მმართველობის პოლიტიკის შემდგომი განვითარება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე ამ სფეროში ევროკავშირის წესებთან და რეკომენდაციებთან ეტაპობრივი დაახლოება.“

317-ე და 318-ე მუხლები ავალდებულებს მხარეებს, ერთმანეთს გაუზიარონ ინფორმაცია და პროფესიული გამოცდილება, როგორც არსებულ სისტემებზე, ისე შესაბამის სიახლეებზე, რეგულარულად გამართონ დიალოგები. შეთანხმების 319-ე მუხლის თანახმად კი, საქართველო ეროვნულ კანონმდებლობას დაუახლოვებს შეთანხმების XXVIII დანართში

მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებსა და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებს, ამავე დანართის დებულებების შესაბამისად.

ქვემოთ მოცემული ცხრილში 1 შეჯამებულია კომპანიების შესახებ (კერძოდ კი მეწარმეთა შესახებ კანონპროექტთან) კანონთან დაკავშირებული ევროკავშირის დირექტივები და გარდამავალი პერიოდისთვის საჭირო დრო.

ცხრილი 1: ევროკავშირის ძირითადი დირექტივები და დაახლოების განრიგი

ევროკავშირის დირექტივები ¹	განრიგი	სფერო	შენიშვნები
დირექტივა 2009/101/EC	5 წელიწადში	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ინფორმაციის გასაჯაროვება	კომპანიების ტიპები, რომელთაც არ შეეხებათ აღნიშნული დირექტივის 2(f) ² მუხლი, ასოცირების საბჭოს უნდა წარედგინოს აღნიშნული შეთანხმების ამოქმედებიდან არაუგვიანეს ერთი წლის ვადაში.
დირექტივა 2012/30/EU (ყოფილი 77/91/EEC)	3 წელიწადში	საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შექმნა, კაპიტალი და კაპიტალის ცვლილება	მინიმალური კაპიტალის ვალდებულება უნდა განიმარტოს, ასოცირების საბჭოს კი საბოლოო გადაწყვეტილება წარედგინება შეთანხმების ამოქმედებიდან არა უგვიანეს 3 წლის ვადაში.
დირექტივა 2011/35/EU (ყოფილი 78/885/EEC)	5 წელიწადში	საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების შერწყმა	
დირექტივა 82/891/EEC	5 წელიწადში	საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის	

¹ ევროკავშირის დირექტივებზე დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. დანართი III

² ყოველი ფისკალური წლის საბუღალტრო დოკუმენტაციის გამოქვეყნებაზე, რაც ამჟამად ქართული კანონით რეგულირდება, იხ. 2016 წელს ამოქმედებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონი

		საზოგადოებების გაყოფა	
დირექტივა 89/666/EEC	5 წელიწადში	ინფორმაციის გამხელის ვალდებულება ეხება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიერ წევრ ქვეყანაში გახსნილ ფილიალს მეორე წევრი ან ევროკავშირის არაწევრი ქვეყნიდან	
დირექტივა 2009/102/EC	2 წელიწადში	ერთ- პარტნიორიანი კომპანიები	შპს-ები, რომელთა ბრუნვა აღემატება 1 მილიონ ევროს

კანონპროექტი ითვალისწინებს ვალდებულებებს, რომლებიც არსებითად განსხვავდება მოქმედ კანონში არსებული ვალდებულებებისგან. კანონპროექტის მიერ დადგენილი ძირითადი ცვლილებები ეხება კომერციული საქმიანობის თითქმის ყველა მხარეს. კანონპროექტი წარმოადგენს დამატებით კორპორაციულ თანხმობებსა და ნებართვებს, მინიმალური კაპიტალის ვალდებულებას სს-ებისთვის და სარეზერვო კაპიტალის შექმნას, უამრავ სხვასთან ერთად. კერძოდ, დირექტივას 2012/30/EU (ცნობილია, როგორც მე-2 დირექტივა), რომელიც ეხება საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს და განკარგავს მათი კაპიტალის შექმნისა და ცვლილების პირობებს, ექნება ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა კანონპროექტის შემუშავებასა და განხორციელებაზე.

B. გამოყენებული ინფორმაცია და წყაროები

აღნიშნული რეგულირების გავლენის შეფასებისას ძირითად გამოვიყენეთ 2008 წელს ევროკომისიის დაკვეთით დელოიტის, კაპგემინისა და რამბოლის კონსორციუმის მიერ ჩატარებული ადმინისტრაციული ხარჯების შეფასებების კვლევა. ეს კვლევა ეხება ევროკავშირის კანონმდებლობით და ეროვნული ღონისძიებებით განპირობებულ ვალდებულებებით წარმოშობილი ადმინისტრაციული ხარჯების შეფასებას საწარმოებისთვის.

ანგარიშში წარმოდგენილი კონსორციუმის გამოთვლები გაკეთებულია ევროკავშირის სტანდარტული ხარჯების მოდელის გამოყენებით. ამ მოდელის მთავარი პრინციპი გულისხმობს საწარმოებთან ინტერვიუების საფუძველზე დათვალოს ადმინისტრაციული ხარჯები, რომელიც წარმოიშობა ახალ კანონში გაწერილი ნორმის შესრულების საჭიროებისას (მაგალითად, კომპანიებს შეიძლება დაუდგეს შერწყმის პირობების ანგარიშის მომზადების საჭიროება). იმის მიხედვით, რამდენად ხშირად დგება სხვადასხვა საჭიროებები, მოდელი თითოეული საჭიროების ხარჯს ამრავლებს მთლიან რაოდენობაზე (საშუალო) მოცემული წევრი სახელმწიფოსთვის. შემდეგ ითვლება წევრი სახელმწიფოს წლიური მთლიანი ხარჯები. ანგარიშს თან ერთვის ქართული ეკონომიკისთვის დამახასიათებელი ინფორმაცია, როგორცაა საწარმოების რაოდენობა ზომის, სამართლებრივი ფორმის მიხედვით. ასევე, გაანგარიშებულია რეგულაციებთან შესაბამისობაში მოსვლისთვის საჭირო თითოეული ტიპის უნარ-ჩვევის საშუალო შრომითი ხარჯი საქართველოში ოპერირებადი კომპანიისთვის. მე-2 ცხრილში წარმოდგენილია ანგარიშში გამოყენებული ინფორმაცია და მონაცემები და აღნიშნული მონაცემების წყაროები.

ცხრილი 2: ორი ეტაპის განმავლობაში შეგროვებული მონაცემები და ინფორმაცია

მონაცემები და ინფორმაცია	გამოყენებული მეთოდი/წყარო
ბიზნესის სტატისტიკა • საწარმოების რაოდენობა • დამატებული ღირებულება, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ფიქსირებული აქტივები, დასაქმება	საქსტატი, ბიზნეს სტატისტიკა
სახელფასო განაკვეთები	საქსტატი – შინამეურნეობების ინტეგრირებული კვლევა (2015 წ.)
სასამართლო სტატისტიკა	საქართველოს უზენაესი სასამართლო; საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
იურიდიული პირების სესხების საპროცენტო განაკვეთი; სესხები ადგილობრივი საწარმოებისთვის; ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი, ნომინალური საპროცენტო განაკვეთი 10-წლიან ობლიგაციებზე (2017 წ.)	საქართველოს ეროვნული ბანკი
ბიზნესის კეთების ინდიკატორები; საწარმოების გამოკითხვა; კერძო სექტორის შიდა ვალი; სესხის განაკვეთი	მსოფლიო ბანკი

მონაცემები და ინფორმაცია	გამოყენებული მეთოდი/წყარო
გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი	მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი
რეალური მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი ერთ დასაქმებულზე; სოფლის მეურნეობის გარეთ თვითდასაქმებულთა წილი; მცირე ზომის საწარმოების წილი სექტორში მთლიან დამატებულ ღირებულებაში; სესხის ან საკრედიტო ხაზის მქონე მცირე ზომის საწარმოების წილი	მდგრადი განვითარების მიზნები
ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი	Heritage Foundation-ის ეკონომიკური თავისუფლება (2017 წ.)
მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი (რეალური)	საერთაშორისო სავალუტო ფონდი
სანოტარო მომსახურების ხარჯები	საქართველოს ნოტარიუსთა პალატა
ექსპერტთა შეფასების საფასური	სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
სამეთვალყურეო საბჭოს მქონე საწარმოების რაოდენობა; კომპანიის რეგისტრაციის საფასური; უკვე რეგისტრირებული ინფორმაციის შეცვლის ღირებულება	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

C. 2030 წლის დღის წესრიგის ინტეგრირება

2015 წლის სექტემბერში დამტკიცდა მდგრადი განვითარების დღის წესრიგი (დღის წესრიგი 2030), რის შემდეგაც საქართველოს მთავრობა აქტიურ მონაწილეობას იღებს აღნიშნული დღის წესრიგის შესრულებაში. საქართველომ აქტიური ზომები მიიღო, რათა მდგრადი განვითარების მიზნების დღის წესრიგი და მისი ამოცანები შესაბამისობაში იყოს ეროვნულ გარემოსთან და გაადგილოს მათი განხორციელება.

2030 წლის დღის წესრიგი სცდება 17 გაცხადებულ მიზანს, რომლებიც ყველა ქვეყანამ (მათ შორის საქართველომ) უნდა შეასრულოს. დღის წესრიგი ეფუძნება 5 ძირითად პრინციპს, რომლებიც არის სახელმძღვანელო ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე.

- უნივერსალურობა: მდგრადი განვითარების მიზნები ერთნაირად ეხება დაბალი, საშუალო და მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებს
- ინტეგრირებული მიდგომა: მდგრადი განვითარების (ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი) სამი განზომილების დარეგულირება განზომილებებს შორის ურთიერთკავშირებისა და ურთიერთობების გათვალისწინებით
- პასუხისმგებლობის განაწილება: ყველა მოთამაშემ – მთავრობებმა, დეპარტამენტებმა, სამოქალაქო საზოგადოებამ, კერძო სექტორმა, მეცნიერებამ – საკუთარი კომპეტენციის გათვალისწინებით უნდა გაითავისოს პასუხისმგებლობა მიზნების შესრულებაზე
- არავინ რჩება უკან: 2030 წლის დღის წესრიგის შესრულებისას ყურადღება უნდა დაეთმოს ნაკლებად პრივილეგირებულ, მარგინალიზებულ ჯგუფებს
- ანგარიშვალდებულება/მონიტორინგი და შეფასება: განხორციელების მიმდინარეობა უნდა იყოს შეფასებადი და შესაძლებელი უნდა იყოს პროცესისგან სწავლა, რათა შემუშავებული პოლიტიკა ეფექტური იყოს

RIA-ის გუნდი, აცნობიერებს რა დღის წესრიგის განხორციელებაში მის წილ პასუხისმგებლობას, განსაკუთრებულად იზრუნა, რომ RIA-ის ჩატარების ყველა ეტაპზე გათვალისწინებული ყოფილიყო 5 პრინციპი. წარდგენილი პოლიტიკის გავლენის გაანალიზებისას გამოყენებულ იქნა ინტეგრირებული მიდგომა, რაც გულისხმობს უამრავი დაინტერესებული მხარის, მათ შორის ნაკლებად პრივილეგირებული, მარგინალიზებული ჯგუფების ჩართულობას. ვარიანტების რანჟირებისთვის შემუშავებული კრიტერიუმები ითვალისწინებს მდგრადი განვითარების განზომილებებს (ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით) შორის სინერგიას და ხსნის მიზნებსა და ამოცანებს შორის კომპრომისების საკითხს. მეტიც, 2030 წლის დღის წესრიგთან მიმართებაში კანონპროექტის განხორციელების პროცესის შეფასების მიზნით კვლევამ წარმოადგენა მთელი რიგი შეფასებადი ინდიკატორები, რომლებიც მოიცავს სამივე განზომილებას.

D. დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა

უპირველეს ყოვლისა, მთავარი დაინტერესებული მხარეები დადგინდა და დაჯგუფთდა გავლენისა და ინტერესების მატრიცის ფორმატში. გავლენისა და ინტერესების მატრიცის ბალანსმა საშუალება მისცა RIA-ს გუნდს, გამოეკლინა ისეთი მარგინალიზებული ჯგუფები, როგორიცაა, მაგალითად, მცირე და საშუალო საწარმოები, რომლებზეც გავლენას მოახდენს კანონპროექტი და რომელთაც არ აქვთ საკმარისი ძალაუფლება და რესურსები, გავლენა მოახდინონ პოლიტიკის გადაწყვეტილებებზე. ამის საშუალებით, ყურადღება გამახვილდა მდგრადობის სოციალურ მხარეზე, რადგან მცირე და საშუალო საწარმოები ასაქმებენ საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს და, შესაბამისად, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქვეყნის სოციალური მოწყვლადობის აღმოფხვრაში. მე-3 ცხრილში წარმოდგენილია დაინტერესებული მხარეები გავლენისა და ინტერესების მატრიცაზე და მდგრადობის სამი განზომილება (ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი), რაც განხილულ იქნა ინტერვიუების დროს.

დაინტერესებულ მხარეთა თითოეული კატეგორიისთვის შეიქმნა განსხვავებული კითხვები. ოფიციალური კონსულტაციები/ინტერვიუები ჩატარდა იურისტებთან, ბიზნეს ასოციაციებთან, საინვესტიციო კომპანიებთან, საქართველოს მთავრობის უწყებებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, კვლევით ინსტიტუტებსა და უამრავ სხვა მხარესთან. ჯამში 40 დაინტერესებულ მხარესთან გაიმართა 26 შეხვედრა.

ცხრილი 3: დაინტერესებულ მხარეთა რუკა

გავლენა / ინტერესი	დაბალი გავლენა	მაღალი გავლენა
დაბალი ინტერესი	საერთაშორისო ორგანიზაციები (GIZ/ევროკავშირის პროექტი, USAID/EWMI, EBRD) ● ● ● სამართლებრივი/ბიზნესის საკონსულტაციო კომპანიები ● ● ●	მთავრობა (ფინანსთა სამინისტრო, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური, მონაცემთა გაცვლის სააგენტო, შემოსავლების სამსახური) ● ●
მაღალი ინტერესი	მთავრობა (ეროვნული ბანკი) ● ● მცირე და საშუალო ზომის საწარმოები ● ● მართლმსაჯულება ● ინვესტორთა საბჭო ●	ბიზნეს ასოციაციები/მსხვილი ბიზნესები ● ● ინვესტიციები/ბანკები ● მთავრობა (იუსტიციის სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო) ● ●
განზომილებები: ეკონომიკური ● სოციალური ● გარემოსდაცვითი ●		

ცხრილი 4: დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული ინტერვიუების შეჯამება

დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფები	პასუხების შეჯამება ³
სამართლის ექსპერტები/კონსულტანტები ნანა ამისულაშვილი – იურიდიული ფირმა VBAT, პარტნიორი თამთა ივანიშვილი – იურიდიული ფირმა BLC, უფროსი იურისტი ქეთევან ბაშინურიძე – შპს ქართველი ადვოკატები, პარტნიორი მარინა გულედანი – CFS Legal გულედანი და პარტნიორები, დამფუძნებელი პარტნიორი ნონა ზუბიტაშვილი – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, იურისტი ლინა ჯიქია – ამჟამის მიერ საქართველოში, დიდ ბრიტანეთსა და	ყველა გამოკითხული ექსპერტი თანხმდება, რომ არსებული საკანონმდებლო ჩარჩო საჭიროებს მეტ დისპოზიციურ დებულებებს. ისინი თანხმდებიან, რომ კანონი პრობლემა ხდება, როდესაც მხარეები იწყებენ დავის პროცესს. ხანგრძლივი და ძვირადღირებული დავის პროცესის ძირითადი მიზეზებია: (i) კერძო სექტორში კვალიფიკაციის სიმწირე; ზოგადი და სუსტი წესდებები, რომლებიც, როგორც წესი, ეფუძნება იუსტიციის სახლის ნიმუშებს რეგისტრაციის მომენტში; (ii) ბიზნეს სამართალში კვალიფიციური მოსამართლეების სიმწირე; (iii) მეწარმეთა შესახებ კანონის ზოგადი ბაზა, რომელსაც, რიგ შემთხვევებში, არ აქვს დეფოლტ წესები. არსებული ვითარების გაუმჯობესება შესაძლებელია: (i) მართლმსაჯულების სისტემის კომპეტენციის გაძლიერებით; ბიზნესისა და, ზოგადად, საზოგადოების ფინანსური ცნობიერების გაზრდით; (ii) ბევრად უფრო ცხადი მეწარმეთა კანონის შექმნით, რომელსაც ექნება უკეთ განსაზღვრული დისპოზიციური წესები. <u>რეგისტრაცია</u> ექსპერტების უმრავლესობა ფიქრობს, რომ, თუ დეტალური წესდება სავალდებულო გახდება, რეგისტრაცია გაძვირდება. მათი აზრით, ამჟამად რეგისტრაციის ეტაპზე მოთხოვნილი ინფორმაცია საკმარისია იურიდიული პირის გამჭვირვალობისთვის. შესაბამისად, ისინი არ უწევენ რეკომენდაციას რეგისტრაციის ხარჯების ზრდას, რასაც მარეგულირებლის მხრიდან დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნა გამოიწვევს. თუმცა ექსპერტთა მეორე ნაწილი ფიქრობს, რომ რეგისტრაციის ამონაწერში მეტი ინფორმაცია უნდა იყოს წარმოდგენილი: - ფასიანი ქაღალდების ნომინალური ღირებულება, რაც აუცილებლად უნდა განისაზღვროს წესდებაში (სააქციო

³ კითხვარი იხილეთ დანართში I;

უელსში აკრედიტებული იურისტი, იურუდიული და საჯარო პოლიტიკის უფროსი ანალიტიკოსი აკაკი ჩარგეიშვილი – ჩარგეიშვილის საადვოკატო დარბაზი, ბიზნესისა და საგადასახადო სამართლის ექსპერტი გიორგი ამზაშვილი – G4G, მრჩეველი ფინანსებზე წვდომის პოლიტიკის მიმართულებით	საზოგადოებებისთვის); - კაპიტალის ცვლილება (განსაკუთრებით შემცირება); - პარტნიორების ცვლილება. <u>მნიშვნელოვანი გარიგებები</u> მნიშვნელოვანი გარიგების კონცეფციის შემოღება პოზიტიური ცვლილება იქნება, თუმცა მეტი სიცხადეა საჭირო. შეეხება თუ არა გარიგებების შესახებ ჩანაწერები ბიზნეს ტრანზაქციებს? მაგალითად, სამშენებლო კომპანიის შემთხვევაში, ტრანზაქცია მარტივად შეიძლება იყოს აქტივების 25%-ზე მეტი და გადაწყვეტილების მიღების ახალი მექანიზმის შემოღებამ შეიძლება შეაფერხოს სექტორის ბიზნეს ოპერაციები. „მნიშვნელოვანი გარიგების“ კონცეფცია უკვე განმარტებულია ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონში, რომელიც არეგულირებს მნიშვნელოვანი გარიგებების პირობებს ანგარიშვალდებული კომპანიების შემთხვევაში. ექსპერტების ნაწილის აზრით, არ არის საჭირო მისი განვრცობა ყველა სააქციო საზოგადოებაზე. <u>ინტერესთა კონფლიქტი</u> ინტერესთა კონფლიქტის ცნება კარგი დამატებაა კანონში. თუმცა, ექსპერტები ფიქრობენ, რომ ინტერესთა კონფლიქტის მონაწილე მხარე არ უნდა განისაზღვროს მისი წილის (ამ შემთხვევაში 20%) მოცულობით. მცირე წილის მფლობელ პარტნიორს შეიძლება, ზოგიერთ შემთხვევაში, მეტი ზეგავლენა ჰქონდეს. განმარტებებია საჭირო. <u>კაპიტალის მოთხოვნები</u> არ არსებობს კონსენსუსი კაპიტალზე დაწესებული მოთხოვნის სარგებლიანობაზე. ექსპერტთა მცირე ნაწილი ფიქრობს, რომ მოთხოვნილი კაპიტალის მოცულობა ასრულებს დაცვის მექანიზმის როლს მესამე მხარეებისთვის (და ამიტომაც სასარგებლო), თუმცა ყოველთვის არა. და მაინც, თუ კაპიტალის მოთხოვნა შემოღებულ იქნება, ის უნდა იყოს გამჭვირვალე და რეგისტრირებული. ექსპერტთა დიდი ნაწილი დარწმუნებულია, რომ სავალდებულო კაპიტალის მოთხოვნა არ არის მნიშვნელოვანი. მსხვილი კომპანიების შემთხვევაში, ის ვერ დაიცავს მესამე მხარეებს. არ არის სწორი, ერთი და იგივე კაპიტალის მოთხოვნა დაუწესდეს ყველა სს-ს ყველა სექტორში. 10% რეზერვის მოთხოვნაც არ არის მისაღები. ლიბერალური კაპიტალის მოთხოვნა ეხმარება ადგილობრივ
---	--

მეწარმეებს. ხშირ შემთხვევებში, ინვესტორები ინვესტიციას დებენ იდეებსა და არა კომპანიების კაპიტალის მოცულობის მიხედვით. ეს განსაკუთრებით ეხება სტარტაპებს.

გამჭვირვალობა

უფრო მეტი გამჭვირვალობის მოთხოვნა შეიძლება (და სასურველია) დაუწესდეს საჯარო კომპანიებს (რომლებიც ანგარიშვალდებულნი არიან საქართველოს ეროვნული ბანკის წინაშე, წარმოდგენილი არიან საფონდო ბირჟაზე, არიან საჯარო ინტერესის პირები). გამჭვირვალობის შესახებ წესები ერთნაირად არ უნდა მოეთხოვებოდეს კომპანიებს სამართლებრივი სტატუსის მიხედვით. რეგისტრაციის ინფორმაციასთან ერთად, კრედიტორებს აქვთ წვდომა უძრავი ქონების რეესტრზე, რაც ნიშნავს, რომ მათ აქვთ წვდომა იპოთეკის შესახებ ინფორმაციაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასევე, კრედიტორებს შეუძლიათ, ინფორმაცია მიიღონ მოვალეთა რეესტრიდან. ყველა ეს შესაძლებლობა და გამჭვირვალობის დონე საკმარისია მესამე მხარეებისთვის, მიიღონ გადაწყვეტილება.

ლიკვიდაცია

ყველა ექსპერტი აცხადებს, რომ პროცესს პრაქტიკაში ართულებს არა კანონი, არამედ შემოსავლების სამსახურის მიერ სალიკვიდაციოდ საჭირო ცნობის გაცემა.

რეორგანიზაცია

რეორგანიზაციის პროცესი (არსებული კანონის თანახმად) რეგისტრირდება საჯარო რეესტრში და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს წვდომა ამ ინფორმაციაზე. ამიტომ აღარ არის საჭირო ინფორმაციის კიდევ უფრო გავრცელება.

რეორგანიზაციის დროს ყველა ვალდებულება გადაეცემა ახალ კომპანიას და, შესაბამისად, კრედიტორების უფლებები დაცულია. ამავდროულად, კრედიტის წინასწარი დაფარვის მექანიზმებს არეგულირებს სამოქალაქო კოდექსი და აღარ არის საჭირო მეტი რეგულირება მეწარმეთა შესახებ კანონში.

პრიორიტეტი უნდა იყოს კომპანიის ინფორმაციის დაცვა. ბევრია შემთხვევა, როდესაც კრედიტორი ერთდროულად კონკურენტიცაა და, შედეგად, მისთვის დეტალური რეორგანიზაციის გეგმის გაზიარება შეიძლება საშიში იყოს. ჩანაწერი კანონპროექტში იცავს კრედიტორებს, მაგრამ უნდა გაანალიზდეს ამ დაცვის ხარჯი და რისკები.

მცირე აქციონერები

მცირე აქციონერებისთვის კომპანიის აქციების პაკეტის შესყიდვის

შესაძლებლობის მიცემა, როდესაც დივედენდები ბოლო სამი წლის განმავლობაში არ განაწილებულა, დადებითი ცვლილებაა.

პარტნიორის გასვლა საზოგადოებიდან ფაქტობრივად შეუძლებელია და უნდა განიმარტოს და დადგინდეს დისპოზიციური ნორმები.

პარტნიორების წილების თანაბარი განაწილების შემთხვევაში (50/50%) არსებულ კანონში არ არის განსაზღვრული მორიგების მექანიზმები და საჭიროა განისაზღვროს და რეგულირდებოდეს.

მოქმედი კანონის აღსრულება

რეგისტრაციის დროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ისე ახდენს დისპოზიციური მუხლების ინტერპრეტირებას, თითქოს სავალდებულო იყოს. ზოგჯერ იუსტიციის სახლი არ იძლევა უფლებას, წესდებით (რომელიც არ მიჰყვება მოქმედი კანონის დისპოზიციურ მუხლებს) სხვაგვარად დარეგულირდეს, რითიც ქმნის პრობლემებს.

მოქმედი კანონის 5(4') მუხლი არარეზიდენტებისთვის განსაზღვრავს წარსადგენი დოკუმენტების ეკვივალენტურობას. პრაქტიკაში უცხოური დოკუმენტაციის აღიარებასთან დაკავშირებით უამრავი პრობლემა არსებობს. ამიტომ ეკვივალენტურობის ცნება დეტალურად უნდა განისაზღვროს და საშუალება მიეცეს მარეგისტრირებელს ზოგიერთი სახელმწიფოს იურისდიქციის დოკუმენტები გადამოწმების გარეშე სცნონ.

მართლმსაჯულების სისტემაში ცოტა სახის პრეცედენტებია. ამიტომ ხშირ შემთხვევაში საქმე უზენაეს სასამართლომდე აღწევს, რაც ბიზნესისთვის მეტისმეტად გაწელილი და ძვირადღირებული პროცესია.

შპს თუ სს:

თითქმის ყველა ექსპერტი ფიქრობს, რომ სს-ის ფორმის არჩევის უმთავრესი უპირატესობა არის აქციონერების შესახებ ინცორმაციის კონფიდენციალობა. თუმცა იყო განსხვავებული აზრიც, რომლის თანახმად აქციონერები გრძელვადიანი მიზნებისთვის ირჩევენ სს ფორმას და არა მხოლოდ კონფიდენციალურობის გამო.

ექსპერტთა ნაწილი ფიქრობს, რომ დირექტორთა როლი და პასუხისმგებლობა უნდა გაძლიერდეს (როგორც დიდი ბრიტანეთის შემთხვევაში), განსაკუთრებით შპს-ებში. დირექტორთა და აქციონერთა პასუხისმგებლობა ნათლად უნდა განისაზღვროს, რათა თავიდან ავიცილოთ მათი ფუნქციების აღრევა. მომავალზე მეტად გათვლილი დირექტორთა მოვალეობები შეამცირებს კომპანიის გადახდისუნარიანობის რისკს და გადაჭრის დივიდენდების

	განაწილებასთან, მესამე მხარეებისა და კრედიტორების დაცვასთან დაკავშირებულ პრობლემებს. დაბოლოს, გადატვირთული მართლმსაჯულების სისტემასა და საქმეთა განხილვის ძვირადღირებულ პროცესს ნაწილობრივ შეიძლება დაეხმაროს ინფორმაციის გამხელის პროცედურა. ეს საშუალებას მისცემს მხარეებს, მოემზადონ სასამართლო პროცესისთვის და შეიძლება სასამართლოზე უკეთესი კვალიფიკაციის მქონე იურიდიული წარმომადგენელიც ჰყავდეთ, რაც გააუმჯობესებს და ახალ საფეხურზე აიყვანს დავების გადაწყვეტის კულტურას. ეს პრაქტიკა უკვე წარმატებით არსებობს სხვა ქვეყნების იურისდიქციებში. შენიშვნა: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ეროვნული ბანკი და ფინანსთა სამინისტრო მუშაობენ საქართველოს კანონზე „საინვესტიციო ფონდების შესახებ“. ახალ კანონპროექტს დასჭირდება მეწარმეთა შესახებ კანონის გარკვეული მხარდაჭერა, მაგალითად, საინვესტიციო ფონდების განვითარებისთვის საჭირო კორპორაციების ბევრად უფრო მოქნილი იურიდიული ფორმების შემუშავება (მაგალითად რწმუნებული (თრასტი)). ჯგუფმა, რომელიც აღნიშნულ კანონპროექტზე მუშაობს, არ იცოდა მეწარმეთა შესახებ კანონპროექტის არსებობის შესახებ. საინვესტიციო ფონდების შესახებ კანონპროექტი არსებული საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე იქმნებოდა.
ბიზნეს ასოციაციები საქართველო-ევროპის ბიზნეს საბჭო (EUGBC) საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოების ასოციაცია (GSMEA) საქართველოს ბიზნეს ასოციაცია (BAG) საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნეს ასოციაცია საქართველოს დამოუკიდებელ მწარმოებელთა	ქვეყანა გეგმავს, გაზარდოს კაპიტალის ბრუნვა ევროკავშირის ბაზრებთან, ამიტომ ევროკავშირის მსგავსი კანონმდებლობა სასარგებლო იქნება ბიზნესებისთვის. ის გაამარტივებს პროცესს. კანონის ზოგადი ბუნება საშუალებას აძლევს სასამართლოებს, სუბიექტურად განმარტონ იგი. ქართული სასამართლო სისტემა საკმაოდ პრობლემურია ბიზნესებისთვის, რადგან, როგორც წესი, მოსამართლეებს აკლიათ კვალიფიკაცია, როდესაც საქმე ბიზნესის საქმეებს ეხება. მეტიც, ქვეყანაში ფინანსური ცნობიერების დონე ძალიან დაბალია. საჯარო რეესტრი ზოგჯერ მოქმედ კანონს ისე განმარტავს, რომ კომპანიებს პრობლემები ექმნებათ. მათი აზრით, თუ არსებული კანონი გაუქმდება და ახალი ამოქმედდება, ბიზნეს ასოციაციები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული კანონშემოქმედებით პროცესში. ასოციაციებს ახალი კანონპროექტის განხილვისთვის სჭიდებათ დრო, სულ მცირე 6 თვე. BAG-მა, რომელსაც აქვს წვომა კანონპროექტზე, ყურადღება გაამახვილა კანონპროექტის რამდენიმე დადებით მხარეზე:

ასოციაცია საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია მოდრაობა KAR.GE	(i) ინტერესთა კონფლიქტის ცნების შემოღება. რეორგანიზაციის დროს კრედიტორების ინფორმირება (ii) პარტნიორის გასვლა. ამჟამად პარტნიორის გასვლა პრობლემაა, რიგ შემთხვევებში შეუძლებელიც კი. მცირე და საშუალო საწარმოების წარმომადგენლებისთვის ცალკე დოკუმენტად წარმოდგენილი კანონის ინსტრუქციები შესაბამისობაში მოყვანის პროცესს გაამარტივებს და გააიაფებს. მცირე და საშუალო საწარმოებისთვის სასარგებლო იქნება ისიც, თუ ახალი კანონის საფუძველზე, შეიქმნება და იუსტიციის სახლში ხელმისაწვდომი იქნება ხელშეკრულებებისა და წერილების ნიმუშები. მცირე და საშუალო საწარმოების აზრით, არსებულთან შედარებით, უფრო დეტალურად უნდა გაიწეროს შემდეგი დებულებები: • საზოგადოებიდან პარტნიორის <u>გასვლის</u> პროცესი; • <u>ლიკვიდაციის</u> და ქონების განაწილების პროცესები; • <u>კაპიტალისთვის</u> უნდა შეიქმნას ცალკე მუხლი. კორპორაციული საქმიანობა უნდა განისაზღვროს და თითოეული ოპერაციისთვის გამოყენებულ იქნას კაპიტალის მოძრაობის სტანდარტები. • <u>ინვესტიციებთან</u> დაკავშირებით უნდა შეიქმნას ცალკე და დეტალური მუხლი. ინვეტიციები უნდა კლასიფიცირდეს კაპიტალად და არ უნდა დაექვემდებაროს დაბეგვრას. <u>გამჭვირვალობის</u> ვალდებულებასთან დაკავშირებით დაფიქსირდა დადებითი და უარყოფითი მხარეები. დადებითი მხარეებია: ბალანსის უწყისების გამოქვეყნება; ინვესტორები შეძლებენ მათთვის საჭირო ინფორმაციის მიღებას; კომპანიების პასუხისმგებლობა გაიზრდება; ფინანსური კულტურა განვითარდება და სხვ. უარყოფითი მხარეებია: კონკურენტებს ექნებათ წვდომა კომპანიის ინფორმაციაზე. დამსაქმებელთა ასოციაცია ფიქრობს, რომ ქვეყანამ უნდა აირჩიოს ყველაზე ნაკლებად მომთხოვნი სტანდარტი. დისტრიბუტორთა ასოციაცია ისურვებდა, კანონში კრედიტორებისთვის მეტი გამჭვირვალობა იყოს, მათ შორის კაპიტალის ცვლილებაზე ინფორმაცია, რეორგანიზაცია და სხვ. ამ სექტორისთვის გადახდისუუნარობის სისტემა ძალიან საზიანოა და არაკვალიფიცირებული სასამართლო სისტემა ძვირი უჯდებათ. <u>კაპიტალის</u> ვალდებულებასთან დაკავშირებით ასოციაციებს განსხვავებული შეხედულებები აქვთ. მცირე და საშუალო საწარმოების წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ <u>კაპიტალის ვალდებულების</u> შემოღება კარგია მსხვილი სს-ებისთვის, თუმცა დამსაქმებელთა ასოციაცია ფიქრობს, რომ ამ ვალდებულებას უფრო მეტი უარყოფითი შედეგი ექნება, რადგან შეიძლება ზიანი მიაყენოს
---	---

	ქვეყნის რეპუტაციას. 10% რეზერვის შემოღებამ შეიძლება შეანელოს ფულის მიმოქცევა ეკონომიკაში. შეთავაზებები: 1. დაწესდეს ერთგვარი გარდამავალი პერიოდი საბჭოთა მემკვიდრეობის მქონე კომპანიებისთვის. მიეცეთ მათ დრო იურიდიული ფორმის შესაცვლელად ან პრობლემებთან გამკლავების გზების საპოვნელად და ახალ რეგულაციებთან შესაბამისობაში მოსასვლელად; 2. RIA-ს ჩატარების დროს გათვალისწინებულ იქნას შემდეგი ხარჯები: საჯარო რეესტრში დამატებითი დოკუმენტების რეგისტრაცია, იურისტთან კონსულტაციის საფასური.
ბიზნესები ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია (GWS), შატო მუხრანი, ფრიქსი გალფი ქართული საფონდო ბირჟა (GSE) Deloitte GALT & TAGGART	უცხოელი ინვესტორებისთვის მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, მეწარმეთა შესახებ კანონი შეესაბამება თუ არა რომელიმე საერთაშორისო სტანდარტს (მათ შორის ევროკავშირის დირექტივებს). ინვესტორებისთვის გარკვეული და სტაბილური საკანონმდებლო გარემო უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კანონმდებლობის შინაარსი, განსაკუთრებით, როდესაც იგი შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. უცხოელი ინვესტორებისთვის უადრესად მნიშვნელოვანია გამჭვირვალობა და გამართულად მომუშავე სასამართლო სისტემა, რომელიც ამჟამად პრობლემაა. ამიტომ განხორციელების ხარისხი შეიძლება კვლავ პრობლემა იყოს, რაც არ უნდა ცვლილებები შევიდეს. რომ შევაჯამოთ: • ბოლო 10 წელიწადში ბიზნეს სექტორი (განსაკუთრებით ფინანსური სექტორი) სწრაფად ვითარდებოდა. სულ უფრო მეტად დახვეწილი და დეტალური კანონია საჭირო, რომ იგი სასარგებლო იყოს სხვადასხვა შემთხვევებში; • G&T-ისა და GSE-ის აზრით, კანონპროექტის სირთულიდან გამომდინარე, უნდა შეიქმნას დეტალური <u>განმარტებების ნაწილი</u>, რათა თავიდან ავიცილოთ კანონის არასწორად ინტერპრეტაციის რისკი; • სასურველია, კანონის შემოღების შემდეგ, დაწესდეს 6-თვიანი გარდამავალი პერიოდი შესაბამისობაში მოსვლისთვის; • <u>ბიზნეს საზოგადოებასთან კომუნიკაციისა და გავრცელების</u> ძლიერი და ზუსტი სტრატეგია არის კანონის სწორად აღსრულების წინაპირობა. • მეტი <u>გამჭვირვალობისა</u> და პასუხისმგებლობის ვალდებულებები უნდა დაუწესდეს მხოლოდ შესაბამის კომპანიებს (რომლებიც ანგარიშვალდებულნი არიან ეროვნული ბანკის წინაშე და წარმოდგენილნი არიან საფონდო

	ბირჟაზე) და არა ყველა ბიზნესს ან სს-ს. ეს ვალდებულებები უნდა აისახოს სპეციალურ კანონებში (საქართველოს კანონში ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ) და არა მეწარმეთა შესახებ კანონში. გამჭვირვალობის დამატებითმა მოთხოვნებმა შეიძლება შეაფერხოს მათი განვითარება. ინფორმაციის კონფიდენციალობა დაცული უნდა იყოს (აქციონერთა რეესტრი უნდა შენარჩუნდეს დახურული). მეორეს მხრივ, Deloitte ფიქრობს, რომ კაპიტალის ცვლილება უნდა აისახოს რეესტრის მონაცემებში და უნდა იყოს გამჭვირვალე; • 1990-იან წლებში პრივატიზებულ სს-ებთან დაკავშირებით არსებობს პრობლემები. 360 ანგარიშვალდებული კომპანიიდან 120 წარმოდგენილია ქართულ საფონდო ბირჟაზე, მათი უმეტესობა მკვდარი კომპანიაა, რომელთაც არ აქვთ დამატებითი ვალდებულებების შესრულებისთვის საჭირო რესურსი; • ამჟამად სს-სა და შპს-ს შორის უმთავრესი განსხვავება არის სს- ში აქციონერთა კონფიდენციალობა; • საქართველოში <u>ლიკვიდაციის</u> პროცესის მთავარი დაბრკოლება არის საგადასახადო ორგანოების ნებართვის მიღება, რაც ხანგრძლივი პროცესია. დამტკიცების ხანგრძლივი პერიოდი უნდა შემცირდეს, ხოლო შემოსავლების სამსახურმა უფრო მკაცრად უნდა შეასრულოს პროცედურა. <u>მცირე აქციონერები</u> მუხლი 53 (მოქმედი კანონი) მკაცრია და არღვევს საკუთრების უფლებას (მესაკუთრეთა 95% 5%-ის წინააღმდეგ). ეს ნაწილი უნდა შერბილდეს, რათა დავიცვათ აქციონერთა 5%. მცირე აქციონერთა გამოსყიდვის უფლებას უნდა არეგულირებდეს წესდება, თუმცა გარკვეული სიტუაციებისთვის კანონიც უნდა განსაზღვრავდეს მცირე აქციონერთა მიერ გამოსყიდვის უფლებას. აქციონერის გასვლის პრობები დეტალურად უნდა გაიწეროს. მოქმედ კანონში მუხლი 3 (5') ძალიან მკაცრია. ამ მუხლის თანახმად, წესდების შესაცვლელად საჭიროა აქციონერთა 100%-ის თანხმობა (ზოგიერთი განსაზღვრული წესდების რეგულაციებით). თუმცა მოქმედი კანონის 54-ე მუხლის თანახმად, მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს კენჭისყრა საკმარისია. ეს კონფლიქტი კანონში დიდი პრობლემაა. მოქმედ კანონში შეტანილი უკანასკნელი ცვლილების (2017 წლის მაისში) თანახმად, პრობლემაა წილის უპირატესი შესყიდვის უფლება. როდესაც აქციონერი იღებს გადაწყვეტილებას, გაყიდოს წილი, ვალდებულია, პირველად ეს წილი არსებულ აქციონერებს
--	---

	შესთავაზოს. რიგ შემთხვევებში ამ მუხლის აღსრულება შეუძლებელია.
უზენაესი სასამართლო	რეალურად მეწარმეთა შესახებ ზოგადი და ლიბერალური კანონის მიზანი იყო კომპანიების პარტნიორებისთვის არჩევანის თავისუფლების მიცემა, წესდებისა და ხელშეკრულებების საფუძველზე დაერეგულირებინათ ერთმანეთთან ურთიერთობები. თუმცა პრაქტიკაში ასე არ მოხდა. როგორც წესი, პარტნიორები ვერ ახერხებენ, ისარგებლონ კანონით მინიჭებული უპირატესობით და ამაზე იქამდე არ ფიქრობენ, სანამ სადაოდ არ გაუხდებათ საქმე. ამ დროს კანონი უკვე ვეღარ ეხმარებათ, რადგან არ არსებობს პარტნიორების ურთიერთობის მარეგულირებელი შეთანხმება. ამიტომ კარგად დაფიქრებაა საჭირო იურიდიული პირის რეგისტრაციისას. მსხვილ სს-ებში ვითარება ბევრად უკეთესია, განსაკუთრებით ბანკებსა და დიდ ფინანსურ კორპორაციებში. მათ საქმიანობას არეგულირებს არამხოლოდ მეწარმეთა შესახებ კანონი, არამედ კომერციული ბანკების საქმიანობისა და სხვა დამატებითი კანონები. როგორც წესი, სასამართლოები განიხილავენ საშუალო და მსხვილი დახურული კომპანიების საქმეებს. საქმეების უმეტესი ნაწილი შიდა დავებია: უთანხმოება პარტნიორებსა და დირექტორებს ან პარტნიორებს შორის. დავების უმეტესობის შემთხვევაში, მსხვილი აქციონერები თავად არიან კომპანიის დირექტორები. ეს არის მოქმედი კანონის ყველაზე დიდი პრობლემა, რომელიც არ ითვალისწინებს ასეთ შემთხვევებს, რადგან კანონის ზოგადი ფორმულირება არ ეხება დახურულ კორპორაციებს. რა თქმა უნდა, კორპორაციულ სამართალში კვალიფიციური მოსამართლეების ნაკლებობაც გაცნობიერებულია. თუმცა ისიც სიმართლეა, რომ ბიზნესის წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ნაკლებობა იწვევს დაუსრულებელ და მცდარ სასამართლო პროცესებს. უკეთესი იქნება, თუ სისტემაში სპეციალიზებული მოსამართლეები იქნებიან.
საქართველოს ეროვნული ბანკი	კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიაში, ბევრ სხვა დაბრკოლებასთან ერთად, საქართველოში კაპიტალის ბაზრის განვითარების პროცესის ერთ-ერთ უმთავრეს დაბრკოლებად მიჩნეულია <u>კორპორაციული საზოგადოებისა და კორპორაციული მმართველობის გამჭვირვალობა</u>. რეკომენდაციის თანახმად, შესაბამისი დირექტივებიდან უნდა გადმოვიღოთ მინიმალური <u>ხელმისაწვდომი სტანდარტი</u>.

	დაახლოების ვალდებულების ფარგლებში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ საინვესტიციო ფონდების შესახებ კანონზე მუშაობა დაიწყო. კოორდინაცია მნიშვნელოვანია, რათა ეს ორი კანონი ერთმანეთთან შესაბამისობაში იყოს. ზოგადად, ყველა საჯარო უწყებას (მათ შორის ეროვნულ ბანკსაც) აქვს დაახლოების ვალდებულება და ერთიანი დამოკიდებულების ქონა და პროცესის კოორდინირება უაღრესად მნიშვნელოვანია, რათა თავიდან ავიცილოთ ხარვეზები და არასრული საკანონმდებლო ინფრასტრუქტურა. <u>კაპიტალის ვალდებულება:</u> თუ შესაძლებელია, კარგი იქნება, თუ სს-ებს ჯერ არ დაუწესდებათ სავალდებულო კაპიტალის ვალდებულება (60,000 ლარი). თუ ახლადშექმნილ სს-ებს კაპიტალის ვალდებულება დაუწესდება, ეს მათთვის უფრო მეტი ხარჯი იქნება, ვიდრე არსებული სს-ებისთვის, რაც არ არის სამართლიანი. თუმცა ისიც პრობლემა იქნება, თუ კაპიტალის ვალდებულება გავრცელდება არსებულ სს-ებზე. ამჟამად ეროვნული ბანკის წინაშე ანგარიშვალდებულია 360 სს, რომელთაგან 10-მდე სს აქტიურად არის ჩართული ვაჭრობაში. სს-ების უმეტესობა „მკვდარი“ კომპანიაა, რომელიც 1990-იან წლებში შეიქმნა და არ აქვს ახალი ვალდებულების დაკმაყოფილების რესურსი. პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, უნდა გვაღელვებდეს თუ არა ასეთი კომპანიები. <u>სს-ები უფრო ღია და გაჭვირვალე უნდა იყოს</u>, თუმცა წესები ტვირთი არ უნდა გახდეს და უნდა ეფუძნებოდეს საუკეთესო გამოცდილებას და შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს, რათა უცხოელმა ინვესტორებმა მარტივად გაიგონ, რას ითხოვს ქვეყანა. პრობლემაა <u>მართლმსაჯულების სისტემის კომპეტენცია</u>. ეროვნული ბანკი მონაწილეობას იღებს მხოლოდ იმ საქმეების განხილვაში, რომლებიც კავშირშია ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონთან და სწორედ აქ აწყდებიან ისინი სისტემაში მწირი ცოდნისა და დაბალი კომპეტენციის პრობლემას.
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ეკონომიკური პოლიტიკის და რეგულირების გავლენის შეფასების სამმართველო	ბიზნესის კეთების რეიტინგის გადმოსახედიდან, უმთავრესი შესაძლო დაბრკოლება არის <u>ბიზნესის რეგისტრაციის</u> პროცესი. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში ფიქრობენ, რომ წესდების შექმნასთან დაკავშირებული ახალი ვალდებულება გაზრდის რეგისტრაციისთვის საჭირო დროს, რადგან ბიზნესს რეგისტრაციისას უწინდელზე მეტი ინფორმაციის წარდგენა მოუწევს. <u>კაპიტალის ვალდებულებამ</u> შეიძლება ზიანი მიაყენოს ბიზნეს გარემოს, ამიტომ რეკომენდაციას უწევს აღნიშნული დებულების შემოღების გადადებას.

	კანონპროექტში წარმოდგენილია <u>ბიზნეს წერილის</u> ახალი ცნება, რაც, მათი რწმენით, დამატებით ბიუროკრატიაზე შექმნის კერძო სექტორში. ბოლო 2 წელიწადში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ მოქმედ კანონში მთელი რიგი ცვლილებები შეიტანა. სამინისტრო აპირებს, ეს ცვლილებები კანონპროექტს შეადაროს. სამინისტრო ამტკიცებს, რომ ეს ცვლილებები ბიზნესების რეალური საჭიროებებიდან გამომდინარე შევიდა, ამიტომ კარგი იქნება, თუ მომავალშიც დარჩება.
შემოსავლების სამსახური	ყველაზე დიდი პრობლემაა <u>კაპიტალის შესახებ ინფორმაცია</u>. მოქმედი კანონით, საწარმოებს შეუძლიათ, სურვილისამებრ შეცვალონ კაპიტალი, ცვლილების შესახებ ინფორმაციის რეგისტრაციის გარეშე. ამან პრობლემა შექმნა მოგების გადასახდის ესტონური მოდელის რეჟიმში. ახალი საგადასახადო მოდელით (რომელმაც გააუქმა მოგების გადასახადი, კომპანია მოგების გადასახადს იხდის მხოლოდ დივიდენდების განაწილებისას), კომპანიებმა შეიძლება გამოიყენონ მოგების განაწილების სხვადასხვა მიდგომა, რისი კონტროლიც, გამჭვირვალობის არსებული პირობების გათვალისწინებით, რთული იქნება. კაპიტალის რეგისტრირება და ნებისმიერი ცვლილების რეგისტრაციის წარდგენა სავალდებულო უნდა გახდეს (მეტიც, გადასახადის გადამხდელები ადვილად დაინახავენ ამ ცვლილებებს, მაგ.: ვებ-გვერდებიდან). ამასთან, ნებისმიერი აქტივობისა და ფაქტობრივი მისამართის რეგისტრაცია სასარგებლო იქნება შემოსავლების სამსახურის გადმოსახედიდანაც. მეორე ყველაზე დიდი პრობლემაა სააქციო საზოგადოების <u>აქციონერთა შესახებ ინფორმაცია</u>. მოქმედი კანონმდებლობით, სააქციო საზოგადოებებს შეუძლიათ ჰქონდეთ დამოუკიდებელი რეესტრი, რომელზე ინფორმაციაც, შესაბამისად, არც ერთ საჯარო უწყებას არ აქვს. სასურველია, აღნიშნული ვითარება კანონით დარეგულირდეს და პარტნიორებისა და ცვლილებების შესახებ ინფორმაცია აისახოს რეესტრში, როგორც ბევრი სხვა სამეწარმეო ერთეულის შემთხვევაში ხდება. მესამე საკითხია, როდესაც კომპანია ყიდის და იშორებს ქონებას <u>ლიკვიდაციის/გადახდის უუნარობის</u> გამოცხადებამდე. შემოსავლების სამსახური გვთავაზობს მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-3 ნაწილის ახალ ვერსიას, რომელიც შესაძლებელს ხდის არაკეთილსინდისიერი გადასახადების გადამხდელთა გამოვლენასა და მათთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას. <u>გამჭვირვალობის</u> შესახებ წესი წაადგება შემოსავლების სამსახურის ოპერაციებს. შემოსავლების სამსახურს ექნება მეტი ინფორმაცია,

	რისკების შეფასების სისტემა გაუმჯობესდება, კომპანიების შემოწმება კი ბევრად უფრო მიზნობრივი გახდება.
სხვა საჯარო უწყებები: ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური (SARAS) მონაცემთა გაცვლის სააგენტო (DEA)	მეწარმეთა შესახებ კანონპროექტი რეფერირებას აკეთებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონზე. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ ახალი კანონი უკვე დამტკიცებულია (ძალაში შევიდა 2016 წლის 8 ივნისს), რომლის თანახმადაც 2017 წლის 1 ოქტომბერს საჯარო ინტერესის პირებმა უნდა წარადგინონ წლიური ფინანსური ანგარიშები. 2018 წლიდან ფინანსური ანგარიშგების ახალი წესები უკვე სხვა კატეგორიის კომპანიებზეც გარცელებულია. სასურველია, შეიქმნას ბიზნესისთვის საჭირო პორტალი, სადაც ყველა ეს ანგარიში და სხვადასხვა კანონებით გათვალისწინებული ინფორმაცია მოიყრის თავს. არსებობს საჯარო უწყებებს შორის კოორდინაციის პრობლემა. საჭიროა, რომ იუსტიციის სამინისტროს, მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა და ფინანსთა სამინისტროს შორის კოორდინაცია გაუმჯობესდეს. ერთი წლის წინ მონაცემთა გაცვლის სააგენტომ კონსულტაცია გაიარა SARAS-თან, რათა SARAS-ის მომსახურებები არსებულ პორტალზე (my.gov.ge) გადასულიყო. მას შემდეგ აქტიური ნაბიჯები აღარ გადადგმულა, ალბათ, კოორდინაციის არარსებობის გამო. პორტალზე უკვე წარმოდგენილია რამდენიმე ელექტრონული მომსახურება ბიზნესებისთვის, იგეგმება სხვების დამატებაც. მონაცემთა გაცვლის სააგენტო ფიქრობს, რომ ნებისმიერი სახის ელექტრონული მომსახურება, მათ შორის ანგარიშების გაგზავნა, შესაძლებელია my.gov.ge-ზე შესრულდეს.

E. ჩარევის დასაბუთება

ფინანსებზე წვდომა საქართველოში ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორია. სხვადასხვა კვლევა აჩვენებს, რომ სასურველი ბიზნეს გარემოს მიუხედავად, ფინანსებზე წვდომა კვლავ რჩება კომპანიებისთვის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს დასაქმებას, ეკონომიკურ ზრდასა და საყოველთაო კეთილდღეობას (ევროპის საინვესტიციო ბანკი, 2016 წელი).

საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც მოიცავს ფორმალურ წესებსა და მათ ეფექტურ აღსრულებას, ეხმარება კერძო საკრედიტო ბაზრების მონაწილეებს, გაუმკლავდნენ აგენტების პრობლემას მმართველობისა და ფინანსების გაყოფისას. აგენტების პრობლემა ამ კონტექსტში გულისხმობს სირთულეებს, რაც ინვესტორებს⁴ აქვთ, რომლებიც ცდილობენ, დარწმუნდნენ, რომ მათი რესურსები არ დაიკარგება ან არ დაიხარჯება უსარგებლო პროექტებზე, რომელთაც არ აქვთ არავითარი ეკონომიკური უკუგება. ეკონომიკური ლიტერატურა მიმოიხილავს ორ ძირითად ფაქტორს, რაც ხელს უწყობს ფინანსურ ბაზრებზე კერძო კრედიტორების მონაწილეობას: კრედიტორების ძალაუფლება, მარტივად დაიბრუნონ საკუთარი ფული და წვდომა ინფორმაციაზე. მსესხებელთა შესახებ ინფორმაციაზე წვდომა, მათი საკრედიტო ისტორია და ფინანსური საქმიანობა საშუალებას აძლევს კრედიტორებს, გაუმკლავდნენ აგენტების ტიპობრივ პრობლემებს, როგორიცაა არახელსაყრელი შერჩევა, რაც გულისხმობს სწორი მეწარმეების, კომპანიების, პროექტების შერჩევას, და მორალური ზიანი, რაც გულისხმობს ინვესტორის დარწმუნებას, რომ მენეჯერები ისე მუშაობენ, რომ უკუგება ინვესტიციაზე იზრდება.

ინვესტორსა და მენეჯერს შორის ურთიერთობა, რომლებიც საქართველოში, როგორც წესი, აქციონერიც არის, რეგულირდება ხელშეკრულებით, რომელიც განმარტავს, როგორ გამოიყენებს მენეჯერი რესურსებს და როგორ განაწილდება მოგება. იდეალურ შემთხვევაში, ხელშეკრულების პირობები უნდა იყოს მენეჯერისა და ინვესტორის უფლება-მოვალეობების სახელმძღვანელო, რაც რეალურად არ ხდება, რადგან შეუძლებელია ყველა გარემოების გათვალისწინება და ყველა სიტუაციის გაწერა. პრობლემა მაინც არსებობს, თუნდაც მენეჯერი დაინტერესებული იყოს, სრულყოფილი ხელშეკრულება მოამზადოს ინვესტორისთვის.

ერთნი ამტკიცებენ, რომ არ არის საჭირო სავალდებულო კანონები და რეგულაციები, რათა გაავრცელდნენ გარემოებებს, რადგან გრძელვადიან პერიოდში კონკურენცია აიძულებს მენეჯერებს, მიიღონ წესები, მათ შორის კორპორატიული მმართველობის ისეთი მექანიზმი, რაც საშუალებას მისცემს მათ, მცირე დანახარჯებით მოიხილონ გარე ფინანსები, შედეგად, კონკურენცია იზრუნებს კორპორაციულ მმართველობაზე. მეორე შეხედულება ხაზს უსვამს შესაძლებლობებზე დაფუძნებული ქცევის მაღალ შედეგებს, რაც ხელშეკრულების ძვირადღირებულ და არასრულყოფილ აღსრულებასთან ერთად, მენეჯერებს აძლევს სტიმულს, ინვესტორებს გამოსძალონ ქონება. სავალდებულო კანონები ასეთ ვითარებაში ამცირებს აღსრულების ხარჯებს და ზღუდავს მენეჯერთა ოპორტუნიზტულ ქცევას. ასეთი კანონები ასრულებს ინსტრუმენტის ფუნქციას, რომლებიც აბალანსებს კონფლიქტურ ინტერესებს მენეჯერებსა და აქციონერებს, მენეჯერებს, აქციონერებსა და კორპორაციის სხვა დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის კრედიტორებსა და დასაქმებულებს შორის (არმორი და სხვები, 2017 წ.).

როგორც წესი, მეწარმეთა შესახებ კანონი არის დისპოზიციური და იმპერატიული დებულებების ერთობლიობა. ეკონომიკური თვალსაზრისით, დისპოზიციური წესები არის „საზოგადოებრივი საქონელი“, რადგან აწესებს სტანდარტებს, რომლებიც ამარტივებს მონაწილე მხარეებს შორის ხელშეკრულებას და ამცირებს ხარჯებს (აირესი და გერტნერი, 1989 წ.). დისპოზიციური დებულებები ყველაზე ეფექტურია, თუ ისინი ასახავს იმ პირობებს, რომელთაც კარგად ინფორმირებული მხარეების უმეტესობა საკუთარი თავისთვის აირჩევდა.

⁴ კრედიტორი და ინვესტორი მონაცვლეობით გამოიყენება ნებისმიერი იურიდიულ ან ფიზიკურ პირზე საუბრისას, რათა ავხსნათ, რომ ეს პირები იღებენ უკუგებას მათ კუთვნილებაში არსებულ რესურსებზე.

მეორეს მხრივ, იმპერატიული ან „გარდაუვალი“ კანონები უფრო პატერნალისტური გაგებით, უფრო მეტად ზღუდავს გარკვეულ აქტივობებს. პოლიტიკის უმთავრესი გამოწვევა არის სწორი ბალანსის პოვნა დისპოზიციურ და იმპერატიულ წესებს შორის, რაც უნარჩუნებს მოქნილობას ხელშეკრულების მხარეებს და მოდერაციას უკეთებს „არასრულ ხელშეკრულებასთან“ დაკავშირებულ გაურკვევლობებს. საკანონმდებლო მოდელები არსებითად განსხვავდება მთელ მსოფლიოში. აშშ-ში ხელშეკრულების თავისუფლება არის ზოგადი ღირებულება, მათ შორის საფონდო ბირჟების კორპორაციულ სამართალში, მაშინ, როდესაც გერმანიაში პირიქითაა. ევროპული ქვეყნების უმეტესობა ამ ორ უკიდურესობას შორის არის მოქცეული (ჰოპტი, 2016 წ.).

მეწარმეთა შესახებ კანონის საკანონმდებლო გამოწვევების სამართლებრივი მხარეები

მოქმედი კანონი 1994 წლის 28 ოქტომბერს დამტკიცდა, რის შემდეგაც კორპორაციული ურთიერთობების მოცულობა და სირთულე მნიშვნელოვნად გაიზარდა. ზოგადად მიღებულია, რომ 2008 წელს კანონში შეტანილი ცვლილებების მიზანი იყო სამართლებრივი დებულებების შემცირებისა და სხვადასხვა სამართლებრივი მოთხოვნების გაუქმების მეშვეობით კანონის გამარტივება. შედეგად, საკანონმდებლო შეზღუდვებისა და „დისპოზიციური წესების“ მცირე მოცულობის თვალსაზრისით, კორპორაციული მმართველობის მთელი რეგულაცია და მასთან დაკავშირებული ურთიერთობები გადაეცა დაინტერესებულ მხარეთა, აქციონერთა და პარტნიორთა „თავისუფალ ავტონომიას“, რომლებიც ერთმანეთში უნდა შეთანხმდნენ კორპორაციული თანაარსებობის პირობებზე, მინიმალური საკანონმდებლო ჩარევით.

აშკარაა, 2008 წელს შეტანილმა ცვლილებებმა და მისმა ლიბერალურმა დამოკიდებულებამ გაამარტივა კორპორაციული ურთიერთობების მთელი რიგი მხარეები (კერძოდ, საწარმოს მარტივად დაფუძნება და ამ დაფუძნებასთან დაკავშირებული მინიმალური ხარჯები), თუმცა მან სასტიკი კრიტიკაც დაიმსახურა. კერძოდ, კრიტიკოსები საუბრობდნენ მეტი რეგულირებისა და საწარმოთა სისტემის, როგორც ბიზნესისა და ფინანსების ინსტრუმენტის მზარდი და ცვალებადი გამოყენების ეფექტური კონტროლის საჭიროებაზე. საუბარია სისტემით ბოროტად სარგებლობის შესაძლებლობებისთვის გვერდის ავლაზე, რის შესაძლებლობასაც მოქმედი კანონი უზვად იძლევა.

სისტემით ბოროტად სარგებლობის შესაძლებლობა არ არის ერთადერთი უარყოფითი შედეგი, რომელიც არაერთმა გამოკითხულმა დაასახელა მოქმედი კანონმდებლობის კრიტიკისას. ბევრი ამტკიცებდა, რომ საკანონმდებლო მოთხოვნებისა და შეზღუდვების არარსებობამ („დისპოზიციური წესების“ ფორმით) და სათანადო კონცენფციების ან სახელმძღვანელოების სიმწირემ შეუძლებელი გახადა კორპორაციული კაზუსების ან მსგავსი გამოუვალი ვითარებების გადაჭრა კორპორაციული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რაც უმეტესად ხდება ე.წ. დახურულ კორპორაციებში⁵. ვინაიდან მოქმედი კანონი არ გვთავაზობს გადაჭრის მეთოდებს, ასეთი კაზუსები, შედეგად, იწვევს კომპანიის საქმიანობაზე მატერიალურ უარყოფით ზემოქმედებას, როგორცაა, მაგალითად, რუტინული ბიზნეს საკითხების შეფერხება, კორპორაციულ ფინანსებზე საზიანო გავლენა, აქციონერებს შორის მიმდინარე სამართალწარმოება.

⁵ დახურულ კორპორაციაში იგულისხმება მცირე ზომის საწარმოს, რომელიც ხშირ შემთხვევაში არის შპს, რომელშიც აქციონერები მუშაობენ მკაცრი ფორმულებისა და დეტალური კორპორაციული მმართველობის წესების გარეშე და ასევე ისინიც, ვინც ასოცირდება კორპორაციის ბიზნეს საქმიანობასთან.

ზოგადად, ითვლება, რომ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მცირე რეგულირება ზღუდავს მოსამართლეებსა და იურისტებს, გადაჭრან კორპორაციული დავები, სადაც მოქმედი კანონი საერთოდ არ აწესებს სავალდებულო რეგულაციებს. ამიტომ არსებობს უამრავი მნიშვნელოვანი კითხვა მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში გადაუჭრელი ან მისი დებულებებით გამოწვეული საკანონმდებლო ხარვეზების შეფასებასთან. ამ შეკითხვების უმეტესობა წამოიჭრა დახურულ კორპორაციებთან მიმართებაში, სადაც აქციონერები ნაკლებად ფორმალურად იქცევიან, რადგან არ ხდება კორპორაციული მმართველობის სხვადასხვა საკითხების დეტალური რეგულირება, რაც შეიძლება მომავალში წარმოიქმნას. სხვა შემთხვევებში ითქვა, რომ მოქმედი კანონმდებლობის ბუნდოვანი ფორმულირება ქმნის სივრცეს გარკვეული სამართლებრივი დებულებების კონფლიქტური გაგებისთვის. ეს უკანასკნელი კორპორაციულ დაინტერესებულ მხარეებსა და იურისტებს ურთულებს გარკვეული კორპორაციული გადაწყვეტილებების შედეგების იდენტიფიცირებას. შედეგად, ასეთმა ბუნდოვანმა ფორმულირებამ შეიძლება გამოიწვიოს საწარმოთა სამართლებრივი ფორმების (მაგალითად, შპს-ს ან სს-ის) არასწორი გამოყენება. მაგალითად, დივიდენდების გადახდის არსებული წესი, რომელიც არ ავალდებულებს დივიდენდების განაწილებას, დასახელდა როგორც მსგავსი დარღვევის წყარო შპს-ებსა და სს-ებში. უფრო კონკრეტულად, ის ეხება ე.წ. ჩრდილოვან დივიდენდებს, როდესაც კომპანია მოგებას იყენებს აქციონერთა უმრავლესობის მაღალი და ჭარბი კომპენსაციისთვის, რომლებიც ამავდროულად ითავსებენ კომპანიის აღმასრულებლების ფუნქციასაც, როდესაც შეიძლება დივიდენდები სხვა (მინორიტარ) აქციონერებზეც განაწილებულიყო. ასეთ შემთხვევებში მინორიტარ აქციონერებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს საკუთარი ხედვა ასეთ საკითხებზე.

სფეროს სხვადასხვა ექსპერტებსა და დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა მოქმედ კანონმდებლობაში არსებული უფრო მეტი ხარვეზი გამოავლინა. მაგალითად, მოქმედ კანონმდებლობაში არ არის რეგულაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ, სადაც პირს ან კომპანიას შეუძლია პროფესიული ან ოფიციალური კომპეტენცია საკუთარი ან კორპორაციული სარგებლისთვის გამოიყენოს. ამჟამად ინტერესთა კონფლიქტის წესები მოცემულია მხოლოდ საქართველოს კანონში ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ, რომელიც 1998 წლის 24 დეკემბერს დამტკიცდა. ამასთან, იგი მხოლოდ განმცხადებელი კომპანიების შემთხვევაში მოქმედებს. მეტიც, საჭიროა ეფექტური ინფრასტრუქტურა და წესები, რათა დავრწმუნდეთ, რომ აქციონერები ჯეროვნად იყენებენ ისეთ კომპლექსურ მოდელებს, როგორიცაა „დრეგ ელონგები“, „თეგ ელონგები“ და აქციების სხვა ვარიანტები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგიერთი მოსაზრება კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს არსებულ საკანონმდებლო ჩარჩოში მნიშვნელოვანი ცვლილებების საჭიროებას. თუმცა ის მოსაზრებაც ძნელად მისაღებია, რომ კანონი არსებული სახით არ საჭიროებს გაუმჯობესებას.

F. საბაზისო მდგომარეობის აღწერა

საბაზისო სცენარი არის პოლიტიკის ვარიანტი, რომელშიც არსებულ კანონმდებლობაში არაფერი არ იცვლება (სტატუს-ჟო) და მოქმედი ეკონომიკური და სოციალური ტენდენციები (მაგ. მშპ-ის ზრდა, ეკონომიკის განვითარება, ეკონომიკის სტრუქტურა და სხვ.) ისევე ვითარდება, როგორც ამჟამად, რეფორმის არარსებობის ფონზე. მოსალოდნელია რომ საბაზისო სცენარის შემთხვევაში ზემოთ წარმოდგენილი პრობლემები შეიძლება გამძაფრდეს. საბაზისო სცენარში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ფინანსებზე წვდომასა და ფინანსური ბაზრების განვითარების ინდიკატორებს (საკანონმდებლო ჩარჩო და ინფრასტრუქტურა), რომელიც, არსებული ტენდენციის თანახმად, ჩამორჩება სწრაფი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისა და კეთილდღეობის მოსალოდნელ და საჭირო დონეს. ამაზე მეტყველებს ხელმისაწვდომი მონაცემების ანალიზი, კერძოდ:

- კერძო სექტორის შიდა ვალი (მშპ-ის %)
- სესხის განაკვეთი (%)
- მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ინდიკატორები
- მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდიკატორები
- Heritage Foundation-ის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი

ფინანსებზე წვდომასა და ფინანსური ბაზრის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გაეროს 2030 წლის დღის წესრიგში, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებისთვის. კერძოდ, გლობალური ამოცანები 8.3 („განვითარებაზე ორიენტირებული პოლიტიკის წახალისება, რომელიც ფინანსურ მომსახურებებზე წვდომის მეშვეობით ხელს უწყობს პროდუქტიულობის საკმიანობას, ღირსეული სამუშაო ადგილების შექმნას, მეწარმეობას, შემოქმედებითობასა და ინოვაციებს და აძლიერებს მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების შექმნასა და ზრდას“) და 9.3 („მცირე ზომის სამრეწველო და სხვა საწარმოების წვდომის გაზრდა ფინანსურ მომსახურებებსა და ხელმისაწვდომ კრედიტზე, ამ საწარმოების ინტეგრირება ღირებულებათა ჯაჭვებსა და ბაზრებზე, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში,“) ხაზს უსვამს მცირე და საშუალო საწარმოების (და არამხოლოდ) წვდომის საჭიროებას ფინანსურ მომსახურებებსა და კრედიტებზე.

საქართველოს კერძო სექტორის არსებული სტრუქტურა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) მონაცემებით, რეგისტრირებული კომპანიების მთლიანი რაოდენობა ექვსასი ათასს აჭარბებს, მაგრამ ამ კომპანიების მხოლოდ ერთი მეოთხედია აქტიური. აქტიური კომპანიების უმეტესობა (60%) წარმოადგენს ინდივიდუალურ საწარმოს. საწარმოების 39.5% და დანარჩენი კომპანიების 97% რეგისტრირებულია როგორც შპს, მაშინ, როდესაც სს-ები წარმოადგენს დარჩენილი კომპანიების 1.2%-ს და მთლიანი აქტიური კომპანიების (მათ შორის ინდივიდუალური მეწარმეების) 0.52%-ს. ბევრად ნაკლებია კომანდიტური საზოგადოება და სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

აქტიური კომპანიების სამართლებრივი ფორმების მსგავსი განაწილება გვხვდება სომხეთშიც, სადაც აქტიური კომპანიების 56% წარმოადგენს ინდივიდუალურ საწარმოს, 28.9% არის შპს,

189,000 კომპანიიდან მხოლოდ 2% არის სს⁶. 2014 წელს ინდივიდუალური საწარმოების წილი ევროკავშირში საშუალოდ 54%-ს შეადგენდა, მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული ქვეყნების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა (მაგალითად, პოლონეთში – 89.4%, ესტონეთსა და ლუქსემბურგში – 14.4%).

ცხრილი 5. აქტიური კომპანიების რაოდენობა სამართლებრივი ფორმისა და სექტორის მიხედვით

სექტორი	ყველა	სპს	კს	შპს	სს	კოოპ.	ინდ. მეწ.	უცხოური
ჯამი – საქართველო	159899	270	25	62895	841	290	95100	478
სოფლის მეურნეობა, მეტყვეობა და ნადირობა	1441	-	-	807	14	127	491	2
მეთევზეობა	118	-	-	68	1	5	44	-
სამთო მრეწველობა	581	2	-	440	10	-	118	11
მრეწველობა	11765	22	1	5751	120	30	5829	12
ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზისა და წყლის პროდუქტები/დისტრიბუცია	131	1	-	97	19	-	14	-
მშენებლობა	6117	3	1	5014	58	3	915	123
საცალო ვაჭრობა	59646	107	6	19600	66	15	39821	31
სასტუმროები და რესტორნები	5485	19	-	2924	22	-	2518	2
ტრანსპორტი და სასაწყობო მეურნეობა	8558	5	-	3590	51	-	4878	34
ფინანსური მომსახურება	1752	2	-	910	75	13	745	7
უმრავი ქონება	12655	83	15	8786	278	19	3302	172
საჯარო ადმინისტრირება	154	-	-	56	0	-	93	5
განათლება	1365	12	-	1044	2	-	304	3
ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფის მომსახურებები	2568	9	1	1472	50	-	1034	2
კომუნალური, სოციალური და პერსონალური	4035	3	-	1583	15	3	2423	8
მომსახურებები								
შინამოსამსახურისა და შინამეურნეობის საქმიანობა	99	-	-	4	-	-	95	-
დაკავშირებული საქონლისა და								


⁶ სომხეთის ელექტრონული რეესტრი

მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისთვის								
ექსტერიტორიული ორგანიზაციების	5	-	-	-	-	-	5	-
საქმიანობა								
უცხოი ეკონომიკური	43424	2	1	10749	60	75	32471	66
საქმიანობა								

წყარო: საქსტატი

შპს-ები არის ბიზნეს სექტორის საქმიანობის მთავარი მამოძრავებელი ძალა საქართველოში. საქსტატის ანგარიშის⁷ თანახმად, შპს-ების მთლიანი დამატებული ღირებულება, დასაქმება და ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში მნიშვნელოვნად აღემატება დანარჩენი სამართლებრივი ფორმების იგივე მაჩვენებელს ერთად აღებული.

გრაფიკი 1. დამატებული ღირებულება სამართლებრივი ფორმის მიხედვით, 2015 წელი (მლნ. ლარი)




წყარო: საქსტატი

⁷ აღნიშნული მონაცემები ეყრდნობა საქსტატის ბიზნეს სტატისტიკას და არ მოიცავს ფინანსური შუამდგომლობის, საჯარო ადმინისტრირების, კერძო შინამეურნეობების (რომლებიც ასაქმებენ ოჯახის წევრებს) და შინამეურნეობების მიერ საკუთარი


მოხმარებისთვის წარმოების სფეროებს ექსტრატერიტორიული ორგანიზაციებისა და ორგანოების საქმიანობას, საცალო ვაჭრობას ბაზრებსა და გამოფენებზე, ასევე საჯარო სამართლის არასამეწარმეო იურიდიულ პირებს და ერთეულებს.

გრაფიკი 2. დასაქმებულთა რაოდენობა სამართლებრივი ფორმის მიხედვით, 2015 წელი



წყარო: საქსტატი

გრაფიკი 3. ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში სამართლებრივი ფორმის მიხედვით, 2015 წელი (მლნ. ლარი)



წყარო: საქსტატი


ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ინდიკატორები

კერძო სექტორის შიდა ვალი გულისხმობს ფინანსური კორპორაციების მიერ კერძო სექტორისთვის გამოყოფილ ფინანსურ რესურსებს, მაგალითად: სესხებს, სასესხო ფასიანი ქაღალდების შესყიდვას, სავაჭრო კრედიტებსა და სხვა დებიტორული დავალიანებას, რაც წარმოშობს უკან გადახდის ვალდებულებას. ფინანსური კორპორაციები მოიცავს

მონეტარული პოლიტიკის გამტარებელ ინსტიტუტებს, დეპოზიტების მიმღებ ბანკებსა და სხვა ფინანსურ კორპორაციებს, რომელთა მონაცემებიც ხელმისაწვდომია.

კრედიტი ფულის მიმოქცევის მნიშვნელოვანი რგოლია. ის აფინანსებს წარმოებას, მოხმარებასა და კაპიტალის ფორმირებას, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს კერძო სექტორის განვითარებასა და ეკონომიკურ საქმიანობაზე. კერძო სექტორის დაკრედიტებით საქართველო ჩამორჩება მისი დონის ქვეყნებს. მართალია, ბოლო წლებში რამდენიმე პოზიტიური ტენდენცია დაფიქსირდა, თუმცა შიდა ფინანსური ინსტიტუტების მიერ კერძო სექტორის დაფინანსების დონე ჯერ კიდევ არ არის საკმარისი, რაც ხელს უშლის სექტორის ზრდასა და განვითარებას.


გრაფიკი 4. კერძო სექტორზე გაცემული შიდა ვალი (მშპ-ის %)



წყარო: მსოფლიო განვითარების ინდიკატორები

ფინანსებზე ხელმისაწვდომობის შეფასების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი არის სესხის სარგებლის განაკვეთი – ბანკის მიერ დაწესებული განაკვეთი, რომელიც აკმაყოფილებს კერძო სექტორის მოკლე და საშუალოვადიან ფინანსურ საჭიროებებს. როგორც წესი, ეს განაკვეთი განსხვავდება მსესხებლის კრედიტის გადახდისუნარიანობისა და დაფინანსების მიზნების მიხედვით. საპროცენტო განაკვეთის ფორმირება დიდწილად არის დამოკიდებული მსესხებელი საწარმოს რისკებზე. კორპორაციულ მმართველობაში არსებული გაურკვევლობები და სასამართლო დავების გადაწყვეტის ძვირადღირებული/ხანგრძლივი პროცესი ზრდის ფინანსური ინსტიტუტების მიერ დაწესებულ რისკის პრემიას. განუვითარებელი ფინანსური ბაზრები და ალტერნატიული ფინანსური ინსტრუმენტების ნაკლებობაც ხელს უწყობს სესხების საფასურის ზრდას. მაღალი სესხის სარგებლის განაკვეთი ნიშნავს, რომ კერძო სექტორის საქმიანობის დაფინანსების ხარჯები იზრდება. კლებადი ტენდენციების მიუხედავად, საქართველოში სესხის სარგებლის განაკვეთი მნიშვნელოვნად აჭარბებს მისი დონის ეკონომიკების მაჩვენებელს, რაც ქვეყანაში კერძო სექტორის რისკიანობასა და არაჯეროვან განვითარებაზე მიანიშნებს.

გრაფიკი 5. სესხის სარგებლის განაკვეთი (%)



წყარო: მსოფლიო განვითარების ინდიკატორები

ქართული საწარმოების ფინანსებზე შეზღუდულ წვდომას ადასტურებს მსოფლიო ბანკის კვლევა „მეწარმეობის ხელშეწყობა საქართველოში“. აღნიშნული კვლევის ფინანსებზე წვდომის ინდიკატორი აფასებს საწარმოების მიერ საკუთარი საქმიანობის დაფინანსებასა და მათი ფინანსური ტრანზაქციების მახასიათებლებს. შედეგები ეფუძნება მრეწველობის სექტორის 360 მსხვილი, საშუალო და მცირე საწარმოს გამოკითხვას.

მართალია, თითქმის ყველა საწარმო იყენებს ფინანსურ სადეპოზიტო მომსახურებას (მაგ. მიმდინარე და შემნახველ ანგარიშებს), მაგრამ ბანკის სესხის მქონე ან საკრედიტო ხაზით მოსარგებლე საწარმოების პროპორციული წილი მაინც საკმაოდ დაბალია. სესხის უზრუნველყოფისთვის საჭირო გირაო მეტისმეტად მაღალია, რის გამოც საწარმოები ინვესტიციებს ძირითადად შიდა რესურსებით აფინანსებენ.

ცხრილი 6. მსოფლიო ბანკის კვლევა „მეწარმეობის ხელშეწყობა საქართველოში“, 2013 წელი

ფინანსებზე წვდომის ინდიკატორები	საქართველო
მიმდინარე და შემნახველი ანგარიშების მქონე საწარმოების წილი	94.2
საბანკო სესხის/საკრედიტო ხაზის მქონე საწარმოების წილი	35.8
გირაოს საჭიროების მქონე სესხების პროპორცია (%)	95.6
სესხისთვის საჭირო გირაოს ღირებულება (სესხის %)	223.3
საწარმოების წილი, რომელთაც არ სჭირდებათ სესხი	59.8
საწარმოების წილი, რომელთაც ახლახან უარი ეთქვათ სესხზე	4.6
საწარმოების წილი, რომლებიც ინვესტიციებისთვის ბანკებს იყენებენ	22
შიდა რესურსებით დაფინანსებული ინვესტიციების პროპორცია (%)	75.2
ბანკების მეშვეობით დაფინანსებული ინვესტიციების პროპორცია (%)	12.1
მიმწოდებლის მიერ დაფინანსებული ინვესტიციების პროპორცია (%)	1.1
კაპიტალის ან აქციების გაყიდვებით დაფინანსებული ინვესტიციების პროპორცია (%)	10.8

საწარმოების წილი, რომლებიც სამუშაო კაპიტალის დასაფინანსებლად იყენებენ ბანკებს ბანკების მეშვეობით დაფინანსებული სამუშაო კაპიტალის პროპორცია	27.6
(%) მიმწოდებლის მიერ დაფინანსებული სამუშაო კაპიტალის პროპორცია	15.3
(%) კომპანიების წილი, რომლებიც მთავარ პრობლემად ფინანსებზე	3.5
	18.3

წვდომას ასახელებენ

წყარო: მეწარმეობის ხელშეწყობა საქართველოში, მსოფლიო ბანკი

საკანონმდებლო ჩარჩო და ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურა

ბიზნესის კეთების ინდექსი


ბიზნესის კეთების ინდექსის მიხედვით, საქართველომ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა. 2006 წელს ქვეყანა მე-100 ადგილს იკავებდა, თუმცა სწრაფი და ეფექტური რეფორმების წყალობით, 2010 წელს მე-10 ადგილზე გადაინაცვლა. საქართველოს ბიზნესის კეთების რეიტინგმა პიკს მიაღწია 2013 (მე-9 ადგილი) და 2014 (მე-8 ადგილი) წლებში. ინდექსის მეთოდოლოგიაში შეტანილი ცვლილებების შემდეგ, საქართველომ 2015 მე-15, 2016 წელს კი 24-ე ადგილებზე ჩამოინაცვლა, თუმცა 2017 წელს მოახერხა მდგომარეობის გამოსწორება, ძირითადად „ელექტროენერგიით მომარაგებისა“ და „მინორიტარულ ინვესტორთა უფლებების დაცვის“ კომპონენტებში მიღწეული გაუმჯობესების წყალობით.

ჩვენი კვლევისთვის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი ინდიკატორი არის ბიზნესის დაწყებისა და მინორიტარულ ინვესტორთა უფლებების დაცვის ინდიკატორები.

ბიზნესის კეთების ინდექსის ბიზნესის დაწყების კომპონენტი

ბიზნესის კეთების ინდექსის ბიზნესის დაწყების კომპონენტი აერთიანებს ყველა იმ ფორმალურ პროცედურას, რაც უნდა გაიაროს მეწარმემ, რომ დაიწყოს საქმიანობა და ფორმალურად აამუშაოს სამეწარმეო ან კომერციული ბიზნესი, აგრეთვე ამ პროცედურებისთვის საჭირო დროსა და ხარჯებს და შეტანილ მინიმალურ საწესდებო კაპიტალს. საქართველომ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა ბიზნესის დაწყების ინდიკატორში და 2007 წლის 36-ე ადგილიდან 2017 წელს მე-8 ადგილზე გადაინაცვლა.

გრაფიკი 6. ბიზნესის კეთების ინდექსის ბიზნესის დაწყების კომპონენტი საქართველოსთვის



წყარო: მსოფლიო ბანკი, ბიზნესის კეთების ინდექსი

ცხრილი 7. ბიზნესის დაწყების კომპონენტი საქართველოსთვის, 2017 წელი

#	პროცედურა	შესრულებისთვის საჭირო დრო	შესრულებისთვის საჭირო ხარჯი
1	სამეწარმეო რეესტრში კომპანიის რეგისტრაცია, საიდენტიფიკაციო ნომრის მიღება, საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობის აღება	1 დღე	100 ლარი (სტანდარტული რეგისტრაცია), 200 ლარი (დაჩქარებული რეგისტრაცია + 1 ლარი (ბანკის მომსახურება)
2	ბანკში ანგარიშის გახსნა და რეგისტრაციის საფასურის გადახდა	1 დღე	უფასო
3	დღგ-ის რეგისტრაცია	1 დღე	უფასო

წყარო: მსოფლიო ბანკი, ბიზნესის კეთების ინდექსი

ბიზნესის კეთების ინდექსის მინორიტარულ ინვესტორთა უფლებების დაცვის კომპონენტი

საქართველომ კიდევ უფრო დიდი პროგრესი განიცადა მინორიტარულ ინვესტორთა უფლებების დაცვის კომპონენტის მიხედვით. 2007 წელს ქვეყანა 135-ე ადგილზე იყო, 2017 წელს კი უკვე მე-7 ადგილზე გადაინაცვლა, რითიც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა 2016 წლის შედეგი.

მინორიტარულ ინვესტორთა უფლებების დაცვის კომპონენტი დგება ფასიანი ქაღალდების შესახებ რეგულაციების, მეწარმეთა შესახებ კანონებისა და ფაქტებისა და პროცედურების სასამართლო წესების მიხედვით. კორპორაციული და ფასიანი ქაღალდების სფეროში იურისტების გამოკითხვის მეშვეობით შეგროვებული დეტალური ინფორმაციის საფუძველზე. მინორიტარულ ინვესტორთა უფლებების დაცვის 6 კომპონენტის შედგენისას ქულა ენიჭება თითოეულ კომპონენტს მთელი რიგი პირობების გათვალისწინებით. ეს პირობებია გახსნილობა, დირექტორთა ვალდებულებები, აქციონერთა მოთხოვნები,

აქციონერთა უფლებები, მფლობელობა და კონტროლი, კორპორაციული გამჭვირვალობა სტანდარტულ შემთხვევაში. ქვემოთ მოცემულ შემთხვევებში ცხრილში წარმოდგენილია საქართველოსთვის მინიჭებული ქულები.

ცხრილი 8. მინორიტარულ ინვესტორთა უფლებების დაცვის კომპონენტი
საქართველოსთვის, 2017 წელი

გახსნილობის ხარისხის ინდექსი (9/10)	აქციონერთა უფლებების დაცვის ხარისხის ინდექსი (7/10)
დაინტერესებულ მხარეებთან ტრანზაქციების გადახედა და დამტკიცება	აქციონერთა უფლებები და მათი როლი მნიშვნელოვანი კორპორაციული გადაწყვეტილებების მიღებისას
დაინტერესებულ მხარეებთან ტრანზაქციების შიდა, გადაუდებელი და პერიოდული გამოქვეყნება	
დირექტორთა ვალდებულებების ხარისხის ინდექსი (6/10)	მფლობელობისა და კონტროლის ხარისხის ინდექსი (8/10)
მინორიტარულ აქციონერთა უფლება, გაასაჩივრონ და პასუხისმგებლობა მისცენ დირექტორები დაინტერესებულ მხარეებთან საეჭვო ტრანზაქციებისთვის	მმართველობის გარანტიები, რომლებიც იცავს აქციონერებს სამეურვეო საბჭოს არალეგალური კონტროლისა და ზეწოლისგან
ხელმისაწვდომი იურიდიული საშუალებები (ზიანი, მოგების გადაადგილება, ჯარიმები, თავისუფლების აღკვეთა და ტრანზაქციების გაუქმება)	
აქციონერთა გასაჩივრების სიმარტივის ინდექსი (8/10)	კორპორაციული გამჭვირვალობის ხარისხის ინდექსი (8/10)
წვდომა შიდა კორპორაციულ დოკუმენტაციაზე	მფლობელობის რისკებთან დაკავშირებული კორპორაციული გამჭვირვალობა, კომპენსაცია, აუდიტი და ფინანსური პერსპექტივები
საქმის სასამართლო განხილვისას მოპოვებადი მტკიცებულებები	
იურიდიული ხარჯების განაწილება	
ინტერესთა კონფლიქტის რეგულირების ხარისხის ინდექსი (7.7/10)	აქციონერთა მმართველობის ხარისხის ინდექსი (7.7/10)
გახსნილობის ხარისხის, დირექტორთა ვალდებულებების ხარისხისა და აქციონერთა ინდექსის სიმარტივის მარტივი საშუალო	აქციონერთა უფლებების, მფლობელობისა და კონტროლის ხარისხისა და კორპორაციული გამჭვირვალობის ხარისხის ინდექსების მარტივი საშუალო
მინორიტარულ აქციონერთა უფლებების დაცვის სიძლიერის ინდექსი (7.7/10)	
ინტერესთა კონფლიქტის რეგულირების ხარისხისა და აქციონერთა მმართველობის ხარისხის ინდექსების მარტივი საშუალო	

წყარო: მსოფლიო ბანკი, ბიზნესის კეთების ინდექსი

მართალია, ბიზნესის კეთების ანგარიში მინორიტარულ აქციონერთა უფლებების დაცვის მხრივ საქართველოს საკანონმდებლო ბაზას საკმაოდ დადებითად აფასებს, მაგრამ პრობლემები რჩება რამდენიმე ქვე-ინდექსში, განსაკუთრებით დირექტორთა ვალდებულებების ხარისხისა და აქციონერთა უფლებების ხარისხის ინდექსებში.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (GCI)

გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის თანახმად, კონკურენტუნარიანობა არის ინსტიტუტების, პოლიტიკისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ ეკონომიკის მწარმოებლურობის დონეს, რომელიც თავის მხრივ, ადგენს კეთილდღეობის იმ დონეს, რომლის მიღწევაც შეუძლია ამა თუ იმ ქვეყანას.


ანგარიში კონკურენტუნარიანობას აფასებს 12 მახასიათებლის მიხედვით. ეს მახასიათებლებია: ინსტიტუტები, ინფრასტრუქტურა, მაკროეკონომიკური გარემო, ჯანმრთელობა და დაწყებითი განათლება, უმაღლესი და პროფესიული განათლება, საქონლისა და მომსახურების ბაზრის ეფექტიანობა, შრომის ბაზრის ეფექტიანობა, ფინანსური ბაზრების განვითარებულობა, ტექნოლოგიური განვითარების დონე, ადგილობრივი ბაზრის მასშტაბები, ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ინოვაციები. თავის მხრივ, განვითარების სამი ძირითადი ეტაპის მიხედვით, ეს მახასიათებლები იყოფა 3 ქვე-ინდექსად. ეს სამი ძირითადი ეტაპია: ძირითადი მოთხოვნები, ეფექტიანობის გაძლიერება და ინოვაცია და კონკურენტუნარიანობა. ზოგადი ინდექსის გაანგარიშებისას აღნიშნულ სამ ქვე-ინდექსს ენიჭება წონა, რაც დამოკიდებულია თითოეული ეკონომიკის განვითარების ეტაპზე (წონები გამოდის შემდეგი ორი მაჩვენებლის მიხედვით: მშპ ერთ სულ მოსახლეზე და მინერალური ნედლეულის წილი მთლიან ექსპორტში).

კონცეფციის შედგენისას GCI იყენებს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის აღმასრულებელ პირთა წლიურ კვლევებს, რომლისთვისაც საჭიროა ხარისხობრივი შეფასება ან რომლისთვისაც არ არსებობს ყოვლისმომცველი და საერთაშორისო დონეზე შედარებადი მონაცემები. ამისთვის GCI იყენებს საერთაშორისო დონეზე აღიარებული ინსტიტუტების, ძირითადად, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციისა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებს.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი არის ქვეყნის ბიზნეს სექტორის გარემოს სხვადასხვა კუთხით შეფასების საუკეთესო საშუალება. საქართველოს ბაზრის კონკურენტუნარიანობის ზრდის ერთ-ერთი უმთავრესი დაბრკოლება არის ფინანსური ბაზრის განვითარება, რაც გულისხმობს ისეთ ინდიკატორებს, როგორიცაა, მაგალითად, მინორიტარულ აქციონერთა უფლებების დაცვა, ვენჩურული კაპიტალის ხელმისაწვდომობა, დაფინანსება ადგილობრივი სააქციო კაპიტალის ბაზრის მეშვეობით. ისეთი საკითხები, როგორიცაა აუდიტისა და ანგარიშგების სტანდარტების სიძლიერე და კორპორაციული საბჭოების ეფექტიანობა, ნაკლები დოზით, თუმცა მაინც მიაწვდენს კორპორაციულ მმართველობაში პრობლემების არსებობაზე. ისეთი ინდიკატორები, როგორიცაა სამართლებრივი ჩარჩოს ეფექტიანობა პრობლემურ რეგულაციებსა და დავების გადაწყვეტის

ეფექტიანობა, თანაბრად მოქმედებს გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგში საქართველოს ზოგად, შედარებით სუსტ პოზიციაზე .

გრაფიკი 7. გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგი, საქართველო



წყარო: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში

ცხრილი 9. შერჩეული გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდიკატორები, საქართველო, 2017 წელი

საქართველო	რეიტინგი	რეიტინგი 13	შეფასება
2016-2017	59	8	
სახელმწიფო რეგულაციების ტვირთი		8	4.8
სამართლებრივი უფლებების ინდექსი 0-10 (საუკეთესო)		13	9
ინვესტორთა დაცვის ხარისხი 0-10 (საუკეთესო)		20	6.8
პრობლემურ რეგულაციებში სამართლებრივი ბაზის ეფექტიანობა		52	3.7
სესხებზე წვდომის სიმარტივე		52	4.2
დავების გადაწყვეტაში საკანონმდებლო ბაზის ეფექტიანობა		53	4
ბანკების სიჯანსაღე		54	5.2
პროფესიონალი მენეჯმენტის სანდოობა		56	4.5
აუდიტისა და ანგარიშგების სტანდარტების სიმდიდრე		61	4.7
კორპორაციული საბჭოების ეფექტიანობა		77	4.8
ფინანსური მომსახურებები, რომლებიც აკმაყოფილებს ბიზნესის საჭიროებებს		79	4.1

ფასიანი ქაღალდების გაცვლის რეგულირება	81	4.1
ფინანსური მომსახურებების ხელმისაწვდომობა	82	3.6
ვენჩურული კაპიტალის ხელმისაწვდომობა	94	2.6
მინორიტარულ აქციონერთა ინტერესების დაცვა	105	3.6
ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის მეშვეობით დაფინანსება	130	2.4

წყარო: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში, მნიშვნელობები მერყეობს 0 (ყველაზე ცუდი) და 7 (საუკეთესო) შორის, თუ სხვაგვარად არ არის განმარტებული

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ეფუძნება 12 რაოდენობრივ და ხარისხობრივ ფაქტორს, რომლებიც დაჯგუფებულია ეკონომიკური თავისუფლების 4 ფართო კატეგორიად:

- კანონის უზენაესობა (საკუთრების უფლება, მთავრობის კეთილსინდისიერება, სასამართლო სისტემის ეფექტიანობა);
- მთავრობის ზომა (მთავრობის ხარჯები, საგადასახადო ტვირთი, ფისკალური სიჯანსაღე);
- ეფექტიანი რეგულირება (ბიზნესის თავისუფლება, შრომის თავისუფლება, მონეტარული თავისუფლება);
- ღია ბაზრები (სავაჭრო თავისუფლება, საინვესტიციო თავისუფლება, ფინანსური თავისუფლება).

თითოეულს ეკონომიკური თავისუფლების ამ 12 ფაქტორიდან ამ კატეგორიებში ენიჭება 0-დან 100-მდე ქულა. ქვეყნის ზოგადი ქულა ითვლება ამ 12 ეკონომიკური თავისუფლების ფაქტორის საშუალოდან, იმ დაშვებით, რომ ყველა ფაქტორს აქვს თანაბარი წონა.

ინდექსი ეფუძნება ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს, მათ შორის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმს, გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშს, საერთაშორისო გამჭვირვალობის კორუფციის აღქმის ინდექსს, მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ინდექსს, Credendo Group-ის, ქვეყნის რისკის შეფასებასა და სხვ.

Heritage Foundation-ის ყველასათვის კარგად ცნობილი ინდექსი ადასტურებს სხვა ინდიკატორების მიერ გამოვლენილი პრობლემების არსებობას, რომელთა შორის ყველაზე სუსტი რგოლი არის კანონის უზენაესობა.

ცხრილი 10. საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი

ეკონომიკური თავისუფლება	საქართველო
რეგიონი	ევროპა
მსოფლიო ბანკი	13
რეგიონის რეიტინგი	5
2017 წლის ქულა	76.0/100
ფისკალური სიჯანსაღე	93.5
სავაჭრო თავისუფლება	88.6
საგადასახადო ტვირთი	87.3
ბიზნესის თავისუფლება	87.2
საინვესტიციო თავისუფლება	80
მონეტარული თავისუფლება	78.2
შრომის თავისუფლება	75.9
მთავრობის ხარჯები	74.4
სასამართლო სისტემის ეფექტიანობა	66.5
მთავრობის კეთილსინდისიერება	65.0
ფინანსური თავისუფლება	60
საკუთრების უფლება	55.1

წყარო: The Heritage Foundation, მნიშვნელობები მერყეობს 0 (ცველაზე ცუდსა) და 100 (საუკეთესოს) შორის

II. მიზნები

A. ზოგადი მიზნები

1. მეწარმეთა შესახებ კანონის ნორმებისა და პრაქტიკის ეფექტურობის გაზრდა ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით;
2. ევროკავშირის მეწარმეთა შესახებ კანონთან ეფექტიანი ჰარმონიზაცია.

B. კონკრეტული და საოპერაციო მიზნები

1. მეწარმეთა შესახებ კანონის ნორმებისა და პრაქტიკის ეფექტურობის გაზრდა ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით :
 - a. გაურკვევლობების შემცირება და საკანონმდებლო ბაზის, როგორც „ხარვეზების“ შემავსებლის“ როლის გაძლიერება;
 - b. შპს-ებისთვის გარე დაფინანსების შესაძლებლობების გაზრდა;
 - c. სს-ის კორპორაციული მმართველობის გაუმჯობესება;
 - d. უმცირესობებისა და მესამე მხარეთა უფლებების დაცვის გაუმჯობესება;
 - e. კორპორაციული გამჭვირვალობის გაზრდა.
2. ევროკავშირის მეწარმეთა შესახებ კანონთან ეფექტიანი ჰარმონიზაცია:
 - a. ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებებით გამოწვეული ევროკავშირის საწარმოთა შესახებ დირექტივების გადმოტანა მინიმალური ხარჯებით. ასევე, მოქნილობისა და ქვეყნისთვის დამახასიათებელ პრობლემებზე რეაგირების უნარის შენარჩუნებით.

ცხრილი 11. მიზნების შეჯამება

მიზანი	ინდიკატორი	ვალდებულება	დრო
ეფექტურობის ზრდა			
გაურკვევლობების შემცირება, საკანონმდებლობა ბაზის, როგორც „ხარვეზების“ შემავსებლის“, როლის გაძლიერება	სამეწარმეო სამართლებრივი დავების რაოდენობა საკანონმდებლო ბაზის ეფექტიანობა დავების გადაწყვეტისას ⁸	იუსტიციის სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	2020 წლისთვის სამეწარმეო სასამართლო საქმეების რაოდენობის შემცირდა 20%-ით.

⁸ გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, აღმასრულებელ პირთა გამოკვლევა: „თქვენს ქვეყანაში რამდენად ეფექტურია საკანონმდებლო და სასამართლო სისტემები საწარმოების დავების გადაწყვეტისას?“ [1 = უკიდურესად რთული; 7 = უკიდურესად მარტივი]

			რეფორმის პირველი 10 წლის განმავლობაში ეტაპობრივად იზრდება მაქსიმუმამდე
შპს-ებისთვის გარე დაფინანსების შესაძლებლობების გაზრდა	ადგილობრივი კაპიტალის ბაზრებიდან მიღებული დაფინანსება ⁹ სესხებზე წვდომის სიმარტივე ¹⁰	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	რეფორმის პირველი 10 წლის განმავლობაში ეტაპობრივად იზრდება მაქსიმუმამდე
სს-ის კორპორაციული მმართველობის გაუმჯობესება	კორპორაციული საბჭოების ეფექტურობა ¹¹	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	რეფორმის პირველი 10 წლის განმავლობაში ეტაპობრივად იზრდება მაქსიმუმამდე
უმცირესობებისა და მესამე მხარეთა უფლებების დაცვის გაუმჯობესება	მინორიტარული აქციონერთა ინტერესების დაცვა ¹² ინვესტორთა უფლებების დაცვის სიმძლიერე ¹³	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო	რეფორმის პირველი 10 წლის განმავლობაში ეტაპობრივად იზრდება მაქსიმუმამდე
კორპორაციული გამჭვირვალობის გაზრდა	აუდიტისა და ანგარიშგების სტანდარტების სიმძლიერე ¹⁴	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ფინანსთა	რეფორმის პირველი 10 წლის განმავლობაში ეტაპობრივად იზრდება მაქსიმუმამდე

⁹ გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, აღმასრულებელ პირთა გამოკვლევა: „თქვენს ქვეყანაში რამდენად შეუძლიათ საწარმოებს თანხის შეგროვება კაპიტალის ბაზარზე აქციების და/ან ბონდების გამოშვებით?“ [1 = უკიდურესად რთული; 7 = უკიდურესად მარტივი]

¹⁰ გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, აღმასრულებელ პირთა გამოკვლევა: „თქვენს ქვეყანაში რამდენად მარტივია საწარმოსთვის ბანკის სესხის აღება?“ [1 = უკიდურესად რთული; 7 = უკიდურესად მარტივი]

¹¹ გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, აღმასრულებელ პირთა გამოკვლევა: „თქვენს ქვეყანაში რა დონეზე არიან საწარმოს მმართველები ანგარიშვალდებული ინვესტორებისა და დირექტორთა საბჭოს წინაშე?“ [1 = უკიდურესად რთული; 7 = უკიდურესად მარტივი]

¹² გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, აღმასრულებელ პირთა გამოკვლევა: „თქვენს ქვეყანაში რამდენად იცავს საკანონმდებლო სისტემა მინორიტარული აქციონერების ინტერესებს?“ [1 = უკიდურესად რთული; 7 = უკიდურესად მარტივი]

¹³ მსოფლიო ბანკი/საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, ინვესტორთა უფლებების დაცვის ინდექსი 0-10-ქულიან (საუკეთესო) შკალაზე

¹⁴ გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, აღმასრულებელ პირთა გამოკვლევა: „თქვენს ქვეყანაში რამდენად ძლიერია ფინანსური აუდიტისა და ანგარიშგების სტანდარტები?“ [1 = უკიდურესად რთული; 7 = უკიდურესად მარტივი]

		სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო	
ჰარმონიზაცია			
ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებებით გამოწვეული ევროკავშირის საწარმოთა შესახებ დირექტივების გადმოტანა მინიმალური ხარჯებით. ასევე, მოქნილობისა და ქვეყნისთვის დამახასიათებელ პრობლემებზე რეაგირების უნარის შენარჩუნებით.	ევროკავშირის მეწარმეთა შესახებ კანონის დირექტივების გადმოტანილი რაოდენობა გადმოტანილი ევროკავშირის მეწარმეთა შესახებ კანონის დირექტივების რეგულირების ხარჯები	იუსტიციის სამინისტრო	2020 წლისთვის ექვსივე დირექტივა გადმოტანილია, მინიმალური დანახარჯის პრინციპით, რომელიც ეფუძნება რეგულირების ზეგავლენის შეფასებას

III. პოლიტიკის ვარიანტები

კვლევის ამ ნაწილში განხილულია დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის, პრობლემების ანალიზის და მიზნების განსაზღვრის შემდეგ შერჩეული პოლიტიკის ვარიანტები.

შესაფასებელი ალტერნატიული ვარიანტების შერჩევისას RIA-ის გუნდმა იხელმძღვანელა ორი კრიტერიუმით: 1) განხილული პოლიტიკის ვარიანტი თანხმობაშია ევროკავშირის დირექტივებთან, 2) კანონპროექტით გათვალისწინებულ დებულებებთან შედარებით, იძლევა მეტი მოქნილობის საშუალებას.

ვარიანტი 1

„უცვლელი პოლიტიკის“ ვარიანტში მეწარმეთა შესახებ მოქმედი კანონი არ იცვლება და, შესაბამისად, კანონის არსებულ ფორმულირებასთან დაკავშირებული ტენდენციებიც უცვლელი რჩება. ეს ნიშნავს, რომ ეკონომიკური და სოციალური ტენდენციები (მაგ. მშპ-ის ზრდა, ეკონომიკის განვითარება, ეკონომიკის წყობა და სხვ.) ზუსტად ისევე ვითარდება, როგორც ახლა, რეფორმის არარსებობის შემთხვევაში. გაზრდილი ეკონომიკური საქმიანობისა და ბიზნესის განვითარებით გამოწვეულ საკანონმდებლო აღსრულების გაუარესების რისკს თავიდან ვერ ავიცილებთ. მეტიც, საქართველო ვერ შეძლებს ფინანსებზე წვდომის გაძლიერების გარემოს შექმნას და ვერ შეძლებს ევროკავშირთან ჰარმონიზაციის ვალდებულებების შესრულებას. მეორეს მხრივ, თავიდან ავიცილებთ საჯარო და კერძო სექტორების ახალ რეგულაციებით გამოწვეულ დამატებით ტვირთს.

ჩვენ მე-2 და მე-3 ვარიანტების სახით წარდგენილ პოლიტიკურ ჩარევებს შევადარებთ ზემოთ აღწერილ ალტერნატივას, რათა შევაფასოთ ამ ჩარევების ჩარევების წმინდა სარგებელი¹⁵.

ვარიანტი 2

პოლიტიკის მე-2 ვარიანტის თანახმად, კანონპროექტის ავტორების მიერ გათვალისწინებული ყველა ძირითადი დებულება დანერგილია. კანონპროექტის მთელი რიგი დებულებები ეხება როგორც შპს-ებს, ისე სს-ებს, შესაბამისად, ჩვენს ანალიზში ყურადღებას გავამახვილებთ რეფორმის ამ ვერსიის მოსალოდნელ გავლენაზე სს-ებზე და შპს-ებზე.

ამ ვარიანტს უკავშირდება შემდეგი ძირითადი რისკები:

- 1) სს-ებისა და შპს-ების მმართველობის ეფექტიანობისა და მოქნილობის შემცირება;
- 2) სს-ებისა და შპს-ების მართვის ხარჯების ზრდა;
- 3) სს-ის დაფუძნების გართულება;
- 4) დამახინჯებული სტიმული, რაც მეწარმეს უბიძგებს შპს-ის ან სხვა სამართლებრივი ფორმის საწარმოს დაფუძნებისკენ, რათა თავიდან აიცილოს დამატებითი ტვირთი. ეს ნაწილობრივ ამცირებს რეფორმის პოტენციურ დადებით ეფექტს;

¹⁵ სარგებელს მინუს ხარჯები.

5) მეწარმეთა შესახებ კანონის განხორციელებასა და აღსრულებაში სირთულეები რომელმაც შეიძლება კიდევ უფრო გააუარესოს საჯარო ისნტიტუტების ეფექტიანობა. აღნიშნული რისკების შემცირების გზებია:

- რეფორმის ეტაპობრივი განხორციელების მხარდაჭერა, რაც საწარმოებს მისცემს გარდამავალ პერიოდს, შესაბამისობაში მოვიდნენ ახალ რეგულაციებთან. ეს განსაკუთრებით მცირე საწარმოებს გადაუვადებს ხარჯებს და საშუალებას მისცემს მათ, უკეთ გაიაზრონ რეფორმასთან დაკავშირებული პოტენციური სარგებლი;
- დისპოზიციური წესების (რომლებიც გამოიყენება მხარეთა შორის სხვადასხვა შეთანხმებების არარსებობის შემთხვევაში) შემოღებისთვის მეტი შესაძლო მნიშვნელობის მინიჭება, იმპერატიული წესების (რაც ზღუდავს მხარეებს) შემოღებასთან შედარებით.

მე-3 ვარიანტი

მე-3 ვარიანტი არის მე-2 ვარიანტის ვარიაცია, რომლიდანაც ამოღებულია ყველა ის იმპერატიული დებულება, რომელთა შესრულებაც არ არის გათვალისწინებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით. უფრო კონკრეტულად, ჩვენ გავაანალიზებთ წარდგენილი რეგულაციების გავლენას სს-ებზე მხოლოდ ასოცირების შესახებ შეთანხმების ვალდებულებების ფარგლებში და გავათავისუფლებთ შპს-ებს იმ მოთხოვნებისგან, რომლებიც კანონპროექტის ფარგლებში დაეკისრა მათ.

აღნიშნულ ვარიანტთან დაკავშირებული ძირითადი რისკებია:

- 1) სს-ების მმართველობის ეფექტიანობისა და მოქნილობის შემცირება;
- 2) სს-ის მართვის ხარჯების ზრდა;
- 3) სს-ის დაფუძნების გართულება.
- 4) დამახინჯებული სტიმული, რაც მეწარმეს უზიძგებს შპს-ის ან სხვა სამართლებრივი ფორმის საწარმოს დაფუძნებისკენ, რათა თავიდან აიცილოს დამატებითი ტვირთი. ეს ნაწილობრივ ამცირებს რეფორმის პოტენციურ დადებით ეფექტს;
- 5) მეწარმეთა შესახებ კანონის განხორციელებასა და აღსრულებაში სირთულეები რომელმაც შეიძლება კიდევ უფრო გააუარესოს საჯარო ისნტიტუტების ეფექტიანობა.

ამ ვარიანტის შემთხვევაშიც ეს რისკები შეიძლება შემცირდეს:

- რეფორმის ეტაპობრივი განხორციელების მხარდაჭერა, რაც საწარმოებს მისცემს გარდამავალ პერიოდს, შესაბამისობაში მოვიდნენ ახალ რეგულაციებთან. ეს განსაკუთრებით მცირე საწარმოებს გადაუვადებს ხარჯებს და საშუალებას მისცემს მათ, უკეთ გაიაზრონ რეფორმასთან დაკავშირებული პოტენციური სარგებლი;
- დისპოზიციური წესების (რომლებიც გამოიყენება მხარეთა შორის სხვადასხვა შეთანხმებების არარსებობის შემთხვევაში) შემოღებისთვის მეტი შესაძლო მნიშვნელობის მინიჭება, იმპერატიული წესების (რაც ზღუდავს მხარეებს) შემოღებასთან შედარებით.

გაანალიზებული პოლიტიკის ვარიანტები (1, 2, 3):

- კაპიტალის მოძრაობა (2012/30/EU დირექტივა (საწარმოების მე-2 დირექტივა));
- საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობის მოთხოვნა (2012/30/EU დირექტივა (საწარმოების მე-2 დირექტივა));
- შერწყმა (2011/35/EU დირექტივა (საწარმოების მე-3 დირექტივა));
- გამოყოფა/გაყოფა (82/891/ EEC დირექტივა (საწარმოების მე-6 დირექტივა));
- კაპიტალის დანაკარგი (2012/30/EU დირექტივა (საწარმოების მე-2 დირექტივა));
- რეგისტრაცია (2009/101/EC დირექტივა (საწარმოების 1-ლი დირექტივა));
- დებულებები ინტერესთა კონფლიქტის შესახებ;
- პარტნიორის გამეჯვება და გასვლა.

IV. გავლენების ანალიზი

ანალიზში გამოყენებული (ეფექტიანობაზე ორიენტირებული) მეთოდოლოგია არის ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი, რომელთან ერთადაც გამოვიყენეთ ხარისხობრივი ანალიზი იმ კომპონენტებისთვის, რომელთა რაოდენობრივად შეფასებაც დროისა და მონაცემების შეზღუდვების გამო შეუძლებელია. ეფექტიანობაზე ორიენტირებული ანალიზს თან ახლავს მრავალკრიტერიუმიანი ანალიზი, რომელიც შევა სხვა კომპონენტების შედარებით ანალიზში, ეფექტიანობის დაშვებებთან ერთად.

ხარჯები დათვლილია ევროკავშირის სტანდარტული ხარჯების მოდელის¹⁶ საფუძველზე. ეს მოდელი გამოიყენება მაშინ, როდესაც საზომი ბიზნესს, ნებაყოფლობით სექტორს ან საჯარო უწყებას უწესებს (რაოდენობრივად შეფასებად) მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ ხარჯს. ამ მოდელის ძირითადი მიზანია ევროკავშირის კანონმდებლობით დაწესებული ინფორმაციის შესახებ ვალდებულების წმინდა ხარჯების¹⁷ შეფასება.

ადმინისტრაციული ხარჯები არის საწარმოების, ნებაყოფლობითი სექტორის, საჯარო უწყებების ან მოქალაქეების ხარჯები, რაც წარმოიქმნება სამართლებრივი ვალდებულებების შესრულებისას საკუთარი საქმიანობის ან წარმოების შესახებ საჯარო უწყებების ან კერძო მხარეებისთვის ინფორმაციის მიწოდების დროს. ინფორმაცია უნდა გავიგოთ ფართო გაგებით, ეს შეიძლება იყოს ანგარიშგება, რეგისტრაცია, მონიტორინგი და შეფასება, რაც საჭიროა ინფორმაციის უზრუნველყოფისთვის. რიგ შემთხვევებში ინფორმაცია უნდა გადაეცეს საჯარო უწყებებს ან კერძო მხარეებს. სხვა შემთხვევებში, ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინსპექტირებისთვის ან მიწოდებულ იქნას მოთხოვნის საფუძველზე.

დაინტერესებული მხარეები

წარდგენილი ქმედებების ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი ჩატარდა კომპანიის დაინტერესებულ მხარეებთან მიმართებაში, რომლებიც შეიძლება დავაჯგუფოთ ორ კატეგორიად:

- შიდა დაინტერესებული მხარეები: მფლობელები, მმართველები და თანამშრომლები
- გარე დაინტერესებული მხარეები: ინვესტორები (აქციონერები, რომლებიც არ არიან ჩართული კომპანიის მართვაში), საჯარო უწყებები, მიმწოდებლები, კრედიტორები, მომხმარებლები, კონკურენტები.

მოდელის პარამეტრები

¹⁶ მეტი ინფორმაცია ევროკავშირის სტანდარტული ხარჯების მოდელის შესახებ იხ. ბმულზე: http://ec.europa.eu/smart-regulation/guidelines/toc_tool_en.htm

¹⁷ წმინდა ხარჯები = წარდგენილი კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში წარმოქმნილი ხარჯები, მინუს ხარჯები, რომელთაც გააუქმებდა ევროკავშირის და/ან ეროვნულ დონეზე.

- აღნიშნული ანალიზი მოიცავს 10-წლიან პერიოდს;
- გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი არის 7.37% (რეალური უკუგება სახელმწიფოს 10-წლიან ობლიგაციებზე). შედეგების მდგრადობის ანალიზი ჩატარდება 4.76% და 9.98%-ზე¹⁸;
- თითოეულ სფეროში მოსალოდნელი გავლენების რაოდენობრივად შეფასების შემდეგ თითოეული ალტერნატივის შემთხვევაში განისაზღვრება თითოეული ალტერნატივის მოსალოდნელი წმინდა დაყვანილი ღირებულება.

იმ შემთხვევებში, როდესაც ხარჯებისა და სარგებლის რაოდენობრივად შეფასება შეუძლებელი იყო, ჩატარდა სხვადასხვა ვარიანტების ნამატი ხარჯებისა და სარგებლის ხარისხობრივი შეფასება საბაზისო სცენართან მიმართებაში და ვცადეთ, დაგვედგინა, რამდენად ახდენს ეს გავლენას ვარიანტების რეიტინგზე ეფექტიანობის გაძლიერების თვალსაზრისით.

ხარისხობრივი ანალიზის დროს გამოყენებული ძირითადი დაშვებები განხილულია ქვეთავში ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის შესახებ.

შედეგების მდგრადობის ანალიზის შეფასება

ძირითად დაშვებებში ცვლილებებისადმი შედეგების სიმტკიცის შესამოწმებლად ჩატარდა ნაწილობრივი შედეგების მდგრადობის ანალიზი, რომელმაც მოდელში შეიტანა თითოეული მოცემული ცვლადისთვის მინიმალური (და მოგვიანებით მაქსიმალური) მნიშვნელობები, რომდესაც მოდელში მოსალოდნელი მნიშვნელობები მუდმივი რჩება ყველა დანარჩენი ცვლადისთვის, რათა შემოწმდეს, რომელი ცვლადი ახდენს ყველაზე დიდ გავლენას (დადებითს და/ან უარყოფითს) საბოლოო შედეგებზე. შედეგების მდგრადობის ანალიზის საფუძველზე ჩვენ რაოდენობრივად ვაფასებთ ყველაზე კარგ და ცუდ სცენარებს (მაღალი და დაბალი წმინდა დაყვანილი ღირებულებებით).

აღნიშნული შედეგების მდგრადობის ანალიზის დროს გამოყენებული ცვლადები წარმოდგენილია მე-13 ცხრილში.

ცხრილი 13. შედეგების მდგრადობის ანალიზში გამოყენებული ცვლადები

ცვლადის დასახელება	სტანდარტული გადახრა	-1.96 SD	მთავარი (საწყისი) მნიშვნელობა	+1.96 SD
მშპ-ის ზრდა (რეალური) – იწყება ერთით	3.87%	-3.59%	3.98%	11.56%
ნომინალური საპროცენტო განაკვეთი 10-წლიან	1.37%	7.90%	10.59%	13.28%

¹⁸ მთავარი მნიშვნელობა ± 1.96 სტანდარტული გადახრა, რომელიც პასუხობს 95%-იანი ნდობის ინტერვალის საზღვრებს.

ობლიგაციაზე (2017 წ.) – იწყება ერთით				
რეალური ხელფასის ზრდა (2010-2015 წწ.)	5.75%	-3.00% ¹⁹	5.60%	13.18% ²⁰
სხვა ცვლადები		ქვედა ზღვარი	მთავარი (საწყისი) მნიშვნელობა	ზედა ზღვარი
შპს-ის ზრდის მაჩვენებელი		4%	9.11%	14.22%
სს-ის ზრდის მაჩვენებელი		-4%	0.16%	4.32%
მცირე სს-ების წილი, რომელთაც სჭირდება ფორმის შეცვლა ან რეკაპიტალიზაცია		35%	60%	85%

¹⁹ დაშვება, რომ ნომინალური ზრდა 0 იქნება.

²⁰ ქვედა ზღვრის სიმეტრიული.

A. ხარჯსარგებლიანობის ანალიზი

გაანალიზებული პოლიტიკის ჩარევები და მათი მოსალოდნელი გავლენა

- რეგისტრაციისა და სტარტაპის ხარჯები

საწარმოების 1-ლი დირექტივის მე-2 მუხლი, რომელიც გავლენას ახდენს ყველა სამართლებრივ ფორმაზე, და საწარმოების მე-2 დირექტივის მე-2 და მე-3 მუხლები, რომლებიც გავლენას ახდენს სს-ებზე, კანონპროექტში შეტანის შემდეგ, საწარმოებს უწესებს მთელ რიგ დამატებით მოთხოვნებს, რომლებმაც უნდა გაასაჯაროონ ინფორმაცია, რისთვისაც მათ ჯერ ეს ინფორმაცია უნდა დაარეგისტრირონ და განაახლონ საჯარო რეესტრში. გარდა ამისა, საწარმოების 1-ლი დირექტივის მე-5 მუხლი ამკვიდრებს საწარმოს წერილებისა და ფორმების ცნებას, რომლის საქმიანობაში დანერგვაც სავალდებულოა საწარმოებისთვის.

მეტიც, გამოკითხული იურიდიული ექსპერტების აზრით, წესდებების სირთულე გაიზრდება, რაც გაზრდის იურიდიული მომსახურებების (მაგ. წესდების შედგენის, დაფუძნების) ხარჯებს.

ემპირიულმა ლიტერატურამ გამოავლინა საწარმოს დაწყების ხარჯებსა და ახალდარეგისტრირებული საწარმოების რაოდენობას, დასაქმებას, პროდუქტიულობასა და სხვა ეკონომიკურ შედეგებს შორის მყარი კავშირი. მართალია, სტრუქტურულიდან გამომდინარე, ცვლილებები სავარაუდოდ გავლენას არ მოახდენს ბიზნესის კეთების ინდექსის ბიზნესის დაწყების ინდიკატორებზე, მაგრამ ბიზნესის დაწყების მოთხოვნების გართულებამ შეიძლება მაინც უარყოფითად იმოქმედოს მთელი რიგი ახალი ბიზნესების დაფუძნებაზე.

მეორეს მხრივ, სს-ების საწყისი ხარჯების შედარებითი ზრდა ხელს შეუწყობს ის საწარმოების თვითშერჩევას, რომელთაც ზრდის მეტი პოტენციალი აქვთ და შეამცირებს საჯარო უწყებების მონიტორინგისა და რეგულირების ხარჯებს.

გამოკითხულ დაინტერესებულ მხარეთაგან ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლებმა ყველაზე ცხადად დააფიქსირეს პრეტენზიები რეგისტრაციისა და ბიზნესის დაწყების ხარჯებთან დაკავშირებით.

- კაპიტალის დანაკარგი

მე-2 დირექტივის მე-19 მუხლი ითვალისწინებს საერთო კრების მოწვევას, თუ ადგილი ჰქონდა დარეგისტრირებული კაპიტალის სერიოზულ დანაკარგს. სერიოზულ დანაკარგად ითვლება დარეგისტრირებული კაპიტალის ოდენობის ნახევარზე მეტის დაკარგვა. ეს დებულება, მცირე ცვლილებებით, შესულია კანონპროექტშიც. ამ მოთხოვნებს შედარებით მცირე ღირებულება გააჩნიათ მცირე საწარმოების შიდა და გარე დაინტერესებული პირებისთვის, რადგან ასეთი საწარმოების მმართველები ძირითადად საწარმოს მფლობელები არიან. უფრო მსხვილი საწარმოებისთვის ასეთი ინფორმაციის ღირებულება მნიშვნელოვანია,

რადგან საშუალებას აძლევს გარე დაინტერესებულ მხარეებს (მაგ. მინორიტარულ ინვესტორებს), აკონტროლონ საწარმოს ფინანსური მდგომარეობა.

- კაპიტალის მოძრაობა

მე-2 დირექტივა წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, დარეგისტრირებული კაპიტალის გაზრდასა და შემცირებასთან, კაპიტალის ცვლილებასთან დაკავშირებით ინფორმაციის

გამჟღავნებასთან დაკავშირებით შემოიღონ მთელი რიგი ვალდებულებები. ამ ღონისძიებების მიზანია გარე დაინტერესებული მხარეების, მათ შორის ინვესტორებისა და კრედიტორების დაცვა. მსგავსი ინფორმაცია უადრესად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მსხვილი საწარმოების დაინტერესებული მხარეებისთვის. კვლევის ფარგლებში გამოკითხული დაინტერესებული მხარეების უმეტესობა მიესალმება კაპიტალის შემცირებისა და კაპიტალის მოძრაობის გამჭვირვალობის ინიციატივებს.

თუმცა ზოგიერთმა მუხლმა შეიძლება საწარმოებს უსარგებლო ხარჯები დააკისროს. ერთი ასეთი მაგალითია 31-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ყველა არაფულადი შენატანის ექსპერტის მიერ შეფასებას. ასეთი შეფასებები შრომატევადი, მოუხერხებელი და ძვირია, რაც ართულებს (და ხარჯიანს ხდის) კაპიტალის მოძიებას. ეს დებულებები განსაკუთრებით ხარჯიანია მცირე საწარმოების შემთხვევაში, თუ შენატანი არაფულადი სახისაა. მეტიც, საქართველოში დამოუკიდებელი შეფასებისთვის საჭირო ცოდნის ხარისხი არსებობა სადაოა. ექსპერტების აზრით არაფულადი შენატანების სავალდებულო შეფასება გადახდისუუნარობის დადგომისას შენატანის დარეგისტრირებულ ღირებულებაზე მკაცრი პასუხისმგებლობით შეიძლება ჩანაცვლდეს.

კიდევ ერთი დებულება, რომელიც უსარგებლოდ ზღუდავს სს-ებს, არის შენატანის სამუშაოს შესრულებისა და მომსახურების გაწევის სახით შეტანის აკრძალვა. ამან შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს დამწყებ მაღალი ტექნოლოგიების კომპანიებზე, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვნად ისარგებლონ ინტელექტუალური/ადამიანური კაპიტალის შენატანით.

- შერწყმა/გამოყოფა

მე-3 და მე-6 დირექტივები და კანონპროექტში შეტანილი დებულებები ეხება სს-ების და, რიგ შემთხვევებში, შპს-ების შერწყმასა და გამოყოფას, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელის შეტანა დირექტივით არ არის სავალდებულო. ეს დებულებები იმგვარად არის შედგენილი, რომ დაიცვას აქციონერები, რადგან საწარმოებს ავალდებულებს, გამოაქვეყნონ გარკვეული ინფორმაცია. გარდა ამისა, ეს დებულებები შეიცავს საწარმოების კრედიტორების უფლებების დაცვის წესებსაც.

ითვლება, რომ დოკუმენტაციის ღირებულება (შერწყმის წერილობითი პირობები, მმართველობისა და დამოუკიდებელი ექსპერტის წერილობითი ანგარიშები) დაბალია მცირე საწარმოების როგორც შიდა, ისე გარე დაინტერესებული მხარეებისთვის, რადგან ასეთ საწარმოებს ხშირ შემთხვევაში თავად მფლობელები მართავენ. თუმცა მსხვილი საწარმოების დაინტერესებული მხარეებისთვის ღირებულება დიდია, განსაკუთრებით მინორიტარული დაინტერესებული მხარეებისთვის, რომელთაც სჭირდებათ მეტი ინფორმაცია და ნაკლებად შეუძლიათ საკუთარი ინტერესების დაცვა მათი უფლებების დამატებითი დაცვის გარეშე.

- საწესდებო კაპიტალის ვალდებულება

საწარმოების კანონის მე-2 დირექტივასა და კანონპროექტში შეტანილი საწესდებო კაპიტალის წესების მიზანია ცუდი მმართველობით ან საწარმოს ან მისი მსხვილი აქციონერების ოპორტუნისტული ქცევით გამოწვეული კომპანიის გადახდისუნარიობის მოსალოდნელი

რისკის თავიდან აცილება ან შემცირება. ამ წესების მთავარი ფუნქცია არის კრედიტორებისა და მინორიტარული აქციონერების უფლებების დაცვა.

საწესდებო კაპიტალთან დაკავშირებით არსებობს წესების ორი ჯგუფი:

- (i) საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობის დაწესება, რომელიც უნდა ჩაიდოს სავაჭრო საწარმოში;
- (ii) აქციონერებისთვის აქტივების დივიდენდების სახით გაცემის შეზღუდვა, სადაც წმინდა აქტივები ნაკლებია ინვესტირებული საწესდებო კაპიტალის ღირებულებაზე.

საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობა კრედიტორებისთვის შეიძლება გახდეს კრედიტუნარიანობის ნიშანი, შესაბამისად შეამცირებს გაურკვევლობისა და შუამდგომლობის ხარჯებს. სამართლებრივი წესები შეიძლება განიცდოს ინდივიდუალური შეთანხმებებით, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, აწესებს დამატებით ვალდებულებებს. თუმცა ამ სფეროში ჩატარებული კვლევები ირწმუნება, რომ საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობის შესახებ წესები, როგორც ასეთი, ეფექტურად ვერ იცავს ვერც ნებაყოფლობით კრედიტორებს (ბანკებს, საჯარო უწყებებს, სავაჭრო კრედიტორებს, საწარმოს თანამშრომლებს), ვერც არა-ნებაყოფლობით კრედიტორებს (მაგ. საგადასახადო ორგანოებს).

მსხვილი ფინანსური ინსტიტუტები ეყრდნობიან გადახდისუნარიანობის რისკის სახელშეკრულებო შემცირებას, თუმცა სხვა ტიპის ნებაყოფლობითი კრედიტორები იყენებენ თვითდაცვის მექანიზმებს, რადგან, თუ საწარმო გადახდისუნარო გახდება, ბანკებისა და სხვა მსხვილი ფინანსური ინსტიტუტების გასტუმრების შემდეგ სხვა კრედიტორებს ფაქტობრივად აღარ რჩებათ რესურსები. ვინაიდან არ არსებობს საწარმოს დაფუძნების შემდეგ სარეზერვო კაპიტალის შენარჩუნების ვალდებულება, საწესდებო კაპიტალი გრძელვადიან პერიოდში კარგავს მნიშვნელობას დაინტერესებული მხარეებისთვის.

საწარმოების მრავალფეროვნება და თითოეული ტიპის საწარმოს ფინანსური საჭიროებები შეუძლებელს ხდის, თითოეული ტიპის საწარმოსთვის დაწესდეს ამ ტიპზე მორგებული საწესდებო კაპიტალის ვალდებულება, შესაბამისად, საწარმოსა და საწესდებო კაპიტალს შორის რაიმე მნიშვნელოვანი კავშირი არ არსებობს.

კაპიტალის აქციონერებს შორის განაწილების შეზღუდვა შეიძლება გავიგოთ როგორც კრედიტორების უფლებების დაცვის მექანიზმი აქციონერების ოპორტუნისტული ქცევის რისკის შემთხვევაში. აქციონერებზე განაწილება ამცირებს საწარმოს წმინდა აქტივებს და, შესაბამისად, ზრდის დეფოლტის რისკს. მართალია, წმინდა აქტივების ღირებულების საფუძველზე დივიდენდების შეზღუდვის დაწესებას აქვს სარგებელი, თუმცა ლოგიკას მოკლებულია, როდესაც ასეთი შეზღუდვების დაწესება ხდება აქციონერთა შენატანების ისტორიის და არა სესხის აღების მომენტში ბალანსის უწყისის შედეგების საფუძველზე.

საერთო ჯამში, კაპიტალის მინიმალური ოდენობის მოთხოვნა და მასთან დაკავშირებული შეზღუდვები სააქციო საზოგადოებებს უქმნის „შესვლის ფასებს“ და აყოვნებს პირებს, რომლებიც ჩქარობენ სს-ის დაფუძნებას ისე, რომ კარგად არ აქვს გააზრებული შედეგები. თუმცა რთულია იმის განსჯა, ასეთი შედეგები ეფექტურია თუ სასურველი.

გამოკითხულ დაინტერესებულ მხარეთა უმეტესობა სკეპტიკურად არის განწყობილი კაპიტალის მინიმალური ოდენობის მოთხოვნის მიმართ; როდესაც მისი სარგებელი კრედიტორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის გარანტიების მიცემაში ძალიან ბუნდოვანია, მოსალოდნელია, რომ ქვეყნის, როგორც ბიზნესისთვის სასურველი გარემოს, იმიჯი გაუარესდება, თუნდაც ამან გავლენა არ მოახდინოს ბიზნესის კეთების ინდექსზე. ეს მნიშვნელოვან ხარჯებს დააკისრებს ბიზნეს სექტორს, განსაკუთრებით უკვე არსებულ საწარმოებს. მაგალითად, სს-ებს, რომელთა პრივატიზებაც მოხდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, შეიძლება გაუჭირდეთ ახალი მოთხოვნების დაკმაყოფილება. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ საწარმოებს შეიძლება ჰქონდეთ მსხვილი აქტივები და კაპიტალიც 60,000 ლარზე მეტი იყოს, ამ სს-ებმა შეიძლება ვერ მოახერხონ საკუთარი კაპიტალის შეფასებისთვის საჭირო ფინანსური რესურსების მოძიება. ყველა სხვა შემთხვევაში, გაფანტული მფლობელობის სტრუქტურისა და დიდი რაოდენობით აქციონერების გამო რთული იქნება დამატებითი კაპიტალის შეგროვება ან რეორგანიზაცია, რამაც ეს საწარმოები შეიძლება სამართლებრივ ჩიხში მოაქციოს. ამიტომ საწესდებო კაპიტალის მინიმალურ ოდენობასთან დაკავშირებით უნდა ჩატარდეს დამატებითი ანალიზი, თუ რომელ საწარმოებზე და როდის იმოქმედებს იგი.

შეფასებული პოლიტიკის ჩარევების რაოდენობრივი ანალიზი

რეფორმის მიერ შემოღებულ ზომებსა (რომელზეც ანალიზში ვსაუბრობთ) და მათთან დაკავშირებულ სარგებელს შორის მიზეზობრივი კავშირის შესახებ მყარი მტკიცებულებები საკმაოდ მწირია, ამიტომ ანალიზის რაოდენობრივ ნაწილში ყურადღებას ვამახვილებთ ხარჯების მხარეზე.

მეთოდოლოგიური შენიშვნები

ადმინისტრაციული ხარჯები შევავსეთ ადმინისტრაციული მოთხოვნის საშუალო ხარჯების (ფასის)შესრულებული საქმიანობის მთლიან წლიურ რაოდენობაზე (რაოდენობაზე) გამრავლებით. მოთხოვნის საშუალო ხარჯი დათვლილია ტარიფის (სამუშაოს საშუალო ხარჯი საათში) გამრავლებით აღნიშნული მოთხოვნის შესასრულებლად საჭირო დროზე. საჭიროებისამებრ, გავითვალისწინეთ სხვა ტიპის (მაგალითად, შეფასების ან რეგისტრაციის) ხარჯებიც. რაოდენობა ითვლება მოთხოვნის სიხშირის ჩართული უწყებების რაოდენობაზე გამრავლებით. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაციისთვის საჭიროა რამდენიმე ადმინისტრაციული მოთხოვნა ისინი შეჯამებულია, რათა დავიანგარიშოთ ინფორმაციის შესახებ ვალდებულების ადმინისტრაციული ხარჯი.

ინფორმაციის ძირითადი წყარო, რომელსაც აღნიშნული რეგულირების გავლენის შეფასება ეფუძნება, არის დელოიტი-კაპემინი-რამბოლის კონსორციუმის მიერ 2008 წელს ევროკომისიის სახელით ჩატარებული ადმინისტრაციული ხარჯების მსხვილმასშტაბიანი შეფასება („კონსორციუმის ანგარიში“). იგი ეხება ევროკავშირისა და ეროვნული კანონმდებლობის იმ ვალდებულებებს, რომლებიც მომდინარეობს ევროკავშირის კანონმდებლობის გადმოღებიდან.

ბიზნესებზე, მოქალაქეებსა და საჯარო ადმინისტრაციებზე კანონპროექტით დაკისრებული ადმინისტრაციული ტვირთის ეფექტის შეფასება დაიწყო ევროკავშირის მეწარმეთა შესახებ ძირითადი დირექტივების მუხლების იდენტიფიცირებით, რომლებიც, შეფასების თანახმად,

ყველაზე მეტ ადმინისტრაციულ ხარჯს დააკისრებს საწარმოებს. იდენტიფიცირებული

მუხლები შევადარეთ კანონპროექტის მუხლებს. მოქმედ კანონთან დაკავშირებით კი ჩავატარეთ ნამატი ანალიზი, რათა დაგვედგინა, რა დამატებით ღონისძიებებს ითვალისწინებს კანონპროექტი²¹. ამის შემდეგ რაოდენობრივად შევაფასეთ დამატებითი ღონისძიებების ხარჯები, რისთვისაც, ქვემოთ წარმოდგენილი მაკროეკონომიკური დაშვებების საფუძველზე, დავითვალეთ მათი წმინდა მიმდინარე ღირებულება.

მთელი ჩატარებული სამუშაო შეჯამებულია ცხრილში 14.

ცხრილი 124: მოდელის ეტაპობრივი გამოყენება

I ფაზა: მოსამზადებელი ანალიზი	
1-ლი ეტაპი:	ევროკავშირის მეწარმეთა შესახებ ძირითადი დირექტივების მუხლების იდენტიფიცირება, რომლებიც, შეფასების თანახმად, ყველაზე მეტ ადმინისტრაციულ ხარჯს უწესებენ საწარმოებს
მე-2 ეტაპი:	მუხლების კანონპროექტთან შედარება
მე-3 ეტაპი:	კანონპროექტის საფუძველზე საჭირო ღონისძიებების იდენტიფიცირება (მაგ. საერთო კრების ჩატარება, ფორმების შევსება და სხვ.)
მე-4 ეტაპი:	მოქმედ კანონთან მიმართებით საჭირო ღონისძიებების ნამატი ანალიზის ჩატარება
მე-5 ეტაპი:	საჭირო ღონისძიებების სიხშირისა და შესაბამისი ხარჯების პარამეტრების იდენტიფიცირება (მაგ. ექსპერტის მომსახურების საფასური, სასამართლო ხარჯები და სხვ.)
მე-6 ეტაპი:	მონაცემთა წყაროების არჩევა (მაგ. შრომის ხარჯების შეფასება, საჭირო ღონისძიებებისთვის საჭირო საათების რაოდენობა და სხვ.)
II ფაზა: მონაცემთა მოპოვება და სტანდარტიზაცია	
მე-7 ეტაპი:	ჩართული დაწესებულებების რაოდენობის შეფასება (მაგ. 100,000 მცირე და საშუალო საწარმო)
მე-8 ეტაპი:	მე-5 ეტაპზე იდენტიფიცირებული ხარჯების პარამეტრების გათვალისწინებით, თითოეულ სამიზნე ჯგუფში „ჩვეულებრივ ეფექტიანი დაწესებულების“ მუშაობის შეფასება (მაგ. საშუალოდ, წელიწადში ერთხელ, საწარმოს ბუღალტერმა 25 საათი უნდა იმუშაოს საჭირო დოკუმენტაციის შევსებაზე, აქციონერებმა კი 5 საათი უნდა დაუთმონ საერთო კრებაზე დასწრებას)
III ფაზა: კალკულაცია და ანგარიშგება	
მე-9 ეტაპი:	მე-2 და მე-3 ვარიანტებით გათვალისწინებული საჭირო ღონისძიებების წლიური ნამატი ხარჯების გამოთვლა
მე-10 ეტაპი:	მაკროეკონომიკური დაშვებების საფუძველზე, მე-2 და მე-3 ვარიანტების წმინდა მიმდინარე ღირებულების გამოთვლა 10-წლიანი პერიოდისთვის

²¹ ძირითადი დებულებებისა და მოქმედ კანონში მათი ეკვივალენტი დებულებების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღწერა და ნამატი ანალიზი წარმოდგენილია აღნიშნული ანგარიშის IV დანართში.

მაკროეკონომიკური დაშვებები

ძირითადი მაკროეკონომიკური ცვლადების მნიშვნელობა, მათი წყაროები და მათი განვითარების შესახებ დაშვებები წარმოდგენილია ცხრილში 15.

ცხრილი 135: მაკროეკონომიკური ცვლადები, წყაროები და დაშვებები

ცვლადები	საწყისი მნიშვნელობა 2018 წელს	საბოლოო მნიშვნელობა 2027 წელს	წყარო
მშპ-ის ზრდა (რეალური)	3.98%	3.13%	საერთაშორისო სავალუტო ფონდის მსოფლიო ეკონომიკური ანგარიშის 2018 წლის პროგნოზი და დაშვება, რომ 2040 წლისთვის ზრდა 2% იქნება, რადგან 1968 წლიდან აშშ-ის საშუალო რეალური ზრდის მაჩვენებელი 2%-ია
ინფლაცია	3.00%	3.00%	საქართველოს ეროვნული ბანკის მიზნობრივი მაჩვენებელი
დისკონტირების განაკვეთი	7.37%	7.37%	რეალური საპროცენტო განაკვეთი 10-წლიანი სახელმწიფო ობლიგაციებზე
10-წლიანი სახელმწიფო ობლიგაციების ნომინალური	10.59%	10.59%	საქართველოში სახელმწიფო ობლიგაციების 2017 წლის გამოშვების საშუალო საპროცენტო განაკვეთი
საპროცენტო განაკვეთი			
შპს-ების ზრდის განაკვეთი	9.11%	6.07%	საქსტატის ბიზნეს სტატისტიკის 2011-2017 წლის მონაცემები. 2040 წლისთვის ეკონომიკის რეალური მშპ-ის ზრდის გრძელადიანი მოსალოდნელი საშუალო მაჩვენებელი (2%).
სს-ების ზრდის განაკვეთი	0.16%	0.95%	საქსტატის ბიზნეს სტატისტიკის 2011-2017 წლის მონაცემები. 2040 წლისთვის ეკონომიკის რეალური მშპ-ის ზრდის გრძელადიანი მოსალოდნელი საშუალო მაჩვენებელი (2%).

საწარმოებზე გაანალიზებული ცვლილებების გავლენის შესახებ დაშვებები

მთელი რიგი მნიშვნელოვანი დაშვებებისა ეხება იმ საწარმოებს, რომლებზეც მოქმედებს კონკრეტული დებულებები. გადაწყვეტით, იგივე დაშვებები გამოვიყენოთ, რაც ევროკავშირის ქვეყნების²² გამოცდილებაზე დაყრდნობით, ქართულ კანონმდებლობაში დანერგული დირექტივის განხორციელებასთან დაკავშირებული გავლენის შეფასებისას შევიძუშავთ. ეს დაშვებები წარმოდგენილია ცხრილში 16.

²² ცხრილში 16 წარმოდგენილი პროცენტული მაჩვენებლები დაადგინა ევროკავშირის ქვეყნების ექსპერტთა ჯგუფმა და

წარმოდგენილია კონსორციუმის ანგარიშში.

ცხრილი 16: საწარმოების წილი, რომლებზეც ყოველწლიურად ახდენს გავლენას კონკრეტული დებულებები, ზომის მიხედვით (გავლენის კოეფიციენტები)

ცვლადები	მცირე	საშუალო	მსხვილი
კაპიტალის დანაკარგი	5.00%	3.00%	2.00%
კაპიტალის მოძრაობა	5.00%	5.00%	5.00%
გაყოფა	3.00%	3.00%	2.00%
შერწყმა	1.00%	1.00%	0.50%
განსაკუთრებული დივიდენდი	10.00%	10.00%	10.00%

წყარო: კონსორციუმის ანგარიში

1-ლი ვარიანტი: საბაზისო სცენარი

საბაზისო სცენართან დაკავშირებული ხარჯები და სარგებელი არ არის რაოდენობრივად შეფასებადი. ამიტომ შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, ეს ანალიზი აქცენტს აკეთებს მე-2 და მე-3 ვარიანტების ნამატი ხარჯებისა და სარგებლის პირდაპირ რაოდენობრივ შეფასებაზე.

მე-2 ვარიანტი

რაოდენობრივად შეფასებული ხარჯები

- საწარმოები**

- **ახალ მოთხოვნებზე/პროცედურებზე დახარჯული დრო:** მას შემდეგ, რაც დავადგენთ, კანონპროექტში შეტანილი მოთხოვნების რა ნაწილია ნამატი სტატუს კვოსთან (რაც გამოსახულია პროცედურაზე საჭირო დამატებითი წუთების რაოდენობაში) მიმართებაში, განვსაზღვრავთ, გაზრდილი ადმინისტრაციული ტვირთის რომელი ნაწილი მოგვარდა შიდა რესურსებით და რომელი – გარე რესურსებით. შიდა ტვირთის ზრდის მონეტიზაციისთვის წუთების რაოდენობა გადავიყვანეთ თვეებში და გავამრავლეთ ფინანსებისა და ადმინისტრაციის დეპარტამენტების უფროსების საშუალო თვიურ ხელფასზე (რომელიც ამოვიღეთ საქსტატის შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევიდან). გარე რესურსებით შესრულებული აქტივობების ზრდის მონეტიზაციისთვის კი წუთების რაოდენობა გადავიყვანეთ თვეებში და გავამრავლეთ პროფესიონალი ბუღალტრების/აუდიტის სპეციალისტების საშუალო თვიურ ხელფასზე (ეს ინფორმაციაც საქსტატის შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევიდან ამოვიღეთ).

- **დამატებითი მოსაკრებლები:** დამატებით ადმინისტრაციულ რესურსებთან, სასამართლოსა და სხვა ექსპერტების მომსახურების ანაზღაურებასთან ერთად,

საჭიროა რამდენიმე პროცედურა. ყველა ასეთ შემთხვევაში ხარჯები დავიანგარიშეთ ვრცელი სამაგიდო კვლევის შედეგად დადგენილი არსებული ტარიფების საფუძველზე.

- **აქციონერები**

- **ახალ მოთხოვნებზე/პროცედურებზე დახარჯული დრო:** ამ შემთხვევაშიც გამოვავლინეთ რეფორმით შემოტანილი/მოდიფიცირებული მთელი რიგი პროცედურები, რომლებიც მოითხოვს აქციონერთა პირდაპირ მონაწილეობას (ძირითადად საერთო კრებებზე, რათა გარკვეულ ოპერაციებზე გაიცეს ნებართვა). რაც შეეხება საწარმოებს, მას შემდეგ, რაც დავადგინეთ, კანონპროექტში შეტანილი მოთხოვნების რა ნაწილია ნამატი სტატუს კვოსთან (რომელიც გამოსახულია პროცედურაზე საჭირო დამატებითი წუთების რაოდენობაში) მიმართებაში, ჩვენ მონეტარულად გამოვსახეთ დაინტერესებულ მხარეთა ალტერნატიული ხარჯებს (როგორც კრებაში დახარჯული დროის, აგრეთვე კრებაზე მისვლისა და წამოსვლისთვის საჭირო დროის ფუნქცია). ამ ხარჯების დაანგარიშებისთვის მოსალოდნელი საათების რაოდენობა გადავიყვანეთ თვეებში და გავამრავლეთ ქართული შრომის ბაზარზე საშუალო თვიურ ხელფასზე (რომელიც ამოვიღეთ საქსტატის შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევიდან).

- **მთავრობა**

- მართალია, შეიძლება რეფორმამ გამოიწვიოს დამატებითი ადმინისტრაციული ტვირთი, თუმცა ჩვენ დავუშვით, რომ საწარმოების მიერ გადახდილი მოსაკრებლები ისე განისაზღვრება, რომ მოხდება ხარჯების სრულად ამოღება (მაგ. ყველა დამატებით ხარჯს ანაზღაურებენ თავად საწარმოები).

რაოდენობრივად შეფასებული სარგებელი: არ არსებობს.

დაუზუსტებელი ცვლადები:

- საწარმოების პროცენტული შეფარდება, რომლებზეც მოქმედებს რეფორმა. ჩვენ ვიყენებთ ევროკავშირში დირექტივის განხორციელების მოსალოდნელი გავლენის შეფასებისთვის კონსორციუმის ანგარიშის მიერ შექმნილ გამოთვლებს. მაღალი გავლენის კოეფიციენტი ნიშნავს მაღალ ხარჯებს, დაბალი გავლენის კოეფიციენტი – დაბალ ხარჯებს;
- რეფორმის გავლენა მცირე სს-ებზე. ხელმისაწვდომი არასრული ინფორმაციის გათვალისწინებით, ბუნდოვანია, რამდენი სს არის მცირე საწარმო. ხარჯები, რომლებიც შედარებით უმნიშვნელო ჩანს მსხვილი სს-ებისთვის (თუნდაც მაღალი იყოს აბსოლუტური გაგებით), შეიძლება ბევრად მნიშვნელოვანი იყოს მცირე საწარმოებისთვის და გავლენა მოახდინოს საწარმოების ქცევაზე;
- საწარმოების ქცევითი რეაქცია რეფორმაზე. კერძოდ, ბუნდოვანია, სს-ების რა რაოდენობა გარდაიქმნება შპს-დ, რათა შეამციროს რეფორმის გავლენა (ჩვენი ანალიზიდან ცხადია, რომ საწარმოს დონეზე რეფორმის ტვირთი სს-ის შემთხვევაში ბევრად მეტია);

- საწარმოების აქტივები (და მასთან დაკავშირებული ხარჯები). ხარჯების ჩვენეული შეფასება ეყრდნობა ხელმისაწვდომ ინფორმაციას. თუ საწარმოების აქტივების ბაზა იმაზე დიდია, ვიდრე ჩვენი გამოთვლები, მოსალოდნელი ხარჯებიც უფრო მეტი იქნება და შემცირდება, თუ საწარმოების აქტივების ბაზა მცირეა.

მე-3 ვარიანტი

რაოდენობრივად შეფასებული ხარჯები

- **საწარმოები**
 - **ახალ მოთხოვნებზე/პროცედურებზე დახარჯული დრო:** გამოიყენება იგივე მეთოდოლოგია, რაც მე-2 ვარიანტის შემთხვევაში. თუმცა ამ შემთხვევაში ზოგადი ხარჯები მნიშვნელოვნად შემცირდება, რადგან ამოღებულია შპს-ები;
 - **დამატებითი ხარჯები:** გამოიყენება იგივე მეთოდოლოგია, რაც მე-2 ვარიანტის შემთხვევაში. თუმცა ამ შემთხვევაში ზოგადი ხარჯები მნიშვნელოვნად შემცირდება, რადგან ამოღებულია შპს-ები.
- **აქციონერები**
 - **ახალ მოთხოვნებზე/პროცედურებზე დახარჯული დრო:** გამოიყენება იგივე მეთოდოლოგია, რაც მე-2 ვარიანტის შემთხვევაში. თუმცა ამ შემთხვევაში ზოგადი ხარჯები მნიშვნელოვნად შემცირდება, რადგან ამოღებულია შპს-ები;
- **მთავრობა**
 - იგივე, რაც მე-2 ვარიანტის შემთხვევაში.

რაოდენობრივად შეფასებული სარგებელი: არ არსებობს

დაუზუსტებელი ცვლადები:

- საწარმოების პროცენტული შეფარდება, რომლებზეც მოქმედებს რეფორმა. სს-ისთვის იგივე მოსაზრებები, რაც მე-2 ვარიანტის შემთხვევაში. თუმცა ამ ვარიანტში შპს-ები არ შედის;
- რეფორმის გავლენა მცირე სს-ებზე. იგივე მოსაზრებები, რაც მე-2 ვარიანტის შემთხვევაში;
- საწარმოების ქცევითი რეაქცია რეფორმაზე. კერძოდ, ბუნდოვანია, სს-ების რა რაოდენობა გარდაიქმნება შპს-დ, რათა შეამციროს რეფორმის გავლენა (ჩვენი ანალიზიდან ცხადია, რომ საწარმოს დონეზე რეფორმის ტვირთი სს-ის შემთხვევაში ბევრად მეტია). ამ შემთხვევაში პროცენტული შეფარდება შეიძლება გაიზარდოს;
- საწარმოების აქტივები (და მასთან დაკავშირებული ხარჯები). იგივე, რაც მე-2 ვარიანტის შემთხვევაში.

ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის შეჯამება

ჩვენი შედეგები, რომლებიც შეჯამებულია ცხრილებში 17, 18 და 19 და გრაფიკებში 8, 9, 10 და 11, აჩვენებს, რომ ორივე ვარიანტი იწვევს ხარჯების მცირე ზრდას საბაზისო სცენართან მიმართებით (როგორც ზოგადი, ისე საშუალო გაგებით). ამას განაპირობებს შემდეგი:

1. რეფორმის ასპექტები, რომელთაც რაოდენობრივად ვაფასებთ, საწარმოების მხოლოდ ნაწილზე ახდენს გავლენას მოცემულ წელში. ცხრილში 17 წარმოდგენილია იმ საწარმოების რაოდენობა, რომლებზეც გავლენას ახდენს 2018 წელს, ზომისა და სამართლებრივი ფორმის მიხედვით. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ საწარმოების რაოდენობა, რომლებზეც გავლენას ახდენს, მიიღება არსებული საწარმოების რაოდენობის გამრავლებით მოსალოდნელ გავლენის კოეფიციენტზე.

ცხრილი 147: კომპანიები, რომლებზეც გავლენას ახდენს 2018 წელს, ზომისა და სამართლებრივი ფორმის მიხედვით²³.

ცვლადები	შპს-ები			სს-ები		
	მცირე	საშუალო	მსხვილი	მცირე	საშუალო	მსხვილი
კაპიტალის				14	3	1
დანაკარგი						
კაპიტალის მოძრაობა				14	6	3
გაყოფა	2089	58	7	8	3	1
შერწყმა	696	19	2	3	1	0
განსაკუთრებული დივიდენდი				28	12	6

წყარო: ავტორთა გამოთვლები

2. როგორც ცხრილ 18-დან ვხედავთ,²⁴ საწარმოს ნამატი ხარჯები, რომლებზეც მოქმედებს რეფორმა, არ არის ძალიან მაღალი.

ცხრილი 158: საწარმოების ხარჯები 2018 წელს, რომლებზეც იმოქმედებს რეფორმა, ზომისა და სამართლებრივი ფორმის მიხედვით²⁵

ცვლადები	შპს-ები			სს-ები		
	მცირე	საშუალო	მსხვილი	მცირე	საშუალო	მსხვილი
რეგისტრაცია	233	465	930	750	1398	2395

²³ ამკარაა, რომ მე-2 ვარიანტის შემთხვევაში, რეფორმა გავლენას არ ახდენს შპს-ებზე, ხარჯები გაიზრდება დროთა განმავლობაში რეალური ხელფასის ზრდის გამო.

²⁴ უნდა აღინიშნოს, რომ სს-ების უფრო მაღალ ხარჯებს განაპირობებს კაპიტალის ღირებულების შეფასების საჭიროება (და ზრდა კაპიტალის ზრდასთან ერთად).

²⁵ მე-2 ვარიანტში შპს-ებს ხარჯები არ ექნებოდათ, თუ შერწყმაში მხოლოდ შპს-ები მიიღებენ მონაწილეობას.

კაპიტალის დანაკარგი				15	25	49
კაპიტალის მოძრაობა				1301	1445	1715
გამოყოფა	127	231	425	565	1007	1566
შერწყმა	127	231	425	565	1007	1566
განსაკუთრებული დივიდენდი				2	3	4
კაპიტალის შეფასება				400	700	1000

(სს)

კაპიტალის


674

ინტეგრირება (სს)

წყარო: ავტორთა გამოთვლები


როგორც გრაფიკებიდან 8 და 9 ვხედავთ, საწარმოს რეფორმასთან დაკავშირებული წლიური ხარჯი საკამოდ დაბალია. ერთადერთი წელი, როდესაც ხარჯი შედარებით დიდია (სს-ების შემთხვევაში), არის პირველი წელი, რადგან ყველა სს-ს დასჭირდება საკუთარი კაპიტალის ოფიციალური შეფასება, და, საჭიროების შემთხვევაში, მისი ინტეგრირება, რათა დააკმაყოფილოს მინიმალური ზღვარი (60,000 ლარი). ეს არის იმის მიზეზიც, რომ რეფორმის პირველ წელს მცირე სს-ის საშუალო ხარჯი საშუალო და მსხვილი საწარმოების საშუალო ხარჯებზე მეტი იქნება.

გრაფიკი 8: საწარმოს საშუალო წლიური ხარჯი – მიმდინარე ღირებულება ლარში (მე-2 ვარიანტი)



წყარო: ავტორების გამოთვლები


გრაფიკი 9: საწარმოს საშუალო წლიური ხარჯი – მიმდინარე ღირებულება ლარში (მე-3 ვარიანტი)



წყარო: ავტორების გამოთვლები

მე-19 ცხრილსა და მე-10 და მე-11 გრაფიკებში წარმოდგენილი შედეგების გაანალიზებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ სარგებელი რაოდენობრივად არ შეფასებულა. ამიტომ ანალიზის ფარგლებში რეფორმის ეფექტიანობის დადგენაზე ორიენტირებული შეფასება უფრო მეტად ეყრდნობა ხარისხობრივ ანალიზს, ვიდრე ჩვეულებრივ. შესაბამისად, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ მკითხველი ერთიანობაში ითვალისწინებს ხარისხობრივ და რაოდენობრივ ანალიზს. ანალიზის დროს, რეფორმების საზომებიდან შპს-ების ამოღება 90-ზე მეტი პროცენტით შეამცირებს ამავე საზომებთან დაკავშირებულ ნამატ ხარჯებს – დაახლოებით 36.7-დან (მე-2 ვარიანტი) დაახლოებით 3.9 (მე-3 ვარიანტი) მილიონამდე დღევანდელ ლარში (იხ. ცხრილი 20 და გრაფიკი 10).

გრაფიკი 10. პოლიტიკის ვარიანტების ნამატი წმინდა დაყვანილი ღირებულების ხარჯების შედარება (მლნ. ლარი მუდმივი ფასები)



წყარო: ავტორის გამოთვლები

ცხრილი 19: ნამატი ხარჯებისა და სარგებლის შეჯამება

	მე-2 ვარიანტი	მე-3 ვარიანტი
ნამატი ხარჯები (მიმდინარე ღირებულება)	36,7 მლნ. ლარი	3,9 მლნ. ლარი
ხარისხობრივი გავლენა (თუ რაოდენობრივი შეფასება შეუძლებელია) ²⁶	დადებითი: შპს-ებისა და სს-ების გარე დაინტერესებული მხარეების, მათ შორის ინვესტორებისა და კრედიტორების უფლებების უკეთესი დაცვა სს-ის კაპიტალის მოძრაობის გამჭვირვალობის გაზრდა სს-ების საწყისი ხარჯების შედარებითმა ზრდამ შეიძლება წახალისოს მაღალი ზრდის პოტენციალის მქონე საწარმოების	დადებითი: შპს-ებისა და სს-ების გარე დაინტერესებული მხარეების, მათ შორის ინვესტორებისა და კრედიტორების უფლებების დაცვა – უფრო ნაკლებია, ვიდრე მე-2 ვარიანტის შემთხვევაში სს-ის კაპიტალის მოძრაობის გამჭვირვალობის გაზრდა – მიახლოებული მე-2 ვარიანტთან. სს-ების საწყისი ხარჯების შედარებითმა ზრდამ შეიძლება წახალისოს მაღალი

²⁶ იმ საგნების ჩამონათვალი, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიღებაზე, თუმცა შეუძლებელია მათი რაოდენობრივი შეფასება.

	თვითშერჩევა და შეამციროს საჯარო უწყებების მონიტორინგისა და რეგულირების ხარჯები ცუდი მმართველობით ან საწარმოს ან სს-ის მსხვილი აქციონერების ოპორტუნისტული ქცევით გამოწვეული საწარმოს გადახის უუნარობის რისკის შემცირება უარყოფითი: სს-ებისა და შპს-ების მმართველობის ეფექტიანობისა და მოქნილობის გაუარესება დამახინჯებული სტიმული, რაც უზიძგებს პირს, აირჩიოს შპს ან სხვა სამართლებრივი ფორმა დაბალი რეგულირების ხარჯებით, რათა თავიდან აიცილოს დამატებითი ტვირთი, რაც, ნაწილობრივ, ამცირებს რეფორმის დადებით სარგებელს. მეწარმეთა შესახებ კანონის განხორციელებასა და აღსრულებაში სირთულებები რომელმაც შეიძლება კიდევ უფრო გააუარესოს საჯარო ინსტიტუტების ეფექტიანობა.	ზრდის პოტენციალის მქონე საწარმოების თვითშერჩევა და შეამციროს საჯარო უწყებების მონიტორინგისა და რეგულირების ხარჯები – ნაკლებია მე-2 ვარიანტთან შედარებით. ცუდი მმართველობით ან საწარმოს ან სს-ის მსხვილი აქციონერების ოპორტუნისტული ქცევით გამოწვეული საწარმოს გადახის უუნარობის რისკის შემცირება – მიახლოებული მე-2 ვარიანტთან. უარყოფითი: სს-ებისა და შპს-ების მმართველობის ეფექტიანობისა და მოქნილობის გაუარესება – ნაკლებია მე-2 ვარიანტთან შედარებით. დამახინჯებული სტიმული, რაც უზიძგებს პირს, აირჩიოს შპს ან სხვა სამართლებრივი ფორმა დაბალი რეგულირების ხარჯებით, რათა თავიდან აიცილოს დამატებითი ტვირთი, რაც, ნაწილობრივ, ამცირებს რეფორმის დადებით სარგებელს – ნაკლებია მე-2 ვარიანტთან შედარებით. მეწარმეთა შესახებ კანონის განხორციელებასა და აღსრულებაში სირთულებები რომელმაც შეიძლება კიდევ უფრო გააუარესოს საჯარო ინსტიტუტების ეფექტიანობა.
--	--	--


შედეგების მდგრადობის ანალიზი

შედეგების მდგრადობის ანალიზი (იხ. გრაფიკი 11) აჩვენებს, რომ წმინდა მიმდინარე ღირებულება მე-2 ვარიანტის შემთხვევაში ბევრად უფრო მერყევია, ვიდრე მე-3 ვარიანტის შემთხვევაში.

შედეგების მდგრადობის ანალიზმა აჩვენა, რომ სხვა თანაბარი პირობების შემთხვევაში, ამ მოდელში შეტანილი რამდენიმე ცვლადი შესამჩნევ გავლენას ახდენს საბოლოო წმინდა შედეგებზე. ეს ცვლადებია:

- დისკონტირების განაკვეთი: როცა დისკონტირების განაკვეთი იზრდება, (უარყოფითი) წმინდა დაყვანილი ღირებულება მცირდება;
- რეალური ხელფასების ზრდა: რაც მეტად იზრდება ხელფასები, მით მეტად იზრდება რეფორმასთან დაკავშირებული ხარჯები;
- შპს-ებისა და სს-ების ზრდის მაჩვენებელი: ხარჯები იზრდება საწარმოების რაოდენობის ზრდის შემთხვევაში, რომლებზეც მოქმედებს რეფორმა. ვინაიდან შპს ბევრად მეტია, ვიდრე სს, ნორმალურია, რომ შპს-ების ანალიზში შეტანისას (მე-2 ვარიანტი), წმინდა მიმდინარე ღირებულების ცვლილებები ბევრად გამოკვეთილია.

გრაფიკი 11: შედეგების მდგრადობის ანალიზის შედეგები. ნამატი ხარჯები ყველაზე ცუდი, მოსალოდნელი და საუკეთესო სცენარების შემთხვევაში (მლნ. ლარი, მუდმივი ფასები)



B. სასამართლო პრაქტიკა შერჩეულ დებულებებზე

ამ ქვეთავში წარმოდგენილია მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩოები და შემთხვევების ანალიზი, რომელთა რაოდენობრივად შეფასება თეორიულად²⁷ ძალიან რთულია. თუმცა პრაქტიკა აჩვენებს იმ ხარვეზებს, რომელთა აღმოფხვრაც შესაძლებელია კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში. ეს საკითხებია: ინტერესთა კონფლიქტი, საზოგადოებიდან პარტნიორთა გასვლა და ასევე, გარიცხვის უფლებები.

- ინტერესთა კონფლიქტი

დაინტერესებული პირისა და კანონპროექტით წარდგენილი ინტერესთა კონფლიქტის გამოვლენის სტანდარტის ცნებამ კომპანიებსა და მათ დირექტორებს შეიძლება მისცეს სტიმული, უკეთ გაიაზრონ საკუთარი ქმედებები. მეტიც, სასამართლო საქმე შეიძლება ბევრად უფრო ეფექტური გახდეს და ნაკლები დრო დასჭირდეს, რადგან სასამართლოს შეეძლება გამოიყენოს კანონპროექტით შეთავაზებული ნორმები.

- პარტნიორის გასვლა და გარიცხვა

აშკარაა, რომ კანონპროექტი დადებითად აისახება იმ საფუძვლების გააზრებაზე, რომლებიც შესაძლებელია იყოს მიზეზი პარტნიორის მიერ კომპანიიდან გასვლისა. ასევე, ამგვარი წინაპირობების არსებობა მეტ ლეგიტიმაციას სძენს სასამართლოს გადაწყვეტილებებს. ამასთან, იგი დაეხმარება სასამართლოს, რომ დავის განხილვის პროცესი გახდეს უფრო ეფექტური და დროში შემოკლებული, რამდენადაც მოსამართლეებს ექნებათ უფრო ვრცელი და ამავედროულად ზუსტი წარმოდგენა შეფასების კრიტერიუმზე.

რამდენადაც პარტნიორის გარიცხვამ შესაძლებელია იმოქმედოს კომპანიის შესაძლებლობაზე წარმატებულად განაგრძოს ბიზნესსაქმიანობა, ეს საკითხი მგრძნობიარეა (რამდენადაც ეხება პარტნიორთა საკუთრების უფლებას) და საჭიროებს ვრცელ და ნათელ რეგულირებას. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოების დისკრეცია პარტნიორის გარიცხვის საკითხზე მიიღოს გადაწყვეტილება, გაზრდის სასამართლოთა ლეგიტიმაციას. თუკი მეწარმეთა შესახებ კანონის საფუძველზე, სასამართლოს ამჟამად შეუძლია მხოლოდ იმსჯელოს პარტნიორის გარიცხვაზე შესატანის განუხორციელებლობის ჭრილში, კანონპროექტი საშუალებას მისცემს სასამართლო ორგანოს, უფრო მეტი მოქნილობით იმსჯელოს და შეაფასოს მხარეთა ქცევა და საკუთარი გადაწყვეტილება სწორედ მათ დააყრდნოს. საკუთრების უფლებისა და ბიზნეს ინტერესების კუთხით, ვფიქრობთ, რომ სასამართლო ან ნებისმიერი სხვა დავების გადამწყვეტი ორგანო არის აუცილებელი იმისთვის, რომ დაბალანსდეს აღნიშნული ინტერესები.

²⁷ სრული ანალიზი წარმოდგენილია აღნიშნული ანგარიშის VI დანართში.

C. უფრო ფართო გავლენა

წარმოდგენილი ანალიზი აჯამებს ყველა შესაძლო პირდაპირ თუ არაპირდაპირ გავლენასა და გარეგან ეფექტებს (მიუხედავად იმისა, რომ არ არის დათვლილი).

ცხრილი 20: შერჩეული ვარიანტების გავლენის შემაჯამებელი მიმოხილვა

	მაღალი გავლენა	საშუალო გავლენა	დაბალი გავლენა
გავლენა	მე-2 ვარიანტი	მე-3 ვარიანტი	
ადმინისტრაციული	საჯარო დაწესებულებები – მოსალოდნელია, რომ საჯარო დაწესებულებების ტვირთი მნიშვნელოვანი იქნება, განსაკუთრებით ახალი საწარმოს რეგისტრაციის კომპონენტში, რასაც იწვევს უფრო დეტალური წესდების მოთხოვნები და განთავსებული კაპიტალის შესახებ ინფორმაცია. ინფორმაციის გამჭვირვალობის მოთხოვნაში მომხდარი მნიშვნელოვანი ზრდა, ახალი რეგულაციების გატარება და ამოქმედება მნიშვნელოვანი ზეწოლის ქვეშ მოაქცევს საჯარო რეესტრს, შემოსავლების სამსახურს, სასამართლოსა და სხვა ინსტიტუტებს, რომლებიც ინაწილებენ ამ ფუნქციებს. ამ ინსტიტუტებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კერძო სექტორმა იცის და მზად არის დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებებისთვის. ახალ წონასწორობაში, გაზრდილ ადმინისტრაციულ ხარჯებს საწარმოები დაფარევენ, თუმცა საწარმოების რაოდენობიდან გამომდინარე, ხარჯი ერთ კომპანიაზე, დიდი ალბათობით, მნიშვნელოვანად არ გაიზრდება. ბიზნესების ადმინისტრაციული ტვირთი სავარაუდოდ ზომიერი იქნება, ძირითადად მოკლევადიან პერიოდში, სანამ ახალი მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის საჭირო კომპეტენცია შეიქმნება. აღნიშნული ვარიანტის ძირითადი დებულებების დაკმაყოფილების მთლიანი ადმინისტრაციული ხარჯი იქნება 36.7 მილიონი ლარი 10-წლიან პერიოდში. დამატებითი რესურსები (არ არის რაოდენობრივად შეფასებული) საჭირო იქნება ახალი რეგულაციის გასაცნობად და თანხმობაში ჯეროვნად მოსვლისთვის საჭირო შიდა კომპეტენციის შესაქმნელად. ერთჯერადი ხარჯები: კაპიტალის მინიმალური ოდენობის (60,000 ლარი) მოთხოვნის დაკმაყოფილება აიძულებს სს-ებს, რომელთა კაპიტალიც ამ ზღვარს	გავლენა ხარისხობრივად იგივეა, რაც მე-2 ვარიანტის შემთხვევაში. თუმცა გავლენის მასშტაბი შეიძლება უფრო მცირე იყოს, რადგან ნაკლებ საწარმოზე მოახდენს გავლენას. ნამატი ადმინისტრაციული ხარჯები შპს-ებისთვის ბევრად უფრო ნაკლებია, რასაც იწვევს ახალი საწარმოების რეგისტრაცია, რაც 20-81 ლარს შორის მერყეობს, საწარმოს ზომისა და სახელფასო განაკვეთის ზრდის მიხედვით წლების განმავლობაში ზრდის გათვალისწინებით. შედეგად, საწარმოების მთლიანი ადმინისტრაციული ხარჯი იქნება 3.9 მლნ. ლარი 10-წლიან პერიოდში.	

	ქვემოთაა, გაზარდონ კაპიტალი ან რეორგანიზაცია ჩაატარონ. ორივე ვარიანტი მცირე და ზოგიერთ საშუალო საწარმოზე. კაპიტალის ოდენობის მიუხედავად, ყველა საწარმოს, არსებულს თუ ახალშექმნილს, მოუწევს ადეკვატური კაპიტალის ქონის დამტკიცება, რისი ხარჯიც 400-1000 ლარია, საწარმოს ზომის მიხედვით. მხოლოდ ადმინისტრაციის დამატებითი ინტეგრირების ხარჯები ჩვენი შეფასებით მცირე სს-ისთვის 674 ლარი იქნება. დაფუძნების ნამატი ხარჯები იქნება 233-930 ლარი შპს-ებისთვის და 750-2395 ლარი სს-ებისთვის, მათი სიდიდის მიხედვით. ამ ხარჯებს ძირითადად იწვევს წესდების გართულება და საწყისი სხვა ხარჯები. განმეორებითი ხარჯები: გამოთვლების თანახმად, ამ წონასწორობაში, კანონის ამოქმედების პირველი წლის შემდეგ, რეგულაციებთან თანხმობაში მოსვლის ხარჯი მერყეობს 25-134 ლარს შორის შპს-ებისთვის, 96-134 ლარს შორის – სს-ებისთვის, საწარმოს ზომისა და სახელფასო განაკვეთის ზრდის შესაბამისად წლების განმავლობაში ზრდის მიხედვით. ეს გამოთვლები უშვებს, რომ აქციონერთა საერთო კრებებზე დასწრებისა და მონაწილეობის მაჩვენებელი არ მცირდება, თუმცა, თუ ისინი გადაწყვეტენ, ნაკლებად მიიღონ მონაწილეობა საწარმოს მართვაში, თუ საერთო კრებები უფრო ხშირად ჩატარდება (და დასწრება ხარჯებთანაა დაკავშირებული), ზოგადი ხარჯები შემცირდება.	
საკანონმდებლო გარემო	მოსალოდნელია, რომ კანონპროექტი მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს საკანონმდებლო გარემოზე. არხები, რომელთა მეშვეობითაც კანონპროექტი იმოქმედებს საკანონმდებლო გარემოზე, შემეგია: - სიცხადე წესებში (აგრეთვე „დისპოზიციური წესები“ სახით), რომლებიც ავსებს დაინტერესებული მხარეების მიერ მითითებულ ხარვეზებს, საშუალებას მისცემს, გადაიჭრას ჩიხში შეყვანილი კორპორაციული დავები ან კორპორაციული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში არსებული ხარვეზები, რაც ზრდის სამართლებრივი გარემოს ეფექტიანობას; - წესდებით დადგენილი წესები, რომლებიც ახალისებს ინფორმაციის გამჭვირვალობას და არეგულირებს საწარმოს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის ურთიერთობებს, შეამცირებს კონტროლის	გავლენა ხარისხობრივად იგივეა, რაც მე-2 ვარიანტის შემთხვევაში. თუმცა გავლენის მასშტაბი შეიძლება უფრო მცირე იყოს, რადგან ნაკლებ საწარმოზე მოახდენს გავლენას. შპს-ების გამოკლება, რომლებიც ბიზნეს საზოგადოების მნიშვნელოვან წილს წარმოადგენს, ოდნავ, მაგრამ მაინც შეარბილებს კანონპროექტის გავლენას

	ხარჯებს და შეზღუდავს მმართველებისა და მსხვილი აქციონერების ოპორტუნისტულ ქცევებს. შედეგად, მოსალოდნელია ისეთ საკანონმდებლო გარემოს საერთაშორისო რეიტინგებში დაწინაურება, როგორიცაა გლობალური კონკურენტუნარიანობის და ეკონომიკური თავისუფლების ინდექსები.	საკანონმდებლო გარემოზე
ეკონომიკური	რეფორმას არაერთი მოსალოდნელი ეკონომიკური გავლენა ექნება. ემპირიულმა ლიტერატურამ, რომელიც სწავლობს სამართლებრივ გარემოსა და ეკონომიკურ შედეგებს შორის დამოკიდებულებას, დაადგინა ძლიერი კავშირი ამ ორს შორის. კერძოდ, ძლიერ საკანონმდებლო და სასამართლო სისტემას შედეგად მოაქვს: მეტი წვდომა გარე დაფინანსებაზე: უკეთესი სამართლებრივი დაცვა ეხმარება კაპიტალის ბაზრის განვითარებას, კრედიტორთა და აქციონერთა უფლებების დაცვა ხელს უწყობს საბანკო სისტემისა და კაპიტალის ბაზრის განვითარებას. ეს ყველაფერი, თავის მხრივ, იწვევს ინვესტიციების ზრდას, მაღალ ეკონომიკურ ზრდასა და დასაქმებას. კაპიტალის მოზიდვის ხარჯების შემცირება, როგორც სააქციო კაპიტალის, ისე ვალის დაფინანსების, და საწარმოების ღირებულების შესაბამისი ზრდა: სასამართლო ეფექტიანობის გაუმჯობესება და ხელშეკრულებების აღსრულება ამცირებს ფინანსური შუამავლების რისკებს და შედეგად, კერძო საწარმოებს უმცირებს სესხის ხარჯებს. დაბალი ხარჯები ინვესტიციებს მიმზიდველს ხდის ინვესტორებისთვის, რაც განაპირობებს ზრდასა და მეტ დასაქმებას. რესურსების უკეთესი განაწილებისა და უკეთესი მმართველობის მეშვეობით გაუმჯობესებული მუშაობა: მიიღწევა საინვესტიციო გადაწყვეტილებების ეფექტიანობის ზრდით. ფინანსური კრიზისის რისკების შემცირება: უკეთესი საკანონმდებლო ინსტიტუტები ამცირებს ფინანსური კრიზისის რისკს უარყოფითი ეკონომიკური მოვლენების დროს.	გავლენა ხარისხობრივად იგივეა, რაც მე-2 ვარიანტის შემთხვევაში. თუმცა გავლენის მასშტაბი შეიძლება უფრო მცირე იყოს, რადგან ნაკლებ საწარმოზე მოახდენს გავლენას.
სოციალური	სს-ის კაპიტალის მოთხოვნების ზრდა მეწარმეებს სავარაუდოდ შეუზღუდავს წვდომას ამ სამართლებრივ ფორმაზე. თუმცა, მეორეს მხრივ, შპს-ების შესაძლებლობების ზრდა მოიზიდავს გარე დაფინანსებას: (1)	გავლენა ხარისხობრივად იგივეა, რაც მე-2 ვარიანტის შემთხვევაში.

	დაფინანსების ახალი საშუალებებისთვის უფრო განვითარებული სამართლებრივი ინფრასტრუქტურის შეთავაზებით; (2) საკანონმდებლო ეფექტიანობის გაძლიერება დააჩქარებს ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას. საერთო ჯამში, დადებითი გავლენა უფრო მეტი იქნება.	
გარემოსდაცვითი	კანონპროექტი არ მოახდენს კონკრეტულ პირდაპირ ან დაუყოვნებელ გავლენას გარემოზე, თუმცა გრძელვადიან პერიოდში უკეთესი კორპორაციული მმართველობის განვითარება ხელს შეუწყობს მეტი პასუხისმგებლობის მქონე კორპორაციული კულტურის შექმნას, რაც სასარგებლოა ეკოლოგიური მდგრადობისთვის.	გავლენა ხარისხობრივად იგივეა, რაც მე-2 ვარიანტის შემთხვევაში.
საჯარო სექტორის დაფინანსება	ახალი სისტემის ინსტიტუციონალიზაციის პროგრამების მეშვეობით კანონპროექტი მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში გავლენას მოახდენს საჯარო სექტორის დანახარჯებზე: - საჯარო რეესტრის თანამშრომელთა ტრენინგების ხარჯები; - მოსამართლეთა ტრენინგების ხარჯები; - საჯარო სექტორის სხვა თანამშრომელთა ტრენინგების ხარჯები, რაც პირდაპირ ან არაპირდაპირ არის დაკავშირებული კანონის ამოქმედებასთან; - სამართლებრივი ინფრასტრუქტურის კანონპროექტთან შესაბამისობაში მოყვანის ხარჯები, რაც გულისხმობს შესაბამის კანონებში, კანონქვემდებარე აქტებსა და ადმინისტრაციულ აქტებში და სხვ. ცვლილებების შეტანას. თუმცა დონორების მხარდაჭერა საწყის ეტაპზე და მოგვიანებით საწარმოების მიერ გადახდილი დამატებითი გადასახადები სავარაუდოდ შეამცირებს საჯარო სექტორის დაფინანსებაზე გავლენას.	გავლენა ხარისხობრივად იგივეა, რაც მე-2 ვარიანტის შემთხვევაში. თუმცა გავლენის მასშტაბი შეიძლება უფრო მცირე იყოს, რადგან ნაკლებ საწარმოზე მოახდენს გავლენას.
მცირე და საშუალო საწარმოები	შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოების რეგისტრაციისა და შესაბამისობის ხარჯების ზრდა სავარაუდოდ მნიშვნელოვან და არაპროპორციულ გავლენას მოახდენს მცირე და საშუალო საწარმოებზე; შესაბამისად, ჩვენი შეფასებით, მცირე და საშუალო საწარმოებზე გავლენა მაღალია, განსაკუთრებით მოკლევადიან პერიოდში. უსარგებლო და არაპროპორციულმა ადმინისტრაციულმა ხარჯებმა შეიძლება დააბრკოლოს	გავლენა ხარისხობრივად იგივეა, რაც მე-2 ვარიანტის შემთხვევაში. თუმცა გავლენის მასშტაბი შეიძლება უფრო მცირე იყოს, რადგან ნაკლებ

	ეკონომიკური საქმიანობა. ამ გართულებების პასუხად, ზოგიერთმა საწარმომ შეიძლება აირჩიოს ისეთი სამართლებრივი ფორმა, რომელთა რეგულაციებთან შესაბამისობაში მოსვლის ხარჯი დაბალია, თუმცა შეზღუდულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიერ შეთავაზებულ სარგებელზე წვდომა. ამან შეიძლება კიდევ უფრო შეუმციროს საწარმოებს კაპიტალზე წვდომა, რათა დააფინანსონ საკუთარი ზრდა, რაც უარყოფითად იმოქმედებს ზოგადად ზრდაზე.	საწარმოზე მოახდენს გავლენას.
--	---	-------------------------------------

D. მდგრადი განვითარების მიზნები

ითვლება, რომ მეწარმეთა შესახებ კანონში შესატანი ცვლილებები მთელ რიგ პირდაპირ და არაპირდაპირ გავლენას მოახდენს მდგრადი განვითარების მიზნებზე. ძირითადი მიზნები, რომელთა შესრულებასაც ხელს შეუწყობს ინიციატივა, არის: მე-8 მიზანი – ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა (კერძოდ, გლობალური ამოცანები 8.2²⁸ და 8.3²⁹), მე-9 მიზანი – ინდუსტრიალიზაცია, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა (ამოცანა 9.3³⁰). ყველაზე მყისიერად კანონპროექტი ხელს შეუწყობს ძლიერი ინსტიტუტების ჩამოყალიბებას, შესაბამისად, დააჩქარებს გაეროს 2030 წლის დღის წესრიგის მე-16 მიზნის შესრულებას – მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები (ამოცანა 16.6³¹).

ქვემოთ წარმოდგენილი მე-12 გრაფიკზე წარმოდგენილია ჩვენეული შეფასება, თუ რა გავლენას მოახდენს კანონპროექტი თითოეული მიზნისა და მთელი რიგი გლობალური ამოცანების შესრულებაზე მომდევნო წლებში³². მართალია, კანონპროექტს მიზნების უმეტესობასთან პირდაპირი კავშირი არ აქვს, მაგრამ გრძელვადიან პერიოდში, უფრო ძლიერი და ბევრად უფრო ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისა და ინსტიტუტების მეშვეობით მიღებული არაპირდაპირი სარგებელი ხელს შეუწყობს უთანასწორობასთან, სიღარიბესა და შიმშილთან ბრძოლას. უაღრესად მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ გარემოსდაცვითი და სოციალური მდგრადობის მიზნები, რათა მივიღოთ ეკონომიკური დივერსიფიკაციისა და ინდუსტრიალიზაციის მაქსიმალური დადებითი გავლენა.

²⁸ მაღალ დამატებულ ღირებულებასა და შრომა-ინტენსიური სექტორებზე კონცენტრირებითა და დივერსიფიკაციის, ტექნოლოგიური განვითარებისა და ინოვაციების მეშვეობით ეკონომიკური პროდუქტიულობის უფრო მაღალი დონის მიღწევა.

²⁹ განვითარებაზე ორიენტირებული პოლიტიკის მხარდაჭერა, რომელიც ხელს უწყობს პროდუქტიულ საქმიანობას, ღირსეული სამუშაოების შექმნას, მეწარმეობას, შემოქმედებითობასა და ინოვაციებს, ახალისებს მივრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ფორმირებასა და ზრდას ფინანსურ მომსახურებებზე წვდომის მეშვეობით.


³⁰ მცირე ზომის სამრეწველო და სხვა საწარმოების (განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში) წვდომის გაზრდა ფინანსურ მომსახურებებზე (მათ შორის ხელმისაწვდომ კრედიტებზე) და მათი ჩართულობა ღირებულებათა ჯაჭვებსა და ბაზრებში.

³¹ ეფექტური, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე ინსტიტუტების შექმნა ყველა დონეზე.

³² კანონპროექტის მდგრადი განვითარების მიზნებზე გავლენის შეფასების მექანიზმების შექმნით, ჩვენ თითოეულ ამოცანას მივანიჭეთ ქულა 0-დან 10-მდე და მაქსიმალური ღირებულება თავის მიზანთან მიმართებაში.

გარემოსდაცვით მდგრადობაზე შესაძლო გავლენა არ არის ცალსახა და ძირითადად არაპირდაპირია. მართალია, გაზრდილი ეკონომიკური საქმიანობა და ინდუსტრიალიზაცია პოტენციურად ზრდის ეკოლოგიურ კვალს (გლობალური კვალის ქსელი, 2007 წ.), მაგრამ უკეთესი სამართლებრივი და საკანონმდებლო ჩარჩო ხელს შეუწყობს ეკოლოგიურად და სოციალურად მეტად პასუხისმგებელ კორპორაციულ მმართველობას. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ეკონომიკურ ფაქტორებს გარეთ კომპრომისების გადაჭრა და მიზნებს შორის სინერგიის წახალისება, რათა გაიზომოს მდგრადი განვითარებისკენ პროგრესი.

გრაფიკი 12: მდგრადი განვითარების მიზნები და სამიზნეები



V. ვარიანტების შედარება მრავალკრიტერიუმიანი ანალიზის გამოყენებით

საუკეთესო ვარიანტის გამოვლენის მიზნით ალტერნატივების შედარებისას, წმინდა მიმდინარე ღირებულებასთან ერთად, ჩვენ გამოვიყენეთ მთელი რიგი კრიტერიუმებისა. ესენია:

ეფექტურობა: სასურველი შედეგების მიღების კომპენტენცია. ჩვენ შემთხვევაში:

1. ფინანსებზე გაუმჯობესებული წვდომის გაძლიერების მიზნით, მეწარმეთა შესახებ კანონის სფეროში წესებისა და პრაქტიკის ეფექტურობის გაზრდა;
2. ევროკავშირის მეწარმეთა შესახებ კანონმდებლობასთან ეფექტიანი ჰარმონიზება.

განხორციელებადობა: ეს კრიტერიუმი აფასებს, რამდენად მარტივია პოლიტიკის ვარიანტის განხორციელება. ეს გულისხმობს შესაბამისობაში მოსვლის განაკვეთს, რესურსების შესაძლო სიმწირესა და კომპლექსურ საკანონმდებლო ცვლილებებთან გამკლავების ადეკვატურ უნარს.

რისკების შემცირება: ეს კრიტერიუმი აფასებს ვარიანტის უნარს, შეამციროს რეფორმის არასასურველი ნეგატიური გავლენა, რომელიც არ არის მონეტიზებული ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზში.

- სს-ებისა და შპს-ების მმართველობაში ეფექტიანობისა და მოქნილობის შემცირება;
- სს-ებისა და შპს-ების მმართველობის ხარჯების ზრდა;
- სს-ის დაფუძნების გართულება;
- დამახინჯებული სტიმული, რაც იწვევს შპს-ისა და სხვა სამართლებრივი ფორმის არჩევას, თავიდან აიცილოს დამატებითი ტვირთი, რაც ნაწილობრივ ამცირებს რეფორმის პოტენციურად დადებით ეფექტს;
- მეწარმეთა შესახებ კანონის განხორციელებაში და აღსრულებაში სირთულებები კიდევ უფრო აუარესებს საჯარო ინსტიტუტების ეფექტიანობას.

გარეგანი სარგებლის მაქსიმიზაცია: ეს კრიტერიუმი აფასებს ვარიანტის უნარს, მოახდინოს რეფორმის მიერ წარმოქმნილი დადებითი გარეგანი ეფექტების მაქსიმიზაცია. იგი გულისხმობს იმ დადებითი გავლენის მაქსიმიზაციას, რომლის მონეტიზაციაც არ გაგვიკეთებია ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზში. მათ შორისაა:

- უცხოელი ინვესტორების თვალში ქვეყნის მიმზიდველობის გაზრდა;
- ქვეყანაში ხელმისაწვდომი ფინანსური ინვესტიციების ინსტრუმენტების დივერსიფიკაცია;
- საწარმოების შიდა და ადგილობრივ კაპიტალზე წვდომის ხელშეწყობა, ეკონომიკურ ზრდაზე დადებითი უკუგებით;

- სოციალურად და ეკონომიკურად პასუხისმგებელი კორპორაციული სექტორის ხელშეწყობა;
- 2030 წლის დღის წესრიგის ვალდებულებების, მათ შორის განვითარების მიზნებისა და პრინციპების შესრულება.

ვარიანტების შემაჯამებელი მიმოხილვა

ცხრილში 21 წარმოდგენილია თითოეული ვარიანტის შეფასება თითოეულ კრიტერიუმთან მიმართებაში. თითოეული პოლიტიკის ვარიანტის შეფასება ეფუძნება ზემოთ წარმოდგენილ განხილვას.

ცხრილი 16: ვარიანტების შედარება მრავალკრიტერიუმიანი ანალიზის გამოყენებით

შეფასების კრიტერიუმი	1-ლი ვარიანტი	მე-2 ვარიანტი	მე-3 ვარიანტი
ცვლილებით გამოწვეული ხარჯები (წმინდა დაყვანილი ღირებულება)	-	- 36.7 მლნ.ლარი	- 3.9 მლნ. ლარი
ეფექტურობა 1	+	+++	++
ეფექტურობა 2	+	++	+++
განხორციელებადობა / შესაბამისობაში მოსვლის სიმართივე	+++	+	++
პოტენციური რისკების შემცირება	0	--	-
გარეგანი სარგებლის გაზრდა	0	+++	++

უპირატესი ვარიანტი

ვარიანტების რეიტინგი

ანალიზის თანახმად, ყველა ვარიანტს აქვს გარკვეული უპირატესობა. სხვადასხვა კრიტერიუმისთვის მინიჭებული წონის გათვალისწინებით, რეიტინგი შეიძლება შეიცვალოს ამა თუ იმ ვარიანტის სასარგებლოდ.

მოტივაცია

1-ლი ვარიანტი (საბაზისო სცენარი). 1-ლი ვარიანტი დანარჩენებზე აღმატებულია განხორციელებადობის/შესაბამისობაში მოსვლის სიმარტივის კრიტერიუმის მიხედვით. ამას განაპირობებს ის ფაქტი, რომ ამ ვარიანტის განხორციელების ნამატი მოთხოვნები, ფაქტობრივად, ნულის ტოლია.

მე-2 ვარიანტი არის რეფორმის პირველი მიზნის შესრულების საუკეთესო საშუალება. ჩვენი შეფასებით, ეს არის ვარიანტი, რომელიც ყველაზე მეტად ზრდის მეწარმეთა შესახებ კანონის სფეროში წესებისა და პრაქტიკის ეფექტურობას, საწარმოებს მისცეს უკეთესი წვდომა ფინანსებზე. მე-2 ვარიანტი ყველაზე ეფექტურია რეფორმის დადებითი (და არსებითი) არაპირდაპირი ეფექტის მაქსიმიზაციის თვალსაზრისით. თუმცა ამ ვარიანტის განხორციელება ყველაზე რთულია და ყველაზე დაბალი შედეგი აქვს ხარჯების ეფექტიანობის კრიტერიუმთან (მაგალითად, წმინდა დაყვანილი ღირებულება) მიმართებაში. ამ ვარიანტსვე უკავშირდება რისკების ყველაზე მაღალი დონეც.

და ბოლოს, მე-3 ვარიანტი ყველა დანარჩენ ვარიანტს აღემატება ეფექტურობის მე-2 კრიტერიუმით. ეს ვარიანტი იძლევა საშუალებას, ყველაზე ნაკლები ხარჯებით განხორციელდეს ევროკავშირის დირექტივები. აღსანიშნავია, რომ 1-ლ და მე-2 ვარიანტთან შედარებით, მას შედარებით ცუდი შედეგები აქვს რამდენიმე კრიტერიუმით, თუმცა ყველაზე დაბალანსებულია, რადგან არც ერთი კრიტერიუმით არ აქვს ყველაზე ცუდი შედეგები. პოტენციური რისკების შემცირების თვალსაზრისითაც ეს არის საუკეთესო ვარიანტი.

VI. მონიტორინგისა და შეფასების გეგმა

კანონპროექტის მუშაობის შესაფასებლად, მნიშვნელოვანია, დავაკვირდეთ, რამდენად კარგად პასუხობს იგი IV ქვეთავში აღწერილ რეფორმის მიზნებს. ჩვენ რეკომენდაციას ვუწევთ კანონპროექტის მუშაობის შეფასების შემდეგ ინდიკატორებს:

- მეწარმეთა შესახებ კანონით დარეგულირებული სამეწარმეო სამართლებრივი დავების რაოდენობა – ჩვენი აზრით, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი ინდიკატორი, რადგან კანონპროექტს დუფოვნებელი პირდაპირი და არაპირდაპირი გავლენა ექნება ამ საზომზე. ამ ეტაპზე ხელმისაწვდომი სამეწარმეო სამართლებრივი დავების სტატისტიკას აკლია მნიშვნელოვანი დეტალები, რაც სასარგებლო იქნებოდა საწამოების კონკრეტული პრობლემებისა და გამოწვევების დასადგენად.

კანონის ეფექტიანობის შესამოწმებლად შეიძლება შეიქმნას შემდეგი დამატებითი ინდიკატორები:

- სამართლებრივი დავების გადაწყვეტისთვის საჭირო დრო – დროთა განმავლობაში უნდა დავინახოთ დავების გადაჭრისთვის საჭირო დროის შემცირება;
- სამეწარმეო სამართლებრივი დავები თემატიკის მიხედვით – ეს დაგვეხმარება იმ სფეროების გამოვლენაში, სადაც მეტი მუშაობაა საჭირო.

ქვემოთ წარმოდგენილი ინდიკატორები ეფუძნება აღქმას, ამიტომ წლები დასჭიდება, სანამ ამ ინდიკატორებში მნიშვნელოვანი გაუმჯობესება მოხდება. მეტიც, ბევრი სხვა ფაქტორი, მათ შორის მაკროეკონომიკური განვითარება, გავლენას მოახდენს ამ სფეროს პროგრესზე; შესაბამისად, მეწარმეთა შესახებ კანონის გავლენის დაკავშირება და იზოლირება საკმაოდ რთული იქნება. თუმცა ჩარევის მიზნების მისაღწევად უაღრესად მნიშვნელოვანია, შევაფასოთ პროგრესი სოციოეკონომიკური განვითარების შემდეგი საზომებით:

- საკანონმდებლო ბაზის ეფექტიანობა დავების გადაწყვეტისას – გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდიკატორები, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი;
- დაფინანსება ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის მეშვეობით – გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდიკატორები, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი;
- სესხებზე წვდომის სიმართლე – გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდიკატორები, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი;
- კორპორაციული საბჭოების ეფექტურობა – გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდიკატორები, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი;
- მინორიტარულ აქციონერთა ინტერესების დაცვა – გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდიკატორები, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი;
- ინვესტორთა უფლებების დაცვა – მსოფლიო ბანკი/საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია

- აუდიტისა და ანგარიშგების სტანდარტების გაძლიერება – გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდიკატორები, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი.

ცხრილი 172: მიზნების მიღწევის მიმდინარეობის ინდიკატორები

ინდიკატორი	შეფასების სიხშირე	მონიტორინგზე პასუხისმგებელი ორგანო
მეწარმეთა შესახებ კანონით დარეგულირებული სამეწარმეო სამართლებრივი დავების რაოდენობა	წლიური	იუსტიციის სამინისტრო
საკანონმდებლო ბაზის ეფექტიანობა დავების გადაწყვეტისას	წლიური	იუსტიციის სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო
დაფინანსება ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის მეშვეობით	წლიური	ეკონომიკის სამინისტრო
სესხებზე წვდომის სიმარტივე	წლიური	ეკონომიკის სამინისტრო
კორპორატიული საბჭოების ეფექტურობა	წლიური	ეკონომიკის სამინისტრო
მინორიტარულ აქცონერთა ინტერესების დაცვა	წლიური	ეკონომიკის სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო
ინვესტორთა უფლებების დაცვის სიძლიერე	წლიური	ეკონომიკის სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო
აუდიტისა და ანგარიშგების სტანდარტების სიძლიერე	წლიური	ეკონომიკის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო

VII. პროცედურული საკითხები და კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან

A. ორგანიზაცია და დრო

1. პროექტი ოფიციალურად დაიწყო 2017 წლის 20 მარტს.
2. RIA განმახორციელებელმა გუნდმა 2017 წლის 30 მარტს მიიღო მეწარმეთა შესახებ კანონპროექტის საბოლოო ვერსია.
3. 7 აპრილს გაიმართა წინასწარი შეხვედრა კლიენტებთან, რომელზეც პროექტის გუნდმა წარმოადგინა RIA-ის დეტალური სამოქმედო გეგმა და განიხილა RIA-ის დოკუმენტთან დაკავშირებული მოლოდინები. RIA-ის პროცესის დაწყებისთვის საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად და RIA-ის პოტენციური მიზნების შესასწავლად ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის გუნდმა მოამზადა და კლიენტებს წარუდგინა მეთოდოლოგიის მოკლე აღწერა და მიზნები.
4. გუნდმა კანონპროექტი პარტნიორ ორგანიზაციასთან, Dechert Georgia LLP-სთან ერთად განიხილა (2017 წლის 24 მარტს, 31 მარტს და 4 აპრილს). შეხვედრების შედეგად, მეთოდოლოგიის ინტერესებიდან გამომდინარე, განისაზღვრა და გაიფილტრა მეწარმეთა შესახებ საქართველოს არსებულ კანონში შესატანი ძირითადი ცვლილებები. Dechert Georgia LLP-სთან ერთად კანონპროექტის ერთობლივი განხილვა 31 მაისს დასრულდა.
5. გუნდმა 20 აპრილს დაიწყო დაინტერესებულ მხარეებთან დაკავშირება და მათთან ინტერვიუების ჩატარება. კითხვარი და გამოკითხულ დაინტერესებულ მხარეთა სია წარმოდგენილია დანართში (დანართი I – დაინტერესებულ მხარეთა კითხვარი, დანართი II – გამოკითხულ დაინტერესებულ მხარეთა სია).
6. 20 მარტს დაიწყო მეორადი მონაცემების შეგროვება.
7. 5 მაისს ჩაბარებულ საწყის ანგარიშთან დაკავშირებული კომენტარების განხილვის მიზნით, 18 მაისს RIA-ის გუნდი შეხვდა მთავარ დაინტერესებულ მხარეებს (GIZ/ევროკავშირის პროექტი და PROLoG).
8. 19 მაისს RIA-ის გუნდი კანონპროექტის ავტორებს შეხვდა. შეხვედრის მიზანი იყო გუნდის მიერ განსაზღვრულ პრობლემასა და მიზნებზე შეთანხმება. ასევე, პოლიტიკის ალტერნატიული ვარიანტების განხილვა.
9. 2 ივნისს RIA-ის გუნდმა საკონსულტაციო შეხვედრა გამართა კანონპროექტის ერთ-ერთ ავტორთან, გიორგი ჯუღელთან. შეხვედრის მიზანი იყო გუნდის მიერ RIA-ის ანალიზისთვის იდენტიფიცირებულ დებულებებზე საბოლოო დასტურის მიღება და პოლიტიკის შესაძლო ალტერნატივების განხილვა. 12 ივნისს GIZ/ევროკავშირის პროექტს წარუდგინა შუალედური ანგარიში. GIZ/ევროკავშირის პროექტმა წარმოადგინა შუალედურ ანგარიშთან დაკავშირებული კომენტარები და შეფასებები 15 ივნისს. განახლებული შუალედური ანგარიში დაინტერესებულ მხარეებს გაეგზავნათ 2017 წლის 19 ივნისს.
10. დამატებით შეგროვდა მონაცემები, მას შემდეგ რაც ხარჯისა და სარგებლის ანალიზის მოდელმა მიიღო საბოლოო სახე. მონაცემები სრულად მოგროვდა ივლისის დასაწყისში.

11. 27 ივლის, RIA-ს განმახორციელებელი გუნდის ორი წარმომადგენელი დაესწრო სამუშაო შეხვედრას “RIA 2030 დღის წესრიგთან შესაბამისობაში“. შეხვედრა ორგანიზებული იყო GIZ პროგრამის „ ევროპულ სტანდარტებთან სამართლებრივი მიახლოება სამხრეთ კავკასიაში“, მიერ.
12. RIA-ის საბოლოო ანგარიშის დრაფტი, GIZ/ევროკავშირის პროექტს გაეგზავნა 15 აგვისტოს.
13. სამუშაო შეხვედრა, რომელზეც განიხილებოდა წინასწარი შედეგები, გაიმართა პროექტის დაინტერესებული მხარეებთან (GIZ/ევროკავშირის პროექტის) 8 და 18 სექტემბერს. შეხვედრა გაიმართა წერილობითი შეფასებების მიღების შემდეგ.
14. RIA-ის საბოლოო ანგარიში, რომელიც მოიცავდა გაზიარებულ კომენტარებს და შეფასებს, სამუშაო ჯგუფის წევრებს ჩაბარდა 5 ოქტომბერს.

ცხრილი 23: პროექტის ეტაპები

ძირითადი ეტაპის დასახელება	ძირითადი ეტაპის დადასტურება	შესრულების მოსალოდნელი/ რეალური დრო
1. RIA-ის დეტალური სამოქმედო გეგმა და დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის მომზადება	წერილობითი სამოქმედო გეგმა და დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის ანგარიში გაეგზავნა PROLoG-ს.	ორშაბათი, 2017 წლის 12 ივნისი
2. შუალედური ანგარიშის მომზადება	შუალედური ანგარიშის პრეზენტაცია დაინტერესებულ მხარეთა პირველ სამუშაო შეხვედრაზე. შუალედური ანგარიშის ჩაბარება	ორშაბათი, 2017 წლის 12 ივნისი
3. RIA-ის საბოლოო ანგარიშის მომზადება	საბოლოო ანგარიში. ყველა მონაცემი ექსელის ფორმატში, რომელიც მოგროვდა RIA-ს განხორციელების პროცესში.	ხუთშაბათი, 2017 წლის 5 ოქტომბერი

B. კონსულტაციები და ექპერტიზა

აღნიშნულ ქვეთავში წარმოდგენილი და აღწერილია ყველა ის მეთოდი, რომელიც RIA-ს გუნდმა გამოიყენა პრობლემების გადასაჭრელად. მეწარმეთა შესახებ მოქმედი კანონის ყოვლისმომცველი მიმოხილვის მოსამზადებლად გუნდმა მიმართა შემდეგ მეთოდებს: სამაგიდო კვლევა, ლიტერატურის მიმოხილვა, ოფიციალური მონაცემების გამოთხოვა, სიღრმისეული ფორმალური და არაფორმალური ინტერვიუები იდენტიფიცირებულ დაინტერესებულ მხარეებთან.

კონსულტაციებისა და მონაცემების შეგროვების პირველი ეტაპის მიზანი იყო პრობლემის, პოლიტიკის ამოცან(ებ)ის და შესაძლო პოლიტიკის ვარიანტების განსაზღვრა. რაც შეეხება კონსულტაციებისა და მონაცემების შეგროვების მეორე, დამატებით ეტაპს, უმთავრესი მიზანი

იყო პოლიტიკის სხვადასხვა ალტერნატივების სტატუს კვლასთან შედარებისა და საუკეთესო ვარიანტის გამოვლენისთვის საჭირო ინფორმაცია/მონაცემების შევსება.

RIA განხორციელების პროცესში სამათლებრივ ანალიზს ახორციელებდა Dechert LLP („დექერთი“). დექერთმა განახორციელა კანონპროექტის ანალიზი და კანონპროექტით შემოთავაზებული ყველაზე მნიშვნელოვანი ვალდებულებების იდენტიფიცირება. ასევე, გააკეთა აღნიშნული ვალდებულებების ანალიზი კანონის მიზნებსა და შედეგებზე გავლენის თვალსაზრისით. დექერთი იყო პასუხისმგებელი წარდგენილი კანონპროექტის გადახედვასა და:

- იმ დებულებების გამოვლენაზე, რომელთა განხორციელებასაც შეიძლება მნიშვნელოვანი სოციო-ეკონომიკური გავლენა ჰქონდეს მეწარმეებსა და ზოგადად მეწარმეობაზე;
- ევროკავშირის შესაბამისი დირექტივებით არასავალდებულო დებულებების გამოვლენაზე;
- გუნდის დახმარებაზე, ალტერნატიული პოლიტიკის ვარიანტების შემუშავებისას, რომლებიც შეფასდა RIA-ის ფარგლებში.

დექერთი დაეხმარა გუნდს იურისტებსა და სამართლის ექსპერტებთან შეხვედრების ორგანიზებაში, რომელთაც აქვთ მოქმედი კანონის პრობლემების პრაქტიკული ცოდნა და ესმით ცვლილებების საჭიროება.

მეტიც, დექერთმა იმუშავა არსებული ქართულ სასამართლო პრეცედენტებზე, რომლებშიც ცვლილებების შეტანასაც ითვალისწინებს კანონპროექტი. სასამართლო პრაქტიკის შესწავლა დაეხმარა მოქმედი კანონის ხარვეზების გაანალიზებას და წარდგენილი კანონპროექტის პოტენციური გავლენის შეფასებას.

RIA-ის ფარგლებში დექერთმა ჩაატარა კანონპროექტის ევროკავშირის დირექტივებთან შესაბამისობის ანალიზი, რათა დარწმუნებულიყო, რომ კანონპროექტით წარდგენილი ცვლილებები დირექტივებთან თანხვედრაშია. აღნიშნული ანალიზის თანახმად, ევროკავშირის დირექტივებით გათვალისწინებული დებულებების უმეტესობა, რასაც ახალი კანონპროექტი აწესებს, შეესაბამება დირექტივებს და საჭიროებს მცირე ან არავითარ ცვლილებებს. გარდა ამისა, გამოვლინდა რამდენიმე საკითხი, რომელთა მოგვარება ჯერ კიდევ საჭიროა და შეიძლება შეიცვალოს სამართლებრივი და ეკონომიკური საჭიროებებისა და საქართველოს გარემოს გათვალისწინებით. საწყვიტების საკითხი ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი კანონპროექტში. ევროკავშირის დებულებების ეფექტური განხორციელებისთვის აუცილებელია ადეკვატური საწყვიტები. შესაბამისობის ანალიზის სრული ანგარიში წარმოდგენილია აღნიშნული ანგარიშის V დანართში.

გამოყენებული ლიტერატურა

- ჯ. არმური (2006 წ.). საწესდებო კაპიტალი: დრომოჭმული კონცეფცია? *ევროპის ბიზნეს ორგანიზაციების შესახებ კანონის მიმოხილვა (EBOR)*, 7(1), 5-27.
- ჯ. არმური ჰ. ჰანსმენი, რ. კრამანი და მ. პარგენდლერი (2017 წ.). კორპორაციული სამართლის საფუძვლები.
- ი. აირესი და რ. გერტნერი (1989 წ.). არასრულ ხელშეკრულებებში ხარვეზების აღმოფხვრა: ეკონომიკური თეორია დისპოზიციური წესების შესახებ. *იელიის სამართლის ჟურნალი*, 99(1), 87-130.
- კ. ჰ. ბეი და ვ. კ. გოიალი (2009 წ.). კრედიტორთა უფლებები, აღსრულება და საბანკო სესხები. *ფინანსების ჟურნალი*, 64(2), 823-860.
- ტ. ბეკი, ა. ს. ლ. ი. დემირგუზ-კუნტი და ვ. მაქსიმოვიჩი (2005 წ.). ზრდის ფინანსური და სამართლებრივი შეზღუდვები: საწარმოს ზომა მნიშვნელოვანია? *ფინანსების ჟურნალი*, 60(1), 137-177.
- ჯ. ბროულიკი (2013 წ.). მეწარმეთა შესახებ კანონის მიზნებსა და მის ევროკავშირთან ჰარმონიზებას შორის კავშირი. ვებ-ბრაუზერით ჩამოტვირთული ნაშრომი.
- ვ. გ. ბრუნო და ს. კლესენსი (2007 წ.). *კორპორაციული მმართველობა და რეგულაცია: შეიძლება მეტისმეტად ბევრი კარგი იყოს?* (თავი 6108). მსოფლიო ბანკი, ფინანსები და კერძო სექტორის განვითარება, ვიცე-პრეზიდენტის ოფისი.
- ს. კლესენსი (2006 წ.). კორპორაციული მმართველობა და განვითარება. *მსოფლიო ბანკის კვლევითი დამკვირვებელი*, 21(1), 91-122.
- ს. კლესენსი და ბ. ბ. იურთლუ (2013 წ.). კორპორაციული მმართველობა განვითარებად ბაზრებზე: კვლევა. *განვითარებადი ბაზრების მიმოხილვა*, 15, 1-33.
- ს. დეკინი, პ. სარკარი და ა. სინგჰი (2011 წ.). კონსენსუსის დასასრული? კორპორაციული კანონმდებლობის რეფორმის სელექციური გავლენა ფინანსურ განვითარებაზე.
- ლ. ენრიკესი (2006 წ.). ევროკომისიის საწარმოს შესახებ დირექტივები და რეგულაციები: რამდენად ტრივიალურია. *U. Pa. J. Int'l Econ. L.*, 27, 1.
- ფერელი, ქ., ლიანგი, ჰ., & რენებუგი, ლ (2016). სოციალურად პასუხისმგებელი ფირმები, *ფინანსური ეკონომიკის ჟურნალი*, 122(3), 585-606.
- მ. გელტერი (2017 წ.). ევროკავშირის საწარმოთა შესახებ კანონის ჰარმონიზაცია სხვადასხვა სახის და დაახლოების მქონე კაპიტალიზმისათვის.
- კ. ჯ. ჰოპტი (2016 წ.). დირექტორთა ვალდებულებები და აქციონერთა უფლებები ევროკავშირში: სავალდებულო და/თუ დისპოზიციური წესები?

საერთაშორისო ბაზრისა და მომსახურებების გენერალური დირექტორატი (DG MARKT) (2007 წ.). *ევროკავშირის მეწარმეთა შესახებ კანონის ადმინისტრაციული ხარჯების კვლევა*. Ramboll management.

რ. კრაკმანი, ჯ. არმური და ჰ. ჰანსმანი (2009 წ.). კორპორაციული სამართლის ძირითადი ელემენტები: რა არის კორპორაციული სამართალი? *ჰარვარდის სამართლის სკოლა, ჯონ მ. ოლინის სამართლის ცენტრი, ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევითი ნაშრომების სერია*, 632.

ნ. ლოიცა, ა. მ. ოვიედო და ლ. სერვენი (2005 წ.). რეგულირების გავლენა ზრდასა და არაფორმალური ქვეყნებსშორისი მტკიცებულებები.

პორტა, რ., ლოპეს-დე-სილანესი, ფ., შლიფერი, ა., & ვიშნი, რ. ვ. (1997). გარე დაფინანსების სამართლებრივი დეტერმინანტები. *ჟურნალი ფინანსების შესახებ*, 52(3), 1131-1150.

პ. სანტელა და რ. ტურინი (2008 წ.). კაპიტალის შენარჩუნება ევროკავშირში: საწარმოების მეორე დირექტივა მართლაც ასეთი მკაცრია? ევროპის ბიზნეს ორგანიზაციების სამართლის მიმოხილვა (*EBOR*), 9(3), 427-461.

ვ. შონი (2004 წ.) საწესდებო კაპიტალის მომავალი. ევროპის ბიზნეს ორგანიზაციების სამართლის მიმოხილვა, (*EBOR*), 5(3), 429-448.

დანართი I – დაინტერესებული მხარეების კითხვარი

1. როგორ შეაფასებდით არსებულ საკანონმდებლო ჩარჩოს (განსაკუთრებით მეწარმეთა შესახებ კანონს) შემდეგ საკითხებთან მიმართებაში:
 - 1.1. გამჭვირვალობის მოთხოვნა
 - 1.2. კაპიტალის ვალდებულება და პრუდენციული რეგულაციები
 - 1.3. კორპორაციული მმართველობის საკითხების მოგვარება
ადგილობრივი და საერთაშორისო ინვესტორების, კრედიტორებისა და მცირე (მესამე მხარე) კრედიტორების გადმოსახედიდან?
2. ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, რა არის ძირითადი ინსტიტუციური ხარვეზები?
3. როგორ შეაფასებდით (i) მოქმედ კანონს, (ii) პოლიტიკასა და განხორციელების/აღსრულების პროცესში არსებულ ხარვეზებს, (iii) წარდგენილ ცვლილებებს/დამატებებს (განმარტეთ) შემდეგ საკითხებზე:
 - 3.1. დამატებითი კორპორაციული თანხმობა
 - ინტერესთა კონფლიქტი
 - მსხვილი ტრანზაქციები
 - დირექტორები
 - 3.2. გონივრული მოთხოვნები
 - სარეზერვო კაპიტალი
 - მატერიალური კაპიტალის დაკარგვა
 - 3.3. გამჭვირვალობის წესები
 - წლიურად ჩადებული კაპიტალის გამოქვეყნებაზე
 - ბალანსის უწყისებისა და სხვა ფინანსური დოკუმენტაციის გამოქვეყნებაზე
 - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაზე
 - 3.4. საწესდებო კაპიტალი, მისი მოთხოვნები, შექმნა და კაპიტალის შეტანა
 - სს-ებისა და შპს-ების მინიმალური კაპიტალის ვალდებულება
 - რა შედეგები მოყვება მინიმალური კაპიტალის ვალდებულების არქონას?
 - რა უპირატესობები აქვს სს-სა და შპს-ს?
 - რამდენად შესაძლებელია/მარტივია სს-ის შპს-დ გადაკეთება და პირიქით?
 - შპს-ის შესაძლებლობები, გამოუშვას სხვადასხვა კლასის აქციები.
 - 3.5. როგორია დივიდენდების განაწილების არსებული პოლიტიკა?
 - 3.6. რეორგანიზაცია/ლიკვიდაცია
 - რატომ არის ამდენი კომპანია, რომელიც არ ლიკვიდირდება? რამდენად ბევრ რესურსს მოითხოვს პროცესი?
 - 3.7. გასვლა
 - როგორ გადის პირი შპს-დან?
4. იცნობთ თუ არა ევროკავშირის იმ დირექტივებს, რომლებთან შესაბამისობაშიც უნდა იყოს საქართველო? რომელია მთავარი შეზღუდვები/რისკები? შესაძლებლობები? სარგებელი?

დანართი II – გამოკითხული დაინტერესებული მხარეების სია

	დაინტერესებული მხარეთა ჯგუფი	ორგანიზაცია	საკონტაქტო პირი/პოზიცია	შეხვედრის დრო
1	იურიდიული კონსულტაცია/ექსპერტები	იურიდიული ფირმა VBAT	ნანა ამისულაშვილი, პარტნიორი	26/04/2017 11:00
2		CFS Legal გულებადნი და პარტნიორები	მარინა გულებადნი, დამფუძნებელი პარტნიორი	17/05/2017 14:00
3		შპს ქართველი ადვოკატები	ქეთევან ბანიშურიძე	04/05/2017 16:00
4		ჩარგეიშვილის საადვოკატო დარბაზი	აკაკი ჩარგეიშვილი, ბიზნესისა და საგადასახადო სამართლის ექსპერტი	4/5/2017 10:00
5		USAID/G4G	გიორგი ამზაშვილი, მრჩეველი ფინანსებზე წვდომის პოლიტიკის მიმართულებით	2/5/2017 12:30
6		იურიდიული ფირმა BLC	თამთა ივანიშვილი	03/05/2017 15:00
7		საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო	ნონა ზუბიტაშვილი, იურიტი	2017-05-21 10:00
8	ბიზნეს ასოციაცია	საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია	მიხეილ ჭელიძე, პრეზიდენტი	25/05/2017 10:00
9		საქართველოს ბიზნეს ასოციაცია	ნიკოლოზ ნანუაშვილი, იურისტ-ანალიტიკოსი	24/05/2017 16:00
10		საქართველო-ევროპის ბიზნეს საბჭო	გიორგი კაჭარავა, აღმასრულებელი დირექტორი	28/04/2017 16:00
11		საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნეს ასოციაცია	ივა ჭყონია, ხელმძღვანელი	4/5/2017 15:00

12		საქართველოს დამოუკიდებელ მწარმოებელთა ასოციაცია	ლევან სილაგავა, ხელმძღვანელი	01/06/2017 17:00
13		საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია	ოთარ ხუციშვილი, იურიდიული კონსულტანტი	
14		საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია	ლაშა ლაბაძე, აღმასრულებელი დირექტორი	
15		მოდრაობა KAR.GE	ტარიელ ზივზივამე	
16		ამერიკის სავაჭრო პალატა საქართველოში	ლინა ჯიქია, იურიდიული და საჯარო პოლიტიკის უფროსი ანალიტიკოსი	3/6/2017 13:00
17	ბიზნესი	გალფი	ნიკა შეყილაძე, იურისტი	2017-05-24 17:30
18		საქართველოს საფონდო ბირჟა	გიორგი ფარეიშვილი, თავმჯდომარე	02/06/2017 18:00
19			ეკა ღაზაძე, მთავარი ფინანსური ოფიცერი	
20		GALT & TAGGART	ოთარ შარიქაძე, მმართველი დირექტორი	6/6/2017 16:00
21			ირაკლი კირთავა, გენერალური დირექტორი	
22		ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია, შატო მუხრანი, ფრიქსი	ჟან-ფრედერიკ პოლსენი, ინვესტორი	16/05/2017 19:00
23		Deloitte	გიორგი ხუროძე, იურიდიული განყოფილების უფროსი	7/6/2017 10:00
24			ნატა კაპანაძე, იურისტი	
25	მართლმსაჯ ულება	უზენაესი სასამართლო	ნინო ბაქაქური, მოსამართლე	1/6/2017 13:00

26	მთავრობა	ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური	იური დოლიძე, სერვისების დეპარტამენტის უფროსი	24/04/2017 10:30
27		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	ცისნამი საბაძე, ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი	08/06/2017 16:00
28			თეა ლოლაძე, რეგულირების გავლენისა და კონკურენციის სამმართველოს უფროსი	08/06/2017 16:00
29		მონაცემთა გაცვლის სააგენტო	ირაკლი გვენეტაძე, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს უფროსი	04/05/2017 11:00
30			ნიკოლოზ გაგნიძე, მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის სამმართველოს უფროსი	
31		შემოსავლების სამსახური	გიორგი ტაბუაშვილი, გენერალური დირექტორი	6/6/2017 12:00
32			მამუკა ტერაშვილი, გენერალური დირექტორის მოადგილე	
33			ლევან წითელაშვილი, იურიდიული დეპარტამენტის უფროსი	
34			გიორგი პატარიძე, ადმინისტრაციის უფროსი	
35			რომან ბულაძე, დავების დეპარტამენტის უფროსი	
36		საქართველოს ეროვნული ბანკი	არჩილ მესტვირიშვილი	1/5/2017 11:00
37			გიორგი ბარბაქაძე, მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი	03/05/2017 12:00
38			მაია წოწკოლაური, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობის განყოფილების უფროსი	24/05/2017 11:00
39			ლაშა ჯუღელი, პრეზიდენტის მრჩეველი	
40			მამუკა ლორთქიფანიძე, უფროსი სპეციალსტი	

დანართი III – დირექტივების მოკლე შემაჯამებელი მიმოხილვა³³

დირექტივა 2009/101/EC

ევროკომისია მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია, ინფორმაციის გასაჯაროებასთან დაკავშირებულ ეროვნულ კანონმდებლობას შორის კოორდინაციისა და კომპანიების მიერ ნაკისრი და აქციებით ან სხვაგვარად შეზღუდული ვალდებულებების მეშვეობით დავიცვათ მესამე მხარეებისა და წევრების ინტერესები. აღნიშნული დირექტივა აკმაყოფილებს ამ საჭიროებას, აძლევს რა საშუალებას მესამე მხარეებსა და წევრებს, **ჰქონდეთ წვდომა კომპანიების ძირითადი დოკუმენტაციის შესახებ ინფორმაციაზე.**

დირექტივაში წარმოდგენილია ყველა იმ სავალდებულო ინფორმაციის სია, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს ცენტრალურ კომპანიათა რეესტრში. ის რეესტრს უწესებს ვადებს, რომლის განმავლობაშიც საქმეში უნდა შევიდეს ყველა ცვლილება, რომელიც ექვემდებარება ინფორმაციის გასაჯაროებას ელექტრონულად თუ ფიზიკურად.

იგივე დირექტივა ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, აღნიშნული ინფორმაცია გამოაქვეყნონ ეროვნულ გაზეთში/ჟურნალში ან სხვა წყაროებში და ისინი პასუხისმგებელი არიან ნებისმიერ უზუსტობაზე წარმოდგენილ ინფორმაციაში და აღნიშნული ინფორმაციის განახლებაზე.

დირექტივა 2012/30/EU

აღნიშნული დირექტივის მიზანია, კომპანიის დაფუძნებისა და მუშაობის, კომპანიის კაპიტალის შემცირებისა და გაზრდის ეროვნული კანონების კოორდინირებით დაიცვას საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების აქციონერები და კრედიტორები. დირექტივა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს, რომ ეროვნული კანონები იძლევა აქციონერებისადმი თანასწორი მოპყრობისა და კრედიტორთა დაცვის გარანტიას, რომელთა მოთხოვნაც წინ უსწრებს კაპიტალის შემცირების შესახებ გამოქვეყნებულ გადაწყვეტილებას. ეს დირექტივა საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს უზღუდავს საკუთარი აქციების შეძენის შესაძლებლობასაც.

დირექტივის სტანდარტული წესები:

- მინიმალური ინფორმაციის შესახებ მოთხოვნები: საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების რეგისტრაციის კანონი ან ინსტრუმენტი უნდა მოიცავდეს შენდევ ინფორმაციას: კომპანიის ტიპი და დასახელება, კომპანიის მიზნები, კაპიტალის მოცულობა, წესები, რომლითაც ხელმძღვანელობენ კომპანიის მართვაზე, მუშაობასა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი წევრები, კომპანიის ხანგრძლივობა.
- წესდებაში, რეგისტრაციის ინსტრუმენტში ან ცაკლე დოკუმენტში უნდა შევიდეს დამატებითი ინფორმაცია, მათ შორის: იურიდიული მისამართი, (კომპანიის მიერ გამოშვებული) საწესდებო აქციების ღირებულება, რაოდენობა და ფორმა, (კომპანიის მიერ გამოშვებული) საწესდებო კაპიტალის მოცულობა, რეგისტრაციის

³³ გადმოღებულია ევროკავშირის დირექტივების შეჯამებიდან, რომლის ნახვაც შესაძლებელია ბმულზე: <http://eur-lex.europa.eu/browse/summaries.html>.

ინსტრუმენტსა და კანონზე ხელმოწერი პირების ვინაობა, კომპანიის მიერ ასანაზღაურებელი ხარჯების ჯამური ოდენობა.

ევროკავშირში მოქმედი სხვა სტანდარტები, რომლებიც ეხება შემდეგს:

- საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების რეგისტრაციისთვის საჭირო მინიმალური კაპიტალის ვალდებულება – 25,000 ევრო. საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობა გადაიხედება ყოველ ხუთ წელიწადში, ევროკავშირის ეკონომიკური და მონეტარული ტრენდების გათვალისწინებით;
- აქციების გამოშვება და შეძენა;
- დივიდენდების განაწილება;
- კომპანიის მიერ აქციების შეძენის მიზნით გაცემული ფინანსური დახმარება;
- კაპიტალის გაზრდა და შემცირება;
- საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაშლა.

დირექტივა 2011/35/EU

აღნიშნული დირექტივა განსაზღვრავს კომპანიების შერწყმის წესებს ერთ კონკრეტულ წევრ სახელმწიფოში, რომელსაც შიდა შერწყმა შეგვიძლია ვუწოდოთ. დირექტივა მოიცავს აქციონერების, კრედიტორებისა და დასაქმებულთა დაცვის წესებს.

ადმინისტრაციული ან მმართველი საბჭოს მიერ შემუშავებული შერწყმის პირობები უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: კომპანიების ფორმა, დასახელებები და იურიდიული მისამართები, აქციათა გადაცვლის კურსი, შემსყიდველ კომპანიაში აქციათა განაწილების პირობები, შემსყიდველი კომპანიის მიერ მინიჭებული უფლებები.

ეს ინფორმაცია უნდა გახდეს საჯარო საერთო კრების მოწვევამდე სულ მცირე ერთი თვით ადრე, რომელზეც უნდა იქნას მიღებული შერწყმის შესახებ გადაწყვეტილება.

შერწყმაში მონაწილე ყველა კომპანიას სჭირდება საერთო კრების თანხმობა.

დირექტივა 82/891/EEC

აღნიშნული დირექტივა ეხება საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების გაყოფას ერთ კონკრეტულ წევრ სახელმწიფოში. დირექტივა მოიცავს ინფორმაციას აქციონერების, კრედიტორებისა და დასაქმებულთა დაცვის შესახებ.

ეს დირექტივა უზრუნველყოფს ინფორმაციას კომპანიის გაყოფის სხვადასხვა ფორმების შესახებ.

შესყიდვისა და ახალი კომპანიის ფორმირების გზით გაყოფასთან დაკავშირებით დირექტივა წარმოადგენს კონკრეტული დეტალების ჩამონათვალს, რომელიც უნდა შევიდეს ადმინისტრაციული ან მმართველო საბჭოს მიერ შედგენილ გაყოფის პირობებში.

ეს გულისხმობს შემდეგს: კომპანიების ფორმა, დასახელება და რეგისტრირებული მისამართი, წილის გადაცვლითი კურსი, წილების განაწილების პირობები, კომპანიის მიერ შესყიდვის შემდეგ მოპოვებული უფლებები, თარიღი, რომლიდანაც აქციონერებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მოგებაში.

გაყოფა მოითხოვს, გაყოფაში მონაწილე თითოეულ კომპანიას ჰქონდეს საერთო კრების თანხმობა.

გაყოფაში მონაწილე თითოეული კომპანიის ადმინისტრაციულმა ან მმართველმა ორგანოებმა უნდა მოამზადონ დეტალური წერილობითი ანგარიში, რომელშიც განმარტებული იქნება გაყოფის პირობები, მათ შორის გაყოფის სამართლებრივი და ეკონომიკური საფუძვლები.

დამოუკიდებელმა ექსპერტებმა უნდა შეისწავონ გაყოფის პირობები და მოამზადონ წერილობითი ანგარიში აქციონერებისთვის. აქციონერებს უფლება აქვთ, შეისწავლონ შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის გაყოფის პირობები და მონაწილე კომპანიების წლიური ანგარიშები და მოთხოვნისთანავე მიიღონ დოკუმენტაციის ასლები.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, დაიცვან მონაწილე კომპანიების კრედიტორები. მაგალითად, მათ შეიძლება უზრუნველყონ, რომ მიმღები კომპანიები ერთობლივად და ცალცალკე ანგარიშვალდებული არიან გასაყოფი კომპანიის წინაშე.

კომპანიების გაყოფა უნდა მოხდეს საკანონმდებლო ორგანოს (მაგ.: სასამართლოს) მეთვალყურეობის ქვეშ. იმ პირობით, რომ აქციონერებს ან კრედიტორებს არ მიადგებათ არავითარი ზიანი, საკანონმდებლო ორგანოს შეუძლია მონაწილე კომპანიები გაათავისუფლოს გარკვეული წესებისგან, რაც გამოიყენება შესყიდვის ან ახალი კომპანიის ფორმირების გზით გაყოფისას.

დირექტივა 89/666/EEC

დირექტივა განსაზღვრავს ინფორმაციის გაცემის იმ მოთხოვნებს, რომელიც ევროკავშირის წევრი ან არაწევრი სახელმწიფოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიერ წევრ სახელმწიფოში გახსნილ ფილიალს ეხება. მისი მიზანია აქციონერებისა და მესამე მხარეების დაცვაში არსებული ცდომილებების აღმოფხვრა და დაფუძნების უფლების გამოყენების დაცვა.

დირექტივა 2009/102/EC

აღნიშნული დირექტივის მიზანია სამართლებრივი ინსტრუმენტის შექმნა, რომელიც შეზღუდავს ინდივიდუალური მეწარმის პასუხისმგებლობას ევროკავშირში. ეს დირექტივა ქმნის საკანონმდებლო ჩარჩოს, რომელიც გამოიყენება კერძო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიებზე.

დანართი IV – შედარებითი ანალიზი

კაპიტალის მოძრაობა (დირექტივა 2012/30/EC, თუ სხვაგვარად არ არის განმარტებული)	კანონპროექტი	მოქმედი კანონი	კანონპროექტი გავლენას ახდის (სამართლებრივ ფორმაზე):	კანონპროექტის ნამატი ცვლილება მოქმედ კანონთან შედარებით. გათვალისწინებულია ვარიანტი 2-ში	მოდულიზაცია ვარიანტი 3-ში (ვარიანტი 2-თან შედარებით)
კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება (მუხლი 29).	სს-ებში, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი აქციების გამოშვების გზით კაპიტალის ზრდასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მიიღება საერთო კრების ხმების სულ მცირე 3/4 თანხმობით (დისპოზიციური - მუხლი 171). რაც შეეხება კაპიტალის ცვლილებას შპს-ში, ასეთი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საერთო კრებამ, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. როგორც წესი, საერთო კრება ამტკიცებს გადაწყვეტილებებს კენჭისყრაში მონაწილე ხმების 50%-ზე მეტის თანხმობით (დისპოზიციური - მუხლები 131 და 144.2).	საწესდებო კაპიტალზე თანხის დამატების მეშვეობით კაპიტალის გაზრდაზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საერთო კრებამ. ეს დებულება ეხება ყველა ტიპის საწარმოს.	სს-ები	კანონპროექტი სხვადასხვა ტიპის კომპანიებისთვის ითვალისწინებს ხმათა რაოდენობის სხვადასხვა ზღვარს.	უცვლელია
გადაწყვეტილება და დარეგისტრირებული კაპიტალის ზრდის შესახებ ინფორმაცია უნდა	სს-ებში დარეგისტრირებული კაპიტალის შეცვლა უნდა აისახოს აქციათა რეესტრში	მოქმედ კანონში მსგავსი დებულება არ არის.	სს-ები	მთელი დებულება არის ნამატი ცვლილება.	უცვლელია

წვერი სახელმწიფოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით, 2009/101/EC დირექტივის მე-3 მუხლის შესაბამისად (მუხლი 29).	საზოგადოების დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია აღნიშნული ვალდებულების შესრულებაზე (იმპერატიული - მუხლ				
	170.4)				
წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ საჭირო ზომები, რომ საწარმოებმა გამოაქვეყნონ განთავსებული კაპიტალის წლიური მოცულობა, თუკი სადამფუძნებლო შეთანხმებით ან წესდებით გათვალისწინებულია ნებადართული კაპიტალი და განთავსებული კაპიტალის გაზრდა არ საჭიროებს წესდების ცვლილებას (2009/101 დირექტივა, მუხლი 2).	კანონპროექტის მუხლის 14(ბ) თანახმად, სხვა შემთხვევების გარდა, უნდა გასაჯაროვდეს შემდეგი მონაცემები: განთავსებული კაპიტალის წლიური რაოდენობა, თუკი წესდებით გათვალისწინებული ნებადართული კაპიტალი და განთავსებული კაპიტალის გაზრდა არ საჭიროებს წესდების ცვლილებას. სავარაუდოდ, ეს ნიშნავს, რომ საწარმოები თავისუფალი არიან, თავად გადაწყვიტონ, შეცვალონ თუ არა წესდება კაპიტალის ზრდის გამო. 176-ე მუხლის ფარგლებში, სს-ებში განთავსებული კაპიტალის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილება უნდა აისახოს აქციათა რეესტრში და გამოქვეყნდეს. სააქციო საზოგადოების დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია აღნიშნული მოთხოვნის შესრულებაზე.	მოქმედ კანონში მსგავსი დებულება არ არის.	სს-ები (და ის შპს-ები, რომლებიც დაარეგისტრირებენ განთავსებულ კაპიტალს)	განთავსებული კაპიტალის დამატებითი წლიური გამოქვეყნება და გამოქვეყნების ვალდებულებებში ცვლილებების რეგისტრაცია.	უცვლელია

ნებისმიერ აქციებზე, რომლებიც გამოიშვება არაფულადი შენატანის სანაცვლოდ, დამოუკიდებელმა ექსპერტმა უნდა მოამზადოს წერილობითი ანგარიში (მუხლი 31).	გარკვეულწილად მსგავსი დებულება წარმოდგენილია კანონპროექტის 158-ე(9) მუხლში, რომლის თანახმადაც, სააქციო საზოგადოების რეგისტრაციამდე ნებისმიერ არაფულად შენატანთან დაკავშირებით უნდა მომზადდეს ანგარიში სასამართლოს მიერ დანიშნული ერთი ან რამდენიმე დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ, რომელიც უნდა გამოქვეყნდეს რეესტრში. (იმპერატიული) 158-ე(10) მუხლი განსაზღვრავს დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ ანგარიშის მომზადების კრიტერიუმებს.	მოქმედ კანონში მსგავსი დებულება არ არის.	სს-ები	სასამართლოს მიერ დანიშნული დამოუკიდებელი ექსპერტის შეფასება; დამატებით გამოქვეყნების ვალდებულება.	უცვლელია
ექსპერტების ანგარიში უნდა გამოქვეყნდეს თითოეული წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, 2009/101/EC დირექტივის მე-3 მუხლის შესაბამისად (მუხლი 31).	ზემოხსენებული მუხლის ფარგლებში, საწარმოები ვალდებული არიან, გამოაქვეყნონ ეს ანგარიშები. იმპერატიული - მუხლი 158 (9)	მოქმედ კანონში მსგავსი დებულება არ არის.	სს-ები	დამატებით გამოქვეყნების ვალდებულება.	უცვლელია
თუ აქციები გამოშვებულია ფასიანი ქაღალდებისა და ფინანსური ინსტრუმენტების სანაცვლოდ, დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ მომზადებული წერილობითი ანგარიშის	კანონპროექტი პირდაპირ არ საუბრობს ფასიანი ქაღალდებისა და ფინანსური ინსტრუმენტების სანაცვლოდ გამოშვებულ აქციებზე. შესაბამისად,	მოქმედ კანონში მსგავსი დებულება არ არის.	N/A	უცვლელია	

გარეშე, უნდა გამოქვეყნდეს მმართველობის განცხადება	ასეთი ზუსტი რეგულაცია არ არსებობს.
---	------------------------------------

(მუხლი 31).					
ექსპერტების ანგარიში უნდა გამოქვეყნდეს თითოეული წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, 2009/101/EC დირექტივის მე-3 მუხლის შესაბამისად (მუხლი 13, მუხლი 10(3)).	კანონპროექტის 230-ე(9) მუხლის ფარგლებში, გარიგება უნდა შეისწავლოს ექსპერტმა, როგორც გათვალისწინებულია 153-ე მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტებით და უნდა დაამტკიცოს საერთო კრებამ, გარდა ბიზნესის ჩვეული მუშაობისას განხორციელებული შესყიდვებისა და საფონდო ბირჟაზე განხორციელებული შესყიდვებისა.	მოქმედ კანონში მსგავსი დებულება არ არის.	სს-ები	მთელი დებულება არის ნამატი ცვლილება.	უცვლელია
თუ ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი საწარმოს დაფუძნებიდან ან ბიზნესის დაწყებიდან ორწლიანი ვადის ამოწურვამდე საწარმო შეიძენს აქტივს სააქციო საზოგადოების აქციონერისგან, რომლის ღირებულება საკუთარი განთავსებული კაპიტალის არანაკლებ 10%-ია, ამ გარიგების მიმართ უნდა შედგეს ექსპერტის ანგარიში, დეტალები უნდა გამოქვეყნდეს მე-10 (1), (2) და (3) მუხლით დადგენილი ფორმით და დამტკიცდეს	თუ, სააქციო საზოგადოების დაფუძნებიდან ორწლიანი ვადის ამოწურვამდე, საწარმო შეიძენს აქტის სააქციო საზოგადოების აქციონერებისგან, რომლის ღირებულება საკუთარი განთავსებული კაპიტალის არანაკლებ 10%-ია, ეს გარიგება უნდა შეისწავლოს ექსპერტმა, როგორც გათვალისწინებულია 153-ე მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტებით, და უნდა დაამტკიცოს საერთო კრებამ, გარდა ბიზნესის ჩვეული მუშაობისას განხორციელებული შესყიდვებისა და საფონდო	მოქმედ კანონში მსგავსი დებულება არ არის.	სს-ები	მთელი დებულება არის ნამატი ცვლილება.	უცვლელია

საერთო კრების მიერ (მუხლი 13).	ბირჟაზე განხორციელებული შესყიდვებისა (მუხლი 230(9)).				
საწარმოს მიერ საკუთარი აქციების გამოსყიდვაზე ნებართვას გასცემს საერთო კრება, რომელიც განსაზღვრავს მსგავსი გამოსყიდვის პირობებს, კერძოდ, გამოსასყიდი აქციების მაქსიმალურ ოდენობას, ნებართვის მოქმედების ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს, და სასყიდლიანი გამოსყიდვის შემთხვევაში, გამოსყიდვის მინიმალურ და მაქსიმალურ ფასს (მუხლი 21 (1)(ა)).	მუხლი 168 (3)(ა): სააქციო საზოგადოების მიერ საკუთარი აქციების გამოსყიდვისთვის საჭიროა საერთო კრების ნებართვა, რომელშიც მითითებულია გამოსასყიდი აქციების მაქსიმალურ ოდენობა, ნებართვის მოქმედების ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს, და სასყიდლიანი გამოსყიდვის შემთხვევაში, გამოსყიდვის მინიმალური და მაქსიმალური ფასი.	მოქმედ კანონში მსგავსი დებულება არ არის.	სს-ები	მთელი დებულება არის ნამატი ხარჯი. მოქმედი კანონი არ ითვალისწინებს საწარმოს უფლებას, გამოსყიდოს საკუთარი აქციები. მოქმედი კანონმდებლობა ასეთ შესაძლებლობას უშვებს მხოლოდ აქციონერთა მიერ მოთხოვნის შემთხვევაში.	უცვლელია
განთავსებული კაპიტალის ნებისმიერი შემცირება, გარდა სასამართლოს გადაწყვეტილებით განხორციელებული შემცირებისა, ექვემდებარება საერთო კრების გადაწყვეტილებას, რომელიც მოქმედებს კვორუმისა და ხმათა უმრავლესობის წესის დაცვით, რომლებიც განსაზღვრულია 44-ე მუხლში, თუ არ ეწინააღმდეგება მე-40 და 41- ე მუხლებს (მუხლი 34 (1-ლი წინადადება).	სს-ებში განთავსებული კაპიტალის ნებისმიერი შემცირება უნდა დაამტკიცოს საერთო კრებამ ხმათა უმრავლესობით (მუხლი 176.5).	მოქმედი კანონში არ არის განთავსებული კაპიტალის შემცირების წესები.	სს-ები	მთელი დებულება არის ნამატი ცვლილება. კანონპროექტს შემოაქვს კონკრეტულად განთავსებული კაპიტალის შემცირების ცნება. თუმცა კონკრეტული რეგულაციის გარეშე ვთვლით, რომ კანონპროექტი იძლევა განთავსებული კაპიტალის შემცირების საშუალებას.	უცვლელია

გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს თითოეული წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, 2009/101/EC დირექტივის მე-3 მუხლის შესაბამისად (მუხლი 34 (მე-2 წინადადება)).	სს-ებში განთავსებული კაპიტალის შემცირების შესახებ გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს და აისახოს აქციათა რეესტრში. შესაბამისი ცვლილებები უნდა შევიდეს წესდებაში (მუხლი 176.3).	მოქმედი კანონში არ არის განთავსებული კაპიტალის შემცირების წესები.	სს-ები	მთელი დებულება არის ნამატი ცვლილება. მოქმედ კანონმდებლობასთან შედარებით, კანონპროექტი ითვალისწინებს დამატებითი გამოქვეყნების ვალდებულებას.	უცვლელია
განთავსებული კაპიტალის შემცირების შემთხვევაში, იმ კრედიტორებს, რომელთა მოთხოვნაც წინ უსწრებს კაპიტალის შემცირების შესახებ გამოქვეყნებულ გადაწყვეტილებას, უნდა ჰქონდეთ უფლება, მოითხოვონ უზრუნველყოფა იმ შემთხვევაში, თუკი მათი მოთხოვნა სააქციო საზოგადოების მიმართ არ არის ვადამოსული. წევრ სახელმწიფოს შეუძლია ცალკე არ დააწესოს ასეთი უფლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კრედიტორს აქვს ადეკვატური გარანტიები ან იმ შემთხვევებისა, როდესაც მსგავსი გარანტიები არ არის საჭირო კომპანიის აქტივებისთვის (მუხლი 36).	განთავსებული კაპიტალის შემცირების შემთხვევაში, აქციონერებს შეიძლება გადაუხადონ ან გათავისუფლდნენ სააქციო კაპიტალში შენატანებისგან მხოლოდ საწესდებო კაპიტალის შემცირების შესახებ განცხადების გამოქვეყნებიდან სულ მცირე 6 თვის შემდეგ, რაც ნიშნავს, რომ სააქციო საზოგადოებამ დააკმაყოფილა კრედიტორების საჩივრები, რაც განთავსებული კაპიტალის შემცირების შედეგად აქციონერისთვის გადახდა ან მათი განთავისუფლება განთავსებული კაპიტალში შესატანის შეტანისგან დაიშვება მხოლოდ განთავსებული კაპიტალის შემცირების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის	მოქმედი კანონში არ არის განთავსებული კაპიტალის შემცირების წესები.	სს-ები	მთელი დებულება არის ნამატი ცვლილება. კანონპროექტისგან განსხვავებით, მოქმედი კანონი არ ითვალისწინებს კრედიტორების უფლებების დაცვის გარანტიებს კაპიტალის შემცირების შემთხვევაში.	უცვლელია

გამოქვეყნებიდან არანაკლებ
ექვსი თვის შემდეგ, თუკი
კრედიტორების ის
მოთხოვნები, რომლებიც
განთავსებული კაპიტალის
შემცირების შესახებ
გადაწყვეტილებისგამოქვეყნ
ებამდე წარმოიშვა, სააქციო
საზოგადოების მიერ
დაკმაყოფილდა ან თუკი
სააქციო საზოგადოებამ
უზრუნველყო ასეთი
მოთხოვნები ან თუკი
სასამართლომ მათი
მოთხოვნა არ
დააკმაყოფილა. ასეთი
დაკმაყოფილება ან
მოთხოვნის შესრულების
უზრუნველყოფა სააქციო
საზოგადოების მიერ
კრედიტორებს უნდა
მიეცეთ, თუკი მათ
გადაწყვეტილების
გამოქვეყნებიდან ექვსი თვის
განმავლობაში განუცხადეს
სააქციო საზოგადოებას
აღნიშნულის თაობაზე,
გარდა იმ შემთხვევისა თუ
სააქციო საზოგადოების
აქტივების
გათვალისწინებით
კრედიტორების დაცვა
საჭირო არ არის.
კრედიტორები
უფლებამოსილნი არიან
მოითხოვონ
უზრუნველყოფა იმ

	შემთხვევაში, თუკი მათი მოთხოვნა სააქციო საზოგადოების მიმართ არ არის ვადამოსული. კრედიტორთა ამ უფლებების შესახებ მითითებულ უნდა იყოს განთავსებული კაპიტალის შემცირების შესახებ გამოქვეყნებულ გადაწყვეტილებაში (მუხლი 176.8).			
თუ წესდება ან პარტიორთა შორის შეთანხმება იძლევა გამოსყიდვის საშუალებას, აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება საერთო კრების მიერ, კვორუმისა და ხმათა უმრავლესობის წესების დაცვით (მუხლი 39).	სააქციო საზოგადოების საერთო კრებამ ხმათა უმრავლესობით უნდა დაამტკიცოს აქციების გამოსყიდვა. ასეთი გადაწყვეტილება აუცილებელი არ არის, თუ აქციონერები, რომელთა აქციების გამოსყიდვაზეც არის საუბარი, ეთანხმებიან ამ გადაწყვეტილებას (მუხლი 177).	მოქმედ კანონში მსგავსი დებულება არ არის.	სს-ები	კანონპროექტს შემოაქვს კონკრეტულად განთავსებული კაპიტალის შემცირების ცნება. თუმცა ვთვლით, რომ კონკრეტული რეგულაციის გარეშე კანონპროექტი იძლევა განთავსებული კაპიტალის შემცირების საშუალებას.
კანონპროექტი ითვალისწინებს აქციების სავალდებულო გატანის წესს. აღნიშნულ წესზე ვრცელდება რამდენიმე პირობა: (1) უნდა დადგინდეს წესდებით ან სადამფუძნებლო შეთანხმებით, ვიდრე გასატანი აქციების განთავსებამდე; (2) გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება, გარდა იმ	სააქციო საზოგადოების საერთო კრებამ საკუთარი კაპიტალის შემცირების მიზნით შეიძლება გამოსყიდოს მის საწარმოს ან მესამე პირის, რომელიც მოქმედებს საკუთარი სახელით ან სააქციო საზოგადოების დავალებით, გამოსყიდული აქციები, ან იძულებით გააუქმოს განთავსებული აქცია. განთავსებული აქციის	საერთო კრების გადაწყვეტილებამ შეიძლება გააუქმოს აქციები, რომლებიც არ არის განთავსებული ამავე გადაწყვეტილებით დადგენილი წესების შესაბამისად. ეს ნიშნავს, რომ ნებადართული აქციების რაოდენობას აკლდება გაუქმებული აქციების რაოდენობა. საწარმოს დირექტორი	სს-ები	უნდა აღინიშნოს, რომ კანონპროექტში ეს ქმედება არ არის იძულებითი.

შემთხვევებისა, როდესაც ყველა მონაწილე აქციონერი ეთანხმება გადაწყვეტილებას; (3) კომპანიის აქციების გატანაზე გადაწყვეტილების მიმღები ორგანო ადგენს პირობებსა და ფორმას; (4) სავალდებულო გატანის შესახებ გადაწყვეტილება გამოქვეყნდება კანონით დადგენილი ფორმით (მუხლი 40).	იძულებით გაუქმება დასაშვებია, თუკი ეს აქციის განთავსებამდე მოთხოვნილი ან დაშვებული იყო წესდებით. საზოგადოების წესდებით ან საერთო კრების გადაწყვეტილებით უნდა განისაზღვროს იძულებითი გაუქმების წინაპირობები და პროცედურა. იძულებითი გაუქმება არ საჭიროებს საერთო კრების გადაწყვეტილებას თუ გაუქმება ერთხმად დამტკიცებულია იმ პარტნიორების მიერ, რომელთა აქციებიც უქმდება (მუხლი 177).	ვალდებულია, საწარმოს წესდებაში შეიტანოს შესაბამისი ცვლილება, საერთო კრების თანხმობის გარეშე (მუხლი 59.).
---	--	--

საწარმოს შერწყმა (2011/35/EU დირექტივა)	კანონპროექტი	მოქმედი კანონი	კანონპროექტი ახდეს ფორმაზე):	გავლენას (სამართლებრივ	კანონპროექტის ცვლილება მოქმედ კანონთან შედარებით. გათვალისწინებულია ვარიანტი 2-ში	ნამატი	მოდულიზაცია ვარიანტი 3-ში
შეტყობინება (გამოქვეყნება) შერწყმის გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებელ ორგანოს (მუხლი 6)	კანონპროექტის 73-ე მუხლის თანახმად, შერწყმაში მონაწილე ყველა სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია, გამოაქვეყნოს შერწყმის გეგმის პროექტი ან განათავსოს ის სამეწარმეო საზოგადოების ვებ-გვერდზე განგრძობითი	კანონპროექტის მე-14 ⁴ მუხლის 6 ¹ პუნქტის თანახმად, თუ მოთხოვნილ იქნა ერთეულის რეორგანიზაციის დაწყება, რეგისტრაციის დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს რეორგანიზაციის ტიპი და რეორგანიზაციის შედეგების შესახებ ინფორმაცია.	ყველა		ყველა დებულება არის ნამატი ცვლილება.	არის	გამორიცხულია შპს-ები



	პერიოდით, რომელიც იწყება პარტნიორთა კრების თარიღამდე, რომელმაც უნდა დაამტკიცოს შერწყმის გეგმა, სულ მცირე 30 დღით ადრე. მეორე ნაწილში წარმოდგენილია საერთო კრების შეხვედრამდე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დეტალური სია.						
შერწყმის პირობები წერილობით (მუხლი 5)	კანონპროექტის თანახმად, შერწყმის გეგმა ადგენს შერწყმის პირობებს. კანონპროექტის 71-ე მუხლი განსაზღვრავს შერწყმის გეგმის მინიმალურ მოთხოვნებს, ისევე, როგორც შერწყმის გეგმის თანდართულ დოკუმენტებს, რომლებიც აღნიშნული დოკუმენტის განუყოფელი ნაწილია.	მოქმედ კანონში მსგავსი დებულება არ არის.	ყველა	ყველა დებულება ნამატი ცვლილება	არის	გამორიცხულია შპს-ები	
მმართველობის წერილობითი ანგარიში (მუხლი 9)	აღნიშნული კანონპროექტის 72-ე მუხლის თანახმად, შერწყმაში მონაწილე სამეწარმეო საზოგადოების, ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები ამზადებენ შერწყმის ანგარიშს, რომელიც დეტალურად უნდა განმარტავდეს: (1) შერწყმის გეგმის დებულებები, მათი სამართლებრივი და ეკონომიკური საფუძველი;	მოქმედ კანონში მსგავსი დებულება არ არის.	სს	ყველა დებულება ნამატი ცვლილება	არის	უცვლელია	



	(2) წილების გადაცვლის თანაფარდობის განსაზღვრის კრიტერიუმები და მეთოდები, აგრეთვე გადაცვლის თანაფარდობის შეფასებისას წარმოშობილი სიძნელეები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ანგარიშის მომზადება არ არის სავალდებულო, თუკი შერწყმაში მონაწილე სამეწარმეო საზოგადოებების ყველა პარტნიორი წერილობით უარს განაცხადებს ანგარიშის წარდგენაზე.					
დამოუკიდებელი ექსპერტის წერილობითი ანგარიში	კანონპროექტის 74-ე მუხლის თანახმად, თუ	მოქმედ კანონში მსგავსი დებულება არ არის.	თუ შერწყმაში მონაწილეობს სს, მაშინ დამოუკიდებელი	ყველა დებულება ნამატი ცვლილება	არის	უცვლელია
(მუხლი 10)	შერწყმაში მონაწილე რომელიმე სამეწარმეო საზოგადოება არის სააქციო საზოგადოება, შერწყმის გეგმას შეისწავლის სასამართლოს მიერ თითოეული სამეწარმეო საზოგადოების მოთხოვნის საფუძველზე დანიშნული ერთი ან რამდენიმე ექსპერტი. შერწყმაში მონაწილე სამეწარმეო საზოგადოების ერთობლივი მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლომ მონაწილე ყველა სამეწარმეო საზოგადოებისთვის შეიძლება დანიშნოს ერთი ან		ექსპერტი სწავლობს შერწყმის გეგმას			



	რამდენიმე საერთო ექსპერტი. დამოუკიდებელი ექსპერტის შეფასება არ არის სავალდებულო, თუ შერწყმაში მონაწილე სამეწარმეო საზოგადოების ყველა პარტნიორი შეთანხმდება. ექსპერტის ანგარიშის სავალდებულო მოთხოვნები განსაზღვრულია კანონპროექტის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილში.					
აქციონერების მიერ დოკუმენტაციის შესწავლა (მუხლი 11)	შერწყმაში მონაწილე ყველა სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია, უზრუნველყოს სამეწარმეო საზოგადოების იურიდიულ მისამართზე ან სამეწარმეო საზოგადოების ვებ- გვერდზე ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტების სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორთათვის უფასოდ ხელმისაწვდომობა შერწყმის გეგმის დასამტკიცებლად პარტნიორთა კრების თარიღამდე სულ მცირე 30 დღის განმავლობაში: (1) შერწყმის გეგმა; (2) შერწყმაში მონაწილე სამეწარმეო საზოგადოებების ბოლო სამი წლის ფინანსური	მოქმედ კანონში მსგავსი დებულება არ არის.	თუ შერწყმაში მონაწილეობს სს, მაშინ სს-მ აქციონერებს უნდა მისცეს უფასო წვდომა შერწყმის დოკუმენტაციაზე (გეგმაზე, ანგარიშებზე და სხვ.).	ყველა დებულება ნამატი ცვლილება	არის	უცვლელია



	ანგარიშგებები შესადარისობის პრინციპის დაცვით; (3) თუ სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორთათვის შერწყმის გეგმის ხელმისაწვდომობის მომენტისათვის ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან ექვს თვეზე მეტია გასული, ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შედგენილია შერწყმის გეგმის მომზადების თარიღამდე არაუმეტეს მესამე თვის პირველ რიცხვში; (4) შერწყმის ანგარიში (ასეთის არსებობის შემთხვევაში); (5) დამოუკიდებელი ექსპერტის ანგარიში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).				
საერთო კრება (მუხლი 7)	კანონპროექტის 70-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილებას შერწყმის შესახებ იღებს შერწყმაში მონაწილე ყველა სამეწარმეო საზოგადოების საერთო კრება. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, სააქციო საზოგადოებაში ან კოოპერატივში გადაწყვეტილებისთვის საჭიროა დამსწრეთა ხმების ¾. ყველა სხვა შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება	მოქმედი კანონმდებლობის მე-14^ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასთან შერწყმაზე გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭიროა სააქციო საზოგადოების ან კოოპერატივის დამსწრე ხმის მიცემის უფლების მქონე პარტნიორ(ებ)ის ხმათა 75%. ყველა სხვა შემთხვევაში, აღნიშნული	ყველა	კანონპროექტით ხმის მიცემა სავალდებულო ხდება (შპს- ისთვის, სს-ებისა და კოოპერატივებისთვის ხმების ¾. სხვა შემთხვევაში საჭიროა ხმათა 100%).	უცვლელია

	ერთხმად. როდესაც არსებობს აქციების ერთზე მეტი კლასი, სააქციო საზოგადოების შერწყმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ კლასის აქციონერთა ცალკეული ხმის მიცემით, რომელთა უფლებებზეც მოქმედებს აღნიშნული ტრანზაქცია (იმპერატიული).	გადაწყვეტილება მიიღება ერთხმად. შერწყმის შესახებ გადაწყვეტილება განმარტავს, ერთი საწარმო უერთდება მეორეს, თუ ორივე საწარმო ერთიანდება ერთ ახალ საწარმოდ (კომბინაცია).			
შერწყმაში მონაწილე საწარმოების კრედიტორების ინტერესების დაცვის ადეკვატური სისტემა (მუხლი 13).	კანონპროექტის 78-ე მუხლის თანახმად, რეორგანიზაციის რეგისტრირებიდან 3 თვის განმავლობაში კრედიტორებს შეუძლიათ მოითხოვონ საწარმოსგან ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. კრედიტორებს შეუძლიათ ისარგებლონ ამ უფლებით, თუ დამტკიცებენ, რომ რეორგანიზაცია საფრთხეს უქმნის მათ მოთხოვნებს (იმპერატიული).	მოქმედი კანონის მე-14 ⁴ მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, კრედიტორები უფლებამოსილი არიან, საწარმოს მოსთხოვონ ნაკისრ ვალდებულებათა ვადაზე ადრე შესრულება. იმავე მუხლის მე-6 პუნქტი კრედიტორების ამავე უფლებას ზღუდავს, თუ: (1) რეორგანიზაციით არ მცირდება საწარმოს უნარი, დააკმაყოფილოს კრედიტორები; (2) საწარმოს მიუერთდა 100%-იანი შვილობილი კომპანია.	ყველა	1. კრედიტორებმა უნდა დაამტკიცონ, რომ რეორგანიზაცია საფრთხეს უქმნის მათ საჩივარს. 2. კრედიტორებს უფლება აქვთ, უკან მოითხოვონ კრედიტი რეორგანიზაციის შემთხვევაში (მათ შორის D10 სვეტში მითითებულ შემთხვევაში).	უცვლელია
ნოტარიუსის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დოკუმენტაციის დამოწმება (მუხლი 16)	კანონპროექტი არ ითვალისწინებს ნოტარიუსის მიერ შერწყმის დოკუმენტაციის დამოწმების ვალდებულებას.	მოქმედი კანონი არ ითვალისწინებს ნოტარიუსის მიერ შერწყმის დოკუმენტაციის დამოწმების ვალდებულებას.	ყველა	ცვლილებები არ არის.	უცვლელია
შეტყობინება შერწყმაზე საბოლოო გადაწყვეტილებაზე	კანონპროექტის 77-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, შერწყმა ძალაში	მოქმედი კანონის მე-14 ⁴ მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, საწარმოების	ყველა	საბჭოს გადაწყვეტილების მიღებიდან	მიერ გამოორიცხულია შპს-ები

პასუხისმგებელ ორგანოს (მუხლი 18).	შედის მისი რეგისტრაციის მომენტში. რეგისტრაციის შემდეგ შერწყმის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა დაუშვებელია. იმავე დებულების მე-4 პუნქტის თანახმად, შერწყმის განაცხადი რეესტრს უნდა წარედგინოს შერწყმის შესახებ გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ. ეს პირობა არ ვრცელდება შემთხვევებზე, როცა პირები, რომელთაც ეხება აღნიშნული გადაწყვეტილება, წერილობით უარს აცხადებენ აღნიშნული უფლებით სარგებლობაზე (იმპერატიული).	შერწყმა რეგისტრირდება საწარმოს რეგისტრაციისთვის ამ კანონით, საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონითა და ინსტრუქციით განსაზღვრული წესების შესაბამისად შერწყმის შედეგად წარმოშობილი სუბიექტების რაოდენობის შესაბამისი მომსახურების საფასურის გადახდით.		რეგისტრაციამდე 1 თვის პირობით.	
შერწყმასთან დაკავშირებით მესამე მხარეებისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება (მუხლი 18).	კანონპროექტის 77-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი ვალდებულება გულისხმობს შერწყმის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას მესამე მხარეებისთვის, ვინაიდან რეესტრისთვის წარდგენილი ინფორმაცია არის საჯარო.	მოქმედი კანონის მე-14 ⁴ მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი ვალდებულება გულისხმობს შერწყმის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას მესამე მხარეებისთვის, ვინაიდან რეესტრისთვის წარდგენილი ინფორმაცია არის საჯარო.	ყველა	ცვლილებები არ არის.	უცვლელია
საწარმოს გაყოფა (82/891/EEC დირექტივა)	კანონპროექტი	მოქმედი კანონი	კანონპროექტი გავლენას ახდეს (სამართლებრივ ფორმაზე):	კანონპროექტის ნამატი ცვლილება მოქმედ კანონთან შედარებით.	მოდულიზაცია ვარიანტი 3-ში

				გათვალისწინებულია ვარიანტი 2-ში	
შეტყობინება (გამოქვეყნება) გაყოფის გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებელ ორგანოს (მუხლი 4)	კანონპროექტის 73-ე მუხლის თანახმად, გაყოფაში მონაწილე ყველა სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია, გამოაქვეყნოს გაყოფის გეგმის პროექტი ან განათავსოს ის სამეწარმეო საზოგადოების ვებ-გვერდზე განგრძობითი პერიოდით, რომელიც იწყება პარტნიორთა კრების თარიღამდე, რომელმაც უნდა დაამტკიცოს შერწყმის გეგმა, სულ მცირე 30 დღით ადრე.	კანონპროექტის მე-14 ⁴ მუხლის 6 ¹ პუნქტის თანახმად, თუ მოთხოვნილ იქნა ერთეულის რეორგანიზაციის დაწყება, რეგისტრაციის დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს რეორგანიზაციის ტიპი და რეორგანიზაციის შედეგების შესახებ ინფორმაცია.	ყველა	ყველა დებულება არის ნამატი ცვლილება.	გამორიცხულია შპს-ები
გაყოფის პირობები წერილობით (მუხლი 3)	კანონპროექტის თანახმად, გაყოფის გეგმა ადგენს გაყოფის პირობებს. კანონპროექტის 71-ე მუხლი განსაზღვრავს გაყოფის გეგმის მინიმალურ მოთხოვნებს, ისევე, როგორც გაყოფის გეგმის თანდართულ დოკუმენტებს, რომლებიც აღნიშნული დოკუმენტის <u>განუყოფელი ნაწილია</u> .	მოქმედ კანონში მსგავსი დებულება არ არის.	ყველა	ყველა დებულება არის ნამატი ცვლილება.	გამორიცხულია შპს-ები
მმართველობის წერილობითი ანგარიში (მუხლი 7)	აღნიშნული კანონპროექტის 72-ე მუხლის თანახმად, გაყოფაში მონაწილე სამეწარმეო საზოგადოების, ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები ამზადებენ გაყოფის ანგარიშს, რომელიც დეტალურად უნდა განმარტავდეს: (1) გაყოფის გეგმის დებულებები, მათი სამართლებრივი და ეკონომიკური საფუძველი; (2) წილების გადაცვლის თანაფარდობის განსაზღვრის კრიტერიუმები და მეთოდები, აგრეთვე გადაცვლის თანაფარდობის შეფასებისას წარმოშობილი სიძნელეები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ანგარიშის მომზადება არ არის სავალდებულო, თუკი შერწყმაში მონაწილე სამეწარმეო საზოგადოებების ყველა პარტნიორი წერილობით უარს განაცხადებს ანგარიშის წარდგენაზე.	მოქმედ კანონში მსგავსი დებულება არ არის.	სს-ები	ყველა დებულება არის ნამატი ცვლილება.	უცვლელია

დამოუკიდებელი ექსპერტის წერილობითი ანგარიში (მუხლი 8)	კანონპროექტის 74-ე მუხლის თანახმად, თუ გაყოფაში მონაწილე რომელიმე სამეწარმეო საზოგადოება არის სააქციო საზოგადოება, გაყოფის გეგმას შეისწავლის სასამართლოს მიერ თითოეული სამეწარმეო საზოგადოების მოთხოვნის საფუძველზე დანიშნული ერთი ან რამდენიმე ექსპერტი. გაყოფაში მონაწილე სამეწარმეო საზოგადოების ერთობლივი მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლომ მონაწილე ყველა სამეწარმეო საზოგადოებისთვის შეიძლება დანიშნოს ერთი ან რამდენიმე საერთო ექსპერტი. დამოუკიდებელი ექსპერტის შეფასება არ არის სავალდებულო, თუ გაყოფაში მონაწილე სამეწარმეო საზოგადოების ყველა პარტნიორი შეთანხმდება. ექსპერტის ანგარიშის საგადასმელი მოთხოვნები განსაზღვრულია კანონპროექტის 74-ე მუხლის მე-2 პუნქტში.	მოქმედ კანონში მსგავსი დებულება არ არის.	თუ გაყოფაში მონაწილეობს სს, მაშინ დამოუკიდებელი ექსპერტი სწავლობს გაყოფის გეგმას.	ყველა დებულება არის ნამატი ცვლილება.	უცვლელია
აქციონერების მიერ დოკუმენტაციის შესწავლა (მუხლი 9)	გაყოფაში მონაწილე ყველა სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია, უზრუნველყოს სამეწარმეო საზოგადოების იურიდიულ მისამართზე ან სამეწარმეო საზოგადოების ვებ-გვერდზე ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტების სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორთათვის უფასოდ ხელმისაწვდომობა გაყოფის გეგმის დასამტკიცებლად პარტნიორთა კრების თარიღამდე სულ მცირე 30 დღის განმავლობაში: (1) გაყოფის გეგმა; (2) გაყოფაში მონაწილე სამეწარმეო საზოგადოებების ბოლო სამი წლის ფინანსური ანგარიშგებები შესაძარისობის პრინციპის დაცვით; (3) თუ სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორთათვის გაყოფის გეგმის ხელმისაწვდომობის მომენტისათვის ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან ექვს თვეზე მეტია გასული,	მოქმედ კანონში მსგავსი დებულება არ არის.	თუ გაყოფაში მონაწილეობს სს, მაშინ სს ვალდებულია, აქციონერებს მისცეს თავისუფალი წვდომა გაყოფის დოკუმენტაციაზე (გეგმა, ანგარიშები და სხვ.).	ყველა დებულება არის ნამატი ცვლილება.	უცვლელია

	ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შედგენილია გაყოფის გეგმის მომზადების თარიღამდე არაუმეტეს მესამე თვის პირველ რიცხვში; (4) გაყოფის ანგარიში (ასეთის არსებობის შემთხვევაში); (5) დამოუკიდებელი ექსპერტის ანგარიში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).				
საერთო კრება (მუხლი 6).	კანონპროექტის 70-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილებას გაყოფის შესახებ იღებს გაყოფაში მონაწილე ყველა სამეწარმეო საზოგადოების საერთო კრება. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, სააქციო საზოგადოებაში ან კოოპერატივში გადაწყვეტილებისთვის საჭიროა დამსწრეთა ხმების ¾. ყველა სხვა შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება ერთხმად. როდესაც არსებობს აქციების ერთზე მეტი კლასი, სააქციო საზოგადოების გაყოფის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ კლასის აქციონერთა ცალკეული ხმის მიცემით, რომელთა უფლებებზეც მოქმედებს აღნიშნული ტრანზაქცია (იმპერატიული).	მოქმედი კანონმდებლობის მე-14 ⁴ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საწარმო შეიძლება გაიყოს ორ ან ორზე მეტ საწარმოდ და მათ საქმიანობა შეიძლება გააგრძელონ როგორც დამოუკიდებელმა საწარმოებმა, საკუთარი სამართლებრივი ფორმით. გაყოფის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება ითვალისწინებდეს, გაყოფის შედეგად წარმოქმნილ საწარმოში ადრინდელი პარტნიორების წილობრივი მონაწილეობის შეცვლას. გაყოფის შედეგად წარმოქმნილი საწარმოები სოლიდარულად აგებენ პასუხის თავდაპირველი საწარმოს გაყოფამდე არსებული ვალდებულებებისთვის, ხოლო თავდაპირველი საწარმოს უფლებამონაცვლე საწარმო განისაზღვრება გაყოფის შესახებ გადაწყვეტილებით.	ყველა	კანონპროექტით ხმის მიცემა სავალდებულო ხდება (შპს-ისთვის, სს-ებისა და კოოპერატივებისთვის ხმების ¾. სხვა შემთხვევებში საჭიროა ხმათა 100%).	უცვლელია
გაყოფაში მონაწილე კომპანიების კრედიტორების ინტერესების დაცვის ადეკვატური სისტემა (მუხლი 12).	კანონპროექტის 78-ე მუხლის თანახმად, რეორგანიზაციის რეგისტრირებიდან 3 თვის განმავლობაში კრედიტორებს შეუძლიათ მოითხოვონ საწარმოსგან ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. კრედიტორებს შეუძლიათ ისარგებლონ ამ უფლებით, თუ	მოქმედი კანონის მე-14 ⁴ მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, კრედიტორები უფლებამოსილი არიან, საწარმოს მოსთხოვონ ნაკისრ ვალდებულებათა ვადაზე ადრე შესრულება. იმავე მუხლის მე-6 პუნქტი კრედიტორების	ყველა	1. კრედიტორებმა უნდა დაამტკიცონ, რომ რეორგანიზაცია საფრთხეს უქმნის მათ მოთხოვნას. 2. კრედიტორებს უფლება აქვთ, უკან	უცვლელია

	დაამტკიცებენ, რომ რეორგანიზაცია საფრთხეს უქმნის მათ მოთხოვნებს (იმპერატიული).	ამავე უფლებას ზღუდავს, თუ: (1) რეორგანიზაციით არ მცირდება საწარმოს უნარი, დააკმაყოფილოს კრედიტორები; (2) საწარმოს მიუერთდა 100%-იანი შვილობილი კომპანია.		მოითხოვონ კრედიტი რეორგანიზაციის შემთხვევაში (მათ შორის D10 სვეტში მითითებულ შემთხვევაში).	
გაყოფის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელი ორგანოსთვის შეტყობინება (მუხლი 16)	კანონპროექტის 77-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, გაყოფა ძალაში შედის მისი რეგისტრაციის მომენტი. რეგისტრაციის შემდეგ გაყოფის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა დაუშვებელია. იმავე დებულების მე-4 პუნქტის თანახმად, გაყოფის განაცხადი რეესტრს უნდა წარედგინოს გაყოფის შესახებ გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ. ეს პირობა არ ვრცელდება შემთხვევებზე, როცა პირები, რომელთაც ეხება აღნიშნული გადაწყვეტილება, წერილობით უარს აცხადებს აღნიშნული უფლებით სარგებლობაზე.	მოქმედი კანონის მე-14 ⁴ მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, საწარმოების გაყოფა რეგისტრირდება საწარმოს რეგისტრაციისთვის ამ კანონით, საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონითა და ინსტრუქციით განსაზღვრული წესების შესაბამისად შერწყმის შედეგად წარმოშობილი სუბიექტების რაოდენობის შესაბამისი მომსახურების საფასურის გადახდით.	ყველა	საბჭოს გადაწყვეტილებიდან რეგისტრაციამდე 1 თვის პირობით.	გამორიცხულია შპს-ები
გაყოფაზე ინფორმაციის მიწოდება მესამე მხარეებისთვის (მუხლი 16)	კანონპროექტის 77-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი ვალდებულება გულისხმობს გაყოფის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას მესამე მხარეებისთვის, ვინაიდან რეესტრისთვის წარდგენილი ინფორმაცია არის საჯარო.	მოქმედი კანონის მე-14 ⁴ მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი ვალდებულება გულისხმობს შერწყმის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას მესამე მხარეებისთვის, ვინაიდან რეესტრისთვის წარდგენილი ინფორმაცია არის საჯარო.	ყველა	ცვლილებები არ არის.	უცვლელია

რეგისტრაცია (2009/101/EC დირექტივა, თუ სხვაგვარად არ არის დადგენილი)	კანონპროექტი	მოქმედი კანონი	კანონპროექტი გავლენას ახდის (სამართლებრივ ფორმაზე):	კანონპროექტის ნამატი ცილილება მოქმედ კანონთან შედარებით. გათვალისწინებულია ვარიანტი 2-ში	მოდულირება ვარიანტი 3-ში
წევრი სახელმწიფოები მიიღებენ საჭირო ზომებს, რათა უზრუნველყონ საწარმოების მიერ	კანონპროექტი ითვალისწინებს საწარმოების მოთხოვნას, დაარეგისტრირონ ნებისმიერი	მოქმედი კანონის მე-5 მუხლის თანახმად, საწარმოს რეგისტრაციის მოთხოვნის	ყველა	უფრო დეტალური ინფორმაცია საწარმოზე, როგორცაა მენეჯმენტის	უცვლელია

ჩამოთვლილი დოკუმენტების გამოქვეყნება: (ა) სადამფუძნებლო შეთანხმება და წესდება, თუკი ისინი არ მოითხოვება ან შედის სხვა ინსტრუმენტში. ამ პუნქტში ნახსენებ ინსტრუმენტებში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება; მათ შორის საწარმოს ნებისმიერი ვადის გაგრძელება; (ბ) სადამფუძნებლო შეთანხმება ან წესდებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილების შემდეგ, სადამფუძნებლო შეთანხმების ან წესდების განახლებული სრული ტექსტი; (გ) ოფისის აღება ან გაუქმება და იმ პირების შესახებ ინფორმაცია, რომლებიც წარმოადგენდნენ კანონით დადგენილ ორგანოს ან ამ ორგანოს წევრებს, რომლებიც: (i) უფლებამოსილი არიან წარმოადგინონ საწარმო მესამე მხარეებთან ურთიერთობისას ან სამართლებრივ დავებში; ინფორმაციის გამხელიდან ცხადი უნდა იყოს, აღნიშნულ პირებს უფლება აქვთ, საწარმოს სახელით იმოქმედონ ცალ-ცალკე თუ ერთად (ii) მონაწილეობას იღებენ საწარმოს ადმინისტრირებაში, ზედამხედველობასა და კონტროლში; (დ) გამოაქვეყნონ გამოქვეყნებული განთავსებული კაპიტალის წლიური მოცულობა, თუკი სადამფუძნებლო შეთანხმებით ან	ინფორმაცია, რაც ჩამოთვლილია საჯარო რეესტრის პირველი დირექტივის მე-2 მუხლის (ა)-(ი) პუნქტებში, რაც იმას ნიშნავს, რომ ინფორმაცია ხელმისაწვდომია მესამე მხარეებისთვის.	შემთხვევაში, მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა წარედგინოს საწარმოს ყველა პარტნიორის მიერ ხელმოწერილი და სათანადო წესით დამოწმებული სარეგისტრაციო განაცხადი, რომელიც იმავდროულად არის პარტნიორთა შეთანხმების ნაწილი და რომელშიც უნდა მიეთითოს: (ა) საწარმოს სახელწოდება/საფირმო სახელწოდება; (ბ) საწარმოს სამართლებრივი ფორმა; (გ) საწარმოს იურიდიული მისამართი; (დ) საწარმოს პარტნიორ(ებ)ის სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი, თუ პარტნიორი იურიდიული პირია – მისი საფირმო სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი, რეგისტრაციის თარიღი, საიდენტიფიკაციო ნომერი და მონაცემები მისი წარმომადგენლების შესახებ; (ე) საწარმოს მმართველობის ორგანო, გადაწყვეტილების მიღების წესი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან კომანდიტური	დანიშვნა და მოხსნა, წარმომადგენლობა, საწესდებო კაპიტალის შესახებ ინფორმაცია.
---	--	---	---

წესდებით გათვალისწინებულია ნებადართული კაპიტალი, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც განთავსებული კაპიტალის გაზრდა არ საჭიროებს წესდების შეცვლას;

(ე) საწარმოს რეგისტრირებული ოფისის შეცვლა;

(ვ) საწარმოს ლიკვიდაცია;

(ზ) სასამართლოს მიერ საწარმოს ნებისმიერი სახით ანულირება;

(თ) ლიკვიდატორების დანიშვნა, მათ და მათი უფლებამოსილების შესახებ ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული უფლებამოსილება მომდინარეობს პირდაპირ და ექსკლუზიურად კანონიდან ან საწარმოს წესდებიდან;

(ი) ლიკვიდაციის დასრულება და წევრ სახელმწიფოებში, სადაც რეესტრიდან ამოწერა დაკავშირებულია სამართლებრივ შედეგებთან, ამოწერის ნებისმიერი ფაქტი (მუხლი 2).

საზოგადოების შემთხვევაში – მონაცემები პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის შესახებ. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კომანდიტური საზოგადოების პარტნიორთა წილები გამოხატული უნდა იყოს წილადი რიცხვებით/პროცენტებში და მათი ჯამი არ უნდა შეადგენდეს 1 მთელს;

(ეი) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კომანდიტური საზოგადოების პარტნიორთა წილის მმართველის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი;

(ვ) კომანდიტური საზოგადოების შემთხვევაში – რომელი პარტნიორია შეზღუდული და რომელი – სრული;

(ზ) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კომანდიტური საზოგადოების შემთხვევაში – პარტნიორთა წილებზე საკუთრების უფლების შეზღუდვასთან

დაკავშირებული
ვალდებულებები;
(თ) საწარმოს
ხელმძღვანელობასა და
წარმომადგენლობაზე
უფლებამოსილი პირ(ებ)ის
სახელი და გვარი,
საცხოვრებელი ადგილის
მისამართი და პირადი
ნომერი, ასევე
უფლებამოსილების ვადა;
(ი) პროკურისტის (ასეთის
არსებობის შემთხვევაში)
სახელი და გვარი,
საცხოვრებელი ადგილის
მისამართი და პირადი
ნომერი;
(კ) თუ საწარმოს
წარმომადგენლობაზე
უფლებამოსილი რამდენიმე
პირი ჰყავს – ისინი ერთად
წარმომადგენენ საწარმოს თუ
ცალ-ცალკე;
(ლ) სარეგისტრაციო
განაცხადის ცვლილების
რეგისტრაციაზე
უფლებამოსილი ფიზიკური
პირის შემთხვევაში – სახელი
და გვარი, საცხოვრებელი
ადგილის მისამართი და
პირადი ნომერი, თუ
სარეგისტრაციო განაცხადის
ცვლილების რეგისტრაციაზე
უფლებამოსილი პირი
იურიდიული პირია – მისი
საფირმო სახელწოდება,
სამართლებრივი ფორმა,

		იურიდიული მისამართი, რეგისტრაციის თარიღი, საიდენტიფიკაციო ნომერი და მონაცემები მისი წარმომადგენლების შესახებ.			
წვერი სახელმწიფოები განსაზღვრავენ წერილებისა და ბრძანების ფორმებს, წერილობით უნდა გაიცეს თუ სხვა საშუალებით, და უნდა შეიცავდეს შემდეგ დეტალებს: (ა) იმ რეგისტრაციის იდენტიფიცირებისთვის საჭირო ინფორმაცია, რომელშიც იწახება მე-3 მუხლში ნახსენები დოკუმენტები, და ამავე რეესტრში საწარმოს ნომერი; (ბ) საწარმოს სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი და, საჭიროების შემთხვევაში, საწარმოს ლიკვიდაციის შესახებ ინფორმაცია. აღნიშნულ დოკუმენტებში სადაც ნახსენებია საწარმოს კაპიტალი, იგულისხმება განთავსებული კაპიტალი ან შენატანი. წვერი სახელმწიფოები განსაზღვრავენ, რომ საწარმოს ვებ-გვერდზე წარმოდგენილია პირველ პარაგრაფში ნახსენები დეტალები და, თუ შესაძლებელია, განთავსებული კაპიტალი ან შენატანი (მუხლი 5)	კანონპროექტის მე-18 მუხლის მიხედვით, შეზღუდული პასუხისმგებლობისა და სააქციო საზოგადოების თითოეული ბიზნეს წერილი უნდა შეიცავდეს შემდეგს: (ა) მეწარმის სამეწარმეო სახელწოდება; (ბ) იურიდიული მისამართი; (გ) შესაბამისი რეესტრი და რეგისტრაციის ნომერი; (დ) დირექტორების სახელი და გვარი; (ე) სამეთვალყურეო საბჭოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თავმჯდომარის სახელი და გვარი. 1. ბიზნეს წერილში, სადაც ნახსენებია საწარმოს კაპიტალი, იგულისხმება განთავსებული კაპიტალი ან შენატანი. 2. თუ მიმდინარეობს სამეწარმეო საზოგადოების ლიკვიდაცია, ბიზნეს წერილი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ლიკვიდაციის შესახებ და ლიკვიდატორების სახელსა და გვარს. 3. 1-ლი და მე-3 პარაგრაფებით გათვალისწინებული ინფორმაცია არ უნდა გაიცეს არსებული ბიზნეს ურთიერთობების კომუნიკაციისას ადრესატთან და რომლებისთვისაც სტანდარტული ფორმები გამოიყენება ჩვეულებრივად,	მოქმედი კანონი არაფერს ამბობს წერილებისა და ბრძანებების ფორმებზე.	ყველა	ყველა დებულება არის ნამატი ცვლილება	უცვლელია

	რომლებშიც უნდა განთავსდეს მხოლოდ კონკრეტული ტრანზაქციის დეტალები. 4. უცხოური სამეწარმეო საზოგადოების ფილიალის ან ინდივიდუალური მეწარმის თითოეული ბიზნეს წერილში ნახსენები უნდა იყოს ფილიალის მარეგისტრირებული ორგანო და რეგისტრაციის ნომერი, სამეწარმეო ერთეულის მარეგისტრირებული ორგანო და რეგისტრაციის ნომერი. 5. ბიზნეს წერილში ნახსენები ყველა მონაცემი წარმოდგენილი უნდა იყოს ბრძანების ფორმებში და განთავსდეს სამეწარმეო საზოგადოების ვებ-გვერდზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში). 6. აღნიშნული მუხლის მოთხოვნები ეხება როგორც წერილობით, ისე ელექტრონულ ბიზნეს წერილებს.				
ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს, როდესაც საწარმო იქმნება მისი სახელწოდებით, საგნებით, კაპიტალის განთავსებითა და მმართველობის წესებით. ეს გულისხმობს განთავსებული აქციების ნომინალურ ღირებულებას, წელიწადში ერთხელ განსაკუთრებულ პირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რაც ზღუდავს აქციების გადაცემას; კომპანიის დაარსების ან საქმიანობის ნებართვის მიღების მომინეტისთვის განთავსებული კაპიტალის ოდენობას;	კანონპროექტის მე-6 და მე-7 მუხლები ეხება იმ ინფორმაციას, რაც უნდა გამოქვეყნდეს საწარმოს დაფუძნებისას. ეს მუხლები ეხება სამეწარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმებასა და წესდებას. ორივე დოკუმენტი უნდა შეიცავდეს მინიმალურ ინფორმაციას პარტნიორებზე, სს-ებში საწარმოს დაფუძნებით ან საქმიანობის დაწყების ნებართვის/ლიცენზიის მოპოვებასთან დაკავშირებული არსებული ან სავარაუდო ხარჯებს. ყველა სამართლებრივი ფორმის სამეწარმეო საზოგადოების წესდება უნდა შეიცავდეს შემდეგ	მოქმედი კანონი არ ითვალისწინებს დამატებითი ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულებას, გარდა მე-5 მუხლში მითითებულისა, რაც გულისხმობს საფირმო სახელწოდებას, სამართლებრივ ფორმას, იურიდიულ მისამართს, პარტნიორთა საკონტაქტო ინფორმაციას, შეზღუდული პასუხისმგებლობის პარტნიორობის ფორმას და სხვ. მოქმედი კანონი არ ითხოვს საწარმოს კაპიტალის შესახებ ინფორმაციას.	სს	სააქციო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმება უნდა შეიცავდეს სამეწარმეო ერთეულის საქმიანობის აღწერას; საწესდებო კაპიტალის ოდენობას; ნებადართული კაპიტალს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), აქციების ნომინალური ღირებულებას, აგრეთვე დაფუძნების მომენტისთვის განთავსებული კაპიტალის ოდენობას. განთავსებული აქციების რაოდენობას, ასევე მათ ნომინალურ	უცვლელია

არაფულადი სახით გამოშვებული აქციების ოდენობას; საწარმოს მიერ გადასახდელი ხარჯების ან მისი დაფუძნებით გამოწვეული გადასახადების მთლიან ან მოსალოდნელ ოდენობას; დაფუძნებისას ან საქმიანობის ნებართვის მიღებისას საწარმოსთვის მინიჭებულ ნებისმიერ განსაკუთრებულ შეღავათს (2012/30/EC დირექტივა, მუხლი 2-3).	ინფორმაციას: სამართლებრივ ფორმას, საფირმო სახელწოდებას, პარტნიორის წილზე საკუთრების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, სააქციო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: საზოგადოების საქმიანობის საგანს, საწესდებო კაპიტალის ოდენობას, დირექტორთა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რაოდენობას, ნებადართულ კაპიტალსა და აქციების ნომინალური ღირებულებას, აგრეთვე განთავსებულ კაპიტალს სააქციო საზოგადოების დაფუძნების მომენტისათვის. განთავსებული აქციების რაოდენობას, ასევე მათ ნომინალურ ღირებულებას. როდესაც განთავსებულ აქციებს არ აქვს ნომინალური ღირებულება, აქციების რაოდენობა, ნომინალური ღირებულება, გამოშვებული აქციების რაოდენობა, შესატანის სახესა და შესატანზე ვალდებული პირის სახელი.	ღირებულებას. როდესაც განთავსებულ აქციებს არ აქვს ნომინალური ღირებულება, აქციების რაოდენობა, ნომინალური ღირებულება, გამოშვებული აქციების რაოდენობა, შესატანის სახესა და შესატანზე ვალდებული პირის სახელი. საწარმოს მიერ გადასახდელი ან დაფუძნებით დაკისრებული გადასახადების მთლიანი ან მოსალოდნელი ხარჯები; ნებმისმიერი განსაკუთრებული შეღავათი, რაც მიენიჭა საწარმოს დაფუძნების ან საქმიანობის დაწყების ნებართვის მომენტში.
--	--	--

სხვა დებულებები	კანონპროექტი	მოქმედი კანონი	დირექტივა და მუხლი	კანონპროექტი გავლენას ახდეს (სამართლებრივ ფორმაზე):	კანონპროექტის ნამატი ცვლილება მოქმედ კანონთან შედარებით. გათვალისწინებულია ვარიანტი 2-ში	მოდულიკაცია ვარიანტი 3-ში
-----------------	--------------	----------------	--------------------	---	--	---------------------------

კაპიტალის მინიმალური ოდენობა არის 60,000 ლარი	კანონპროექტის 161-ე მუხლი (იმპერატიული) აწესებს სააქციო საზოგადოების დაფუძნებისას განთავსებული კაპიტალის მინიმალურ ოდენობას. კანონპროექტის თანახმად, სს-ის კაპიტალის მინიმალური ოდენობა არის 60,000 ლარი. გარდა ამისა, არაფულადი შენატანის შემთხვევაში, ასეთი შესატანის ღირებულება უნდა შეაფასოს სასამართლოს მიერ დანიშნულმა შესაბამისმა ექსპერტმა. ამავდროულად, სს-ში შესატანის შეტანა ვერ მოხდება მომსახურების გაწევის ან სამუშაოს შესრულების სახით.	არ არის განსაზღვრული კაპიტალის მინიმალური ოდენობა.	2010/30/EC დირექტივა, მუხლი 6	სს-ები	მთელი დებულება არის ნამატი ცვლილება	უცვლელია
კაპიტალის დანაკარგი: კრება მოწვეულ უნდა იქნას განთავსებული კაპიტალის სერიოზული დანაკარგის შემთხვევაში. დანაკარგის ოდენობად განსაზღვრულია განთავსებული კაპიტალის ნახევარზე მეტი.	თუ ბოლო საანგარიშო პერიოდის წლური ფინანსური ანგარიშგების თანახმად, საწარმოს ქონების ღირებულება ნაკლებია სააქციო საზოგადოების განთავსებული კაპიტალის ნახევარზე, მაშინ აქციონერთა კრებამ უნდა მიიღოს შედმეგი გადაწყვეტილებები: (ა) შეამციროს განთავსებული კაპიტალის ოდენობა; (ბ) გაზარდოს წმინდა აქტივების ღირებულება აქციონერთა მხრიდან დამატებითი შესატანების განხორციელების გზით, წესდებით დადგენილი წესით; დაშალოს სააქციო საზოგადოება; (გ) სხვა აუცილებელი ღონისძიებები.	მოქმედ კანონში მსგავსი დებულება არ არის.	2010/30/EC დირექტივა, მუხლი 19	სს-ები	მთელი დებულება არის ნამატი ცვლილება. მოქმედი კანონი არ იცნობს კაპიტალის „სერიოზული დანაკარგის“ ცნებას. მეტიც, მოქმედი კანონი არ ითვალისწინებს ასეთი შეზღუდვის ან დანაკარგის რეგულირების ვალდებულებას.	უცვლელია
განსაკუთრებული დივიდენდები: როდესაც წევრი სახელმწიფოს კანონი იძლევა შუალედური დივიდენდის გაცემის უფლებას, უნდა შესრულდეს შემდეგი პირობები: (ა) შუალედური ანგარიშებიდან უნდა ჩანდეს, რომ გადაცემისთვის განკუთვნილი თანხები საკმარისია; (ბ) გადაცემული თანხები არ უნდა აღემატებოდეს ბოლო ფინანსური ანგარიშგების შემდგომ მიღებულ სააქციო საზოგადოების წმინდა მოგებას, აგრეთვე,	კანონპროექტი არ ითვალისწინებს განსხვავებულ წესებს შუალედური და წლიური დივიდენდების განაწილებისთვის.	მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს განსხვავებულ წესებს შუალედური და წლიური დივიდენდების განაწილებისთვის.	2010/30/EC დირექტივა, მუხლი 17.5	სს-ები	N/A	უცვლელია

წინა წლების მოგებასა და თავისუფალი რეზერვებიდან გამოთავისუფლებულ სახსრებს, ნაკლებ დანაკარგსა და კანონით ან წესდებით დადგენილ რეზერვებში გადასარიცხი თანხების გამოკლებით მიღებული ოდენობას.						
ინტერესთა კონფლიქტი: სამეთვალყურეო საბჭოს ან პარტნიორთა კრების დასტური საჭიროა ტრანზაქციისთვის, რომელშიც	53-ე მუხლი (იმპერატიული) ადგენს პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის წესებს და ითხოვს სამეთვალყურეო საბჭოს ან	მოქმედ კანონში მსგავსი დებულება არ არის. უნდა	სავარაუდოდ, აღნიშნული	სს-ები	მთელი დებულება არის ნამატი ცვლილება. არ არის რაოდენობრივი გაანგარიშება, განხილულია	
მონაწილეობს დაინტერესებული მხარე.	პარტნიორთა კრების დასტურს ტრანზაქციისთვის, რომელშიც მონაწილეობს დაინტერესებული მხარე.	აღინიშნოს რომ ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონში არის დებულება (მუხლი 16-1), რომელიც იძლევა იმავე განმარტებას და მხოლოდ ანგარიშვალდებულ ი საწარმოების	რეგულაცია არ მომდინარეობს დირექტივე ბიდან.		პრეცედენტული სამართლის ანალიზში.	
შეზღუდვებს.						
შპს-დან პარტნიორის გარიცხვა	აქციონერთა გადაწყვეტილების საფუძველზე, თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ითხოვს, სასამართლომ შეიძლება გააუქმოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილება, თუ არსებობს სერიოზული საფუძველი.	მოქმედი კანონი არაფერს ამბობს ამ საკითხზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აქციონერი ვერ ახერხებს შესატანის შეტანას..	სავარაუდოდ, აღნიშნული რეგულაცია არ მომდინარეობს დირექტივე ბიდან.	სს-ები	მთელი დებულება არის ნამატი ცვლილება. არ არის რაოდენობრივი გაანგარიშება, განხილულია პრეცედენტული სამართლის ანალიზში.	
შპს-დან პარტნიორის გასვლა	კანონპროექტის 141-ე მუხლის შესაბამისად, შეზღუდული პასუხისმგებლობის პარტნიორს შეუძლია გავიდეს საწარმოდან შემდეგ შემთხვევებში: (ა) საწარმომ დაკარგა ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი; (ბ) შპს-მ შეცვალა	მოქმედი კანონის 31-ე მუხლი	ეს რეგულაცია	სს-ები ს ა ქ	მთელი დებულება არის ნამატი ცვლილება. არ არის რაოდენობრივი ნობა; (გ) სამი წლის განმავლობაში არ	

118

მოდის ევროპული
მოდელის
კორპორატი

ს ანალოზში.

[illegible]

მოხდა დივიდენდების განაწილება; (დ)
დამატებითი შესატანის შესახებ
გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში,
პარტნიორს შეუძლია გავიდეს შპს-დან
ჩამოთვლილი შემთხვევის დადგომისას.

შესაძლებლობას,
თუმცა შეზღუდულ
შემთხვევებში.

ული
აქტიდან და
ამერიკული
მოდელიდან
. მსგავსი
დებულება
არ არის
გათვალისწი
ნებული
ევროკავშირ
ის
დირექტივე
ბში.

დანართი V - ევროკავშირის დირექტივებთან შესაბამისობის ანალიზი
(დაინტერესების შემთხვევაში მოგვწერეთ)

დანართი VI - სასამართლო პრაქტიკის ანალიზი შერჩეულ დებულებებზე
(დაინტერესების შემთხვევაში მოგვწერეთ)

დანართი VI - სასამართლო პრაქტიკის ანალიზი შერჩეულ დებულებებზე

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის პროექტის რეგულირების ეფექტის შეფასების პროექტის ("RIA") ერთ-ერთი მიზანია, დაადგინოს ხარვეზები არსებულ კანონმდებლობაში („მეწარმეთა შესახებ კანონი“). ზოგადად, ასეთი ხარვეზები თვალსაჩინო ხდება მაშინ, როდესაც დავები გადაეცემა სასამართლოს განსახილველად. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ შესწავლილ იქნას სასამართლო პრაქტიკა და გაანალიზდეს მეწარმეთა შესახებ კანონი სასამართლოს გადმოსახედიდან.

ქვემოთ მოცემულია მეწარმეთა შესახებ კანონით მოწერილებულ საკითხთა სამართლებრივი ჩარჩოები. საკითხები შეეხება იმ მოწესრიგებებს, რომლებიც რთულია თეორიულად შეფასდეს, თუმცა, სასამართლო პრაქტიკა აჩვენებს, რომ ზემოხსენებული ხარვეზები შესაძლებელია გამოსწორდეს, თუკი გამოყენებულ იქნება კანონპროექტი. აღნიშნული საკითხები მოიცავს: ინტერესთა კონფლიქტს, საზოგადოებიდან პარტნიორთა გასვლის და ასევე, გარიცხვის უფლებებს.

წინამდებარე ანგარიშის მიზანია:

- ზემოხსენებულ საკითხებზე ქართული სასამართლო პრაქტიკის ილუსტრირება;
- სასამართლოს ლოგიკადაწყვეტილებების ლოგიკის ასახვა;
- გამოკვეთოს ის პრობლემური საკითხები, რომლებიც რთული იყო სასამართლოსთვის განსახილველად სამართლებრივი საფუძვლების არარსებობის გამო; და
- გამოკვეთოთ ჩვენი წარმოდგენა და მოსაზრება იმაზე, თუ როგორ შეიძლება კანონპროექტი დაეხმაროს სასამართლოებს ხსენებული პრობლემური საკითხების გადაწყვეტაში, რომლებსაც სასამართლოები განმარტავენ ან ვიწროდ ან სრულიად თავს არიდებენ მათზე მსჯელობას.

ანგარიშის სტრუქტურა მოიცავს საკითხთა სამართლებრივ ჩარჩოს, როგორც მეწარმეთა შესახებ კანონით, ასევე კანონპროექტის ფარგლებში, რელევანტური საქმეების აღწერასა და იმ შესაძლო ეფექტის ანალიზს, რომელიც კანონპროექტს შეიძლება ჰქონდეს ზემოაღნიშნულ პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით.

ინტერესთა კონფლიქტი

სამართლებრივი ჩარჩო

მეწარმეთა შესახებ კანონის მე-9(5) მუხლის თანახმად, სააქციო საზოგადოებებსა ("სს") და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში ("შპს") დირექტორებს არა აქვთ უფლება, პარტნიორების თანხმობის გარეშე განახორციელონ იგივე საქმიანობა, რომელსაც ეწევა საზოგადოება. კერძოდ, მათ არ აქვთ უფლება, მონაწილეობა მიიღონ, როგორც მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელმა პარტნიორებმა ან დირექტორებმა. აღნიშნული მუხლის მიხედვით, შესაძლებელია, საზოგადოების წესდებასი განისაზღვროს ამ საკითხის სხვაგვარი მოწესრიგება. თანხმობა ითვლება გაცემულად იმ შემთხვევაში, თუკი დირექტორის დანიშვნის მომენტში, პარტნიორებმა იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ, რომ დირექტორი მონაწილეობდა ასეთ საქმიანობაში და მათ გამოხატულაფდ არ მოსთხოვეს დირექტორს, რომ შეეწყვიცა საკუთარი საქმიანობა სხვა საზოგადოებაში. თუ დირექტორის მიერ ამ წესის დარღვევა გამოიწვევს საზოგადოებისთვის ზიანის მოტანას, დირექტორი კარგავს უფლებას მიიღოს ანაზღაურება საზოგადოებისგან და ვალდებულია, აანაზღაუროს დამდგარი ზიანი.

კანონპროექტი ითვალისწინებს დამატებით რეგულირებას ინტერესთა კონფლიქტის კუთხით და განსაზღვრავს უფრო დეტალურ სახელმწიფოებრივ მოდელს, რომელიც ადგენს, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს ინტერესთა კონფლიქტის მაგალითად.

კანონპროექტის 53-ე მუხლის თანახმად, ხელმძღვანელი ორგანოს წევრი ან ხმათა 20%-ის ან მეტის პირდაპირი ან არაპირდაპირი მფლობელი პარტნიორი ვალდებულია პარტნიორთა კრებას ან სამეთვალყურეო საბჭოს ფაქტის შეტყობისთანავე აცნობოს დადებული, ან დასადები ისეთი გარიგების თაობაზე, რომელშიც ის დაინტერესებული პირია, და მისი დაინტერესების ხასიათზე. ამ მუხლის პირველ პუნქტში დასახელებული პირები დაინტერესებულ პირად ითვლება, თუ ის, ან მასთან დაკავშირებული პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ:

ა. წარმოადგენს გარიგების მეორე მხარეს, ან რაიმე სარგებელს მიიღებს გარიგებისგან;

ბ. ფლობს იმ სამეწარმეო საზოგადოების წილთა 20% ან მეტს, რომელიც წარმოადგენს გარიგების მეორე მხარეს, ან რაიმე სარგებელს მიიღებს გარიგებისგან;

გ. არის იმ სამეწარმეო საზოგადოების დირექტორი ან სამეთვალყურეო საბჭოს

წევრი, რომელიც წარმოადგენს გარიგების მეორე მხარეს, ან რაიმე სარგებელს მიიღებს გარიგებისგან;

დ. ასეთად ითვლება სამეწარმეო საზოგადოების წესდების თანახმად.

პირი, არ ჩაითვლება დაინტერესებულად, თუკი:

ა. ის წარმოადგენს გარიგების მეორე მხარეს და სარგებელს იღებს გარიგებისგან მხოლოდ მისი პარტნიორის სტატუსის გამო;

ბ. გარიგების შედეგად ყველა პარტნიორი თანაბარ უფლება-მოვალეობებს იძენს.

აღსანიშნავია, რომ გარიგება დაინტერესებული პირის მონაწილეობით წინასწარ უნდა დამტკიცდეს სამეთვალყურეო საბჭოს, ხოლო ამ უკანასკნელის არარსებობისას, პარტნიორთა კრების მიერ. დაინტერესებულ პირებს ეკრძალებათ ამ საკითხზე ხმის მიცემა სამეწარმეო საზოგადოების ყველა ორგანოში.

კანონპროექტის მიხედვით, დაინტერესებულ პირთან სამეწარმეო საზოგადოების ნებართვის გარეშე დადებული გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია სამეწარმეო საზოგადოების მიერ მის მოწონებაზე, თუ ხელშეკრულების დადებისას კონტრაქტისათვის ცნობილი იყო, ან უნდა სცოდნოდა ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შესახებ.

დაინტერესებული პირი, რომელმაც არ განაცხადა გარიგებაში დაინტერესების შესახებ, ვალდებულია, აანაზღაუროს სამეწარმეო საზოგადოებისთვის ამ გარიგების დადებით მიყენებული ზიანი, თუკი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შემთხვევაში გარიგება არ დაიდებოდა, ან დაიდებოდა სხვა პირობებით.

ინტერესთა კონფლიქტის შესახებ საქმეთა ანალიზი

საქმე 1: საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმე No. ას-848-806-2013, 24 ივნისი, 2014

მოსარჩელემ სარჩელი აღძრა კომპანიის დირექტორის ("მოპასუხე") მიმართ, კომპანიისთვის 229,413,70 ლარის ოდენობის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

2011 წლის 18 ოქტომბერს, მოსარჩელემ გააფორმა იჯარის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მიენიჭება უფლება, გამოეყენებინა საიჯარო ფართი საკუთარი სამეწარმეო საქმიანობისთვის. მოსარჩელე და მოპასუხე კომპანიაში ფლობდნენ თანაბარ 50%-იან წილს. 2011 წლის 26 სექტემბრიდან, მოპასუხე იყო კომპანიის ერთადერთი დირექტორი.

2012 წლის 24 იანვარს, მოპასუხემ დააფუძნა მსგავსი კომპანია სახელწოდებით "სი-ჯი-ფი" ("ახალი კომპანია") და ყველა საკუთარი აქტივი გადაიტანა ახალ კომპანიაში. ამასთან, მოპასუხემ შეწყვიტა ზემოხსენებული იჯარის ხელშეკრულება 5 თვითა და 18 დღით ადრე ხელშეკრულების ვადამდე და გააფორმა მსგავსი სახის ხელშეკრულებ ახალი კომპანიის

სახელით. ხელშეკრულების შეწყვეტითა, კომერციული ინფორმაციის გამოყენებითა და თანამშრომელთა ინტერესების ბოროტი გამოყენებით, ასევე სხვა კომპანიისთვის ხელსაყრელი ხელშეკრულების გაფორმებით, დირექტორმა გამოიწვია კომპანიისთვის ზიანის მიყენება, რომელიც პირდაპირ და უშუალოდ ახდენდა გავლენას მოსარჩელის, როგორც 50%-იანი წილის მქონე პარტნიორის ინტერესებზე. აღნიშნული ზიანი უდრიდა იმ მოგებას, რომელსაც ის მიიღებდა, იჯარის ხელშეკრულება რომ არ შეწყვეტილიყო.

თბილისის საქალაქო სასამართლომ და თბილისის სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილეს სარჩელი.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხემ დაარღვია ინტერესთა კონფლიქტის წესები. სააპელაციო სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ მოპასუხე მოქმედებდა კომპანიის საერთო კრების ნთანხმობის გარეშე, რათა მიეღო პირადი სარგებელი იმ ინფორმაციის გამოყენების საშუალებით, რომელიც მისთვის ცნობილი იყო, როგორც კომპანიის დირექტორისთვის.

უზენაესი სასამართლოს მსჯელობა იყო შემდეგნაირი:

უზენაესმა სასამართლომ განიხილა ორი ძირითადი სამართლებრივი საფუძველი, რომელსაც ეყრდნობოდა სარჩელი: პირველი იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ("სამოქალაქო საპროცესო კოდექსი") 411-ე მუხლი, ხოლო მეორე - მეწარმეთა შესახებ კანონის მე-9 მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილები. თუმცა, უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს უკანასკნელნი იყო ზოგადი ხასიათის წესი და შესაბამისად, არ შეიძლება გამოყენებულ ყოფილიყო სარჩელის მიზნებისთვის, რადგან მოსარჩელეს სურდა ზიანის ანაზღაურება, სხვა სიტყვებით, მიუღებელი შემოსავლის მიღება. ამდენად, უზენაესმა სასამართლომ სარჩელი დაუკავშირა სამოქალაქო საპროცესო კოდექსს და არა მეწარმეთა შესახებ კანონს. ამასთან, უზენაესმა სასამართლომ დაადგინა მტკიცების სტანდარტი ინტერესთა კონფლიქტის წესების დარღვევის მიმართ: მოსარჩელეა ვალდებული ამტკიცოს, რომ მოპასუხის მიერ ჩადენილი ქმედება იყო უკანონო და არღვევდა ინტერესთა კონფლიქტის წესებს.

ანალიზი

ნათელია, რომ სასამართლოები ცდილობენ თავი აარიდონ გადაწყვეტილებათა მეწარმეთა შეესახებკანონზე დაფუძნებას. მოცემულ საქმეში, აშკარაა, რომ კანონპროექტის მძიერ შემოთავაზებული მოწესრიგება ხელს შეუწყობდა მოპასუხე მხარის პასუხისმგებლობის დადგენას ორი მთავარი არგუმენტიდან გამომდინარე:

1. კანონპროექტის შესაბამისი მოწესრიგების მიხედვით (როგორც ეს ზემოთაა მოცემული), მოპასუხეს არ ექნებოდა ხმის უფლება იმ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელიც ეხებოდა იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტას. ეს ნიშნავს, რომ აუცილებელი იქნებოდა

მოსარჩელე მხარის, როგორც პარტნიორის, თანხმობა. შედარებისთვის, მეწარმეთა შესახებ კანონი არ ადგენს ამ კონტექსტში შეზღუდვებს ხმის უფლებაზე; და

2. კანონპროექტი ადგენს სტანდარტს, რომლის მიხედვითაც, დამრღვევმა პირმა უნდა აანაზღაუროს კომპანიისთვის მიყენებული ზიანი ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში: კერძოდ, ის ადგენს, რომ თუკი გარიგება არ შედგებოდა ან შედგებოდა სხვა პირობებით, ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შემთხვევაში, დამრღვევი პირი ვალდებულია, აანაზღაუროს ამგვარი ზიანი. ასეთი ჩანაწერის არსებობის პირობებში, სასამართლოს აქვს შესაძლებლობა, რომ განმარტოს "ზიანის" არსი, როგორც ნებისმიერი ზიანი, რომელიც შესაძლებელია კომპანიას მიაღდეს, მათ შორის დაკარგული მოგება, რომელიც, თავისი შინაარსით, არის ანაზღაურებადი ზიანი და მიუღებელი შემოსავალი.

დასკვნა

დაინტერესებული პირის განმარტება, ისევე როგორც სტანდარტი, რომელსაც გვთავაზობს კანონპროექტი, შესაძლებელია, გამოყენებულ იქნას როგორც ერთგვარი სახელმძღვანელო კომპანიებისთვის და მათი დირექტორებისთვის, რათა მათ ჰქონდეთ უფრო ზუსტი წარმოდგენა იმ სამართლებრივ შედეგებზე, რომლებიც მათ ქმედებას შეიძლება მოჰყვეს. ამასთან, ამ საკითხის უფრო დეტალურმა მოწესრიგებამ, დადებითად შეიძლება იმოქმედოს სასამართლო პროცესის ეფექტურობაზე და ასევე, შემაციროს არსებული დავების განხილვის ხანგრძლივობა.

კომპანიიდან გასვლის უფლება

სამართლებრივი ჩარჩო

მეწარმეთა შესახებ კანონის 31(1)-ე მუხლი შეიცავს პარტნიორის მიერ შპს-დან გასვლის შესაძლებლობას. თუმცა, ეს უკანასკნელი ადგენს, რომ კომპანიიდან გასვლის საკითხი მოწესრიგებული უნდა იყოს წესდებით და გათვალისწინებულ უნდა იქნას მეწარმეთა შესახებ კანონის ის მუხლები, რომლებიც ეხება რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციას. აღნიშნული პროცედურა, რომელიც მოცემულია მეწარმეთა შესახებ კანონის მე-14⁴(6) და მე-14⁴(8) მუხლებში, მოითხოვს, რომ კომპანიამ დაარესგიტრიროს პარტნიორის განზრახვა შპს-დან გასვლის შესახებ. ლიკვიდაციის დროს გამოყენებული მუხლები გამოიყენება პირდაპირ. 14⁴(8) მუხლის მიხედვით, პარტნიორებს აქვთ უფლება, მოსთხოვონ კომპანიას შეასრულოს მისი ვალდებულებები პარტნიორის წინაშე ვადამდე, სანამ დასრულდება რეორგანიზაციის პროცესი. ამდენად, პარტნიორის გასვლა კომპანიიდან შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ძალიან ბევრ წინაღობასთან და ხარჯებთან, რამდენადაც ეს პროცესი უტოლდება კომპანიის რეორგანიზაციის პროცედურას. აღსანიშნავია, რომ მეწარმეთა შესახებ კანონი არ მოიცავს მსგავს მოწესრიგებას სს-ებისთვის. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ პარტნიორები მოკლებულნი არიან კომპანიიდან გასვლის შესაძლებლობას, თუკი ეს არ არის წესდებით განსაზღვრული.

კანონპროექტი ითვალისწინებს კომპანიიდან გასვლის უფრო დეტალურ რეგულირებას. ეს რეგულირება არ არის სავალდებულო ხასიათის. მათი შეეცვლა შესაძლებელია პარტნიორთა გადაწყვეტილებით და გამოხატულ უნდა იქნას კომპანიის წესდებაში. თუმცა, განსხვავებით მეწარმეთა შესახებ კანონისა, კანონპროექტი ითვალისწინებს საფუძვლებს, რომელიც შესაძლებელია, საფუძვლად დაედოს პარტნიორის გასვლას კომპანიიდან. პარტნიორს, რომელსაც სრულად აქვს შეტანილი შესატანი, უფლება აქვს გავიდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან, თუკი არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი, განსაკუთრებით, თუკი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების საქმიანობა მნიშვნელოვნად აზიანებს მის ინტერესებს, კერძოდ:

- ა. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ დაკარგა ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი;
- ბ. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების საქმიანობის საგანი მნიშვნელოვნად შეიცვალა;
- გ. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას უწყვეტი სამი წლის განმავლობაში არ

გაუნაწილებია დივიდენდი, მიუხედავად იმისა რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფინანსური მდგომარეობა ამის საშუალებას იძლეოდა;

დ. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ მიიღო გადაწყვეტილება ახალი კლასის წილების გამოცემასთან დაკავშირებით.

პარტნიორმა წერილობით უნდა აცნობოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას გასვლის და გასვლის მიზეზების თაობაზე. შეტყობინების მიღებისთანავე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო მიმართავს პარტნიორებს პარტნიორის გასვლის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების და პარტნიორის გასვლის შემდეგ მისი წილის საზოგადოებისთვის გადაცემის, დანარჩენ პარტნიორებზე მათი წილი პროპორციულად გადანაწილების ან წილის გაუქმების თაობაზე, წესდების შესაბამისად. საბოლოო გადაწყვეტილებას გასული პარტნიორის წილების შესახებ იღებენ პარტნიორები.

პარტნიორის განცხადების საფუძველზე პარტნიორის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან გასვლის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო. განცხადების წარდგენა დასაშვებია პარტნიორთა გადაწყვეტილების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში, ან, თუ გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული, 30 დღიანი ვადის უშედეგოდ გასვლიდან 30 დღის განმავლობაში. სასამართლო ასევე განსაზღვრავს წილის ღირებულებას და გამსვლელი პარტნიორისთვის წილის ღირებულების გადახდის ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს, გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან.

ამდენად, ნათელია, რომ კანონპროექტი არ მოიცავს ვალდებულებას, რომ კომპანიამ გაიაროს რეორგანიზაციის მსგავსი პროცესი, რათა პარტნიორი გავიდეს კომპანიიდან. აქედან გამომდინარე, სასამართლოს ექნება უფრო ნათელი წარმოდგენა იმაზე, თუ როგორ დაადასტუროს პარტნიორის გასვლა. ამასთან, კომპანიებისთვისაც უფრო ნათელი იქნება, რა შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს კომპანიის წესდებაში, როგორც პარტნიორის გასვლის წინაპირობა. მომავლის პერსპექტივაში, ამგვარმა რეგულაციამ შესაძლებელია, შეამციროს დავები, რომლებიც აღწევს სასამართლომდე.

საქმეთა ანალიზი გასვლის უფლებასთან დაკავშირებით

საქმე N1: საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის N. ას-565-533-2011; 2011 წლის 9 ივნისი

კომპანიის ერთ-ერთმა პარტნიორმა სარჩელი აღძრა კომპანიისა და მისი პარტნიორების წინააღმდეგ და მოითხოვა სარეგისტრაციო ორგანოში ცვლილებების შეტანა. კერძოდ, პარტნიორს სურდა, რომ აღედგინათ მისი, როგორც პარტნიორის სტატუსი კომპანიაში. იგი დავობდა, რომ მან ნათლად გამოხატა საკუთარი სურვილი, რომ გასულიყო კომპანიიდან, რასაც უნდა მოჰყოლოდა ადეკვატური პასუხი დანარჩენი პარტნიორებისგან და

შესაბამისად, მას უნდა მიეღო კომპენსაცია.

საკითხი, რომელიც ამ საქმეში დგას, არის ის, არის თუ არა საკმარისი პარტნიორის მიერ გაკეთებული განცხადება (შეტყობინება) საკმარისი იმისთვის, რომ დაიწყოს პარტნიორის გასვლის პროცესი, ასევე მნიშვნელოვანია გამოიყენება თუ არა კანონისმიერი ხანდაზმულობა ამ შემთხვევაზე და როგორ უნდა დადგინდეს პარტნიორის რეალური ნება.

აღსანიშნავია, რომ სასამართლოებმა ბუნდოვანი განმარტება გააკეთეს ყოველივე ზემოთხსენებულ საკითხზე. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ გაკომპანიიდან პარტნიორის გასვლის პროცესი არის ძალიან კომპლექსური და რთული საკითხი და რომ მხოლოდ შეტყობინება შესაძლებელია არ იყოს საკმარისი ნების ნამდვილი გამოვლენისთვის. სააპელაციო სასამართლოს მიხედვით, კომპანიამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება პარტნიორის გასვლასთან, კომპენსაციასა და წილების გადაცემასთან დაკავშირებით და შესაბამისად, წესდებაში შესატანი ცვლილებების შესახებ.

ანალიზი

ვფიქრობთ, რომ კანონპროექტი შესაძლებელია პოზიტიურად აისახოს მოცემული პრობლემების გადაჭრაზე, რამდენადაც ის შეიცავს დეტალურ პროცედურას პარტნიორის გასვლასთან დაკავშირებით. კერძოდ:

- კანონპროექტი ადგენს, რომ გამსვლელმა პარტნიორმა წერილობით უნდა აცნობოს კომპანიას საკუთარი განზრახვის შესახებ (ამგვარი დოკუმენტი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას დავის პროცესში, როგორც ნების გამოხატვის მტკიცებულება);
- კანონპროექტი ითვალისწინებს პარტნიორთა ვალდებულებას, რომ: (ა) მიიღონ გადაწყვეტილება პარტნიორის გასვლასთან დაკავშირებით; და (ბ) მიიღონ გადაწყვეტილება დარჩენილი წილების გადაცემასთან დაკავშირებით, პროპორციულობის პრინციპზე დაყრდნობით;
- კანონპროექტი შეიცავს იმ საფუძვლების სიას, რომელიც შესაძლებელია საფუძვლად დაედოს პარტნიორის უფლებას, მოითხოვოს კომპანიიდან გასვლა. განსხვავებული საფუძვლები შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს წესდებით. ასეთი ჩანაწერი საშუალებას აძლევს სასამართლოს, რომ მარტივად შეაფასოს მხარეთა ქმედებები პროცესში. იგი ასევე აიოლებს პარტნიორის ნამდვილი ნების გამორკვევას, რამდენადაც სასამართლოს აქვს (ა) წერილობითი დოკუმენტი, რომელიც აჩვენებს პარტნიორის ნებას და შეიცავს გასვლის დასაბუთებულ მიზეზებს და (ბ) დარჩენილი პარტნიორების გადაწყვეტილებას.
- მნიშვნელოვანია ისიც, რომ კანონპროექტი ადგენს 30-დღიან ვადას, რომლის განმავლობაშიც უნდა მოხდეს საქმის აღძვრა სასამართლოში. ამ გზით, კანონპროექტი უზრუნველყოფს დროის ათვლის წერტილის არსებობას, რაც ხანდაზმულობის კონტექსტში, ამარტივებს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას.

- კანონპროექტი ათავისუფლებს კომპანიებს ვალდებულებისგან, რომ გაიარონ რეორგანიზაციის პროცესი, როდესაც საქმე ეხება ცალკეული პარტნიორის გასვლას

კომპანიიდან. ჩვენი აზრით, სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, კომპანია ვალდებული იქნება, რომ დაარეგისტრიროს ცვლილება წესდებაში და შესაბამისად, შეიტანოს ცვლილება საჯარო ინფორმაციაში ჩვეულებრივი პროცედურის გავლით, რომელიც არ მოითხოვს დამატებით დოკუმენტებსა და ვრცელ რეორგანიზაციულ/ლიკვიდაციურ პროცედურებს.

დასკვნა

ნათელია, რომ კანონპროექტი დადებითად აისახება იმ საფუძვლების გააზრებაზე, რომლებიც შესაძლებელია იყოს მიზეზი პარტნიორის მიერ კომპანიიდან გასვლისა. ასევე, ამგვარი წინაპირობების არსებობა მეტ ლეგიტიმაციას სძენს სასამართლოს გადაწყვეტილებებს. ამასთან, იგი დაეხმარება სასამართლოს, რომ დავის განხილვის პროცესი გახდეს უფრო ეფექტური და დროში შემოკლებული, რამდენადაც მოსამართლეებს ექნებათ უფრო ვრცელი და ამავედროულად ზუსტი წარმოდგენა შეფასების კრიტერიუმზე.

პარტნიორის კომპანიიდან გარიცხვა

სამართლებრივი ჩარჩო

მეწარმეთა შესახებ კანონი არ შეიცავს ჩანაწერს კომპანიის შესაძლებლობაზე, გარიცხოს პარტნიორი. თუმცა, სასამართლო პრაქტიკა, რომელიც ქვემოთაა მოცემული, აჩვენებს, რომ მეწარმეთა შესახებ კანონის მე-3(7) მუხლი ქმნის შესაძლებლობას ამგვარი ინტერპრეტაციისა. მე-3(7) მუხლის თანახმად, პარტნიორებს შეუძლიათ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში განსაზღვრონ თითოეული პარტნიორის შენატანის შეტანის წესი და ვადა. ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში პარტნიორი, რომელმაც არ განახორციელა გადახდა, კარგავს წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მეორე მხრივ, კანონპროექტი ადგენს ვრცელ წესს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს კომპანიიდან პარტნიორის გარიცხვა. კერძოდ:

- მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, პარტნიორთა გადაწყვეტილებით, სასამართლოს, შეზღუდული პასუხისმგებლობის

საზოგადოების მიმართვის შემთხვევაში, შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება პარტნიორის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან გარიცხვის თაობაზე.

- მნიშვნელოვან საფუძვლად ითვლება განსაკუთრებით ისეთი გარემოებები, როდესაც პარტნიორი მნიშვნელოვან ზიანს აყენებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ინტერესებს ან მისი პარტნიორად დარჩენა საზიანოა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემდგომი საქმიანობისთვის და იგი უშედეგოდ იქნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიერ წერილობით გაფრთხილებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ინტერესების დამაზიანებელი ქმედების შეწყვეტის და შესაძლო გარიცხვის შესახებ.
- პარტნიორთა გადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უბრალო უმრავლესობით, თუკი წესდება უფრო დიდ უმრავლესობას არ ითვალისწინებს. პარტნიორის წილი, რომლის გარიცხვის საკითხიც იხილება, კენჭისყრაში არ მონაწილეობს. აზოგადობაში, რომელსაც ჰყავს ორი პარტნიორი, პარტნიორთა გადაწყვეტილების მიღება საჭირო არ არის.
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას შეუძლია მიმართოს სასამართლოს პარტნიორთა შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში.
- სასამართლოს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მოთხოვნით, ასევე შეუძლია საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეუჩეროს პარტნიორს ხმის ან სხვა არაქონებრივი უფლებები.
- სასამართლოს მიერ პარტნიორის გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პარტნიორი გარიცხულად ითვლება გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტიდან.
- გარიცხული პარტნიორის წილები შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას გადაეცემა. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს გარიცხული პარტნიორის წილების პროპორციულად გადაცემას დარჩენილი პარტნიორებისთვის ან წილის/წილების გაუქმებას.
- გარიცხულ პარტნიორს უნდა აუნაზღაურდეს წილის ღირებულება.

კომპანიიდან პარტნიორთა გარიცხვის შესახებ საქმეთა ანალიზი

საქმე N1: საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმე Nას-771-732-2013

2009 წლის 5 ოქტომბრის საერთო კრების გადაწყვეტილებით, ერთ-ერთი პარტნიორი

("პარტნიორი") გარიცხულ იქნა კომპანიიდან. პარტნიორმა ამის შესახებ შეიტყო მხოლოდ 2011 წელს. ამის შემდეგ, კიდევ ერთმა პარტნიორმა ("მეორე პარტნიორი") პარტნიორის 30%-იანი წილი გაასხვისა სხვა პარტნიორზე ("მესამე პარტნიორი") და წესდებაში შეიტანა

შესაბამისი ცვლილებები. მეორე პარტნიორს სურდა, რომ დაერეგისტრირებინა ცვლილებები სარეგისტრაციო ორგანოში, თუმცა წარუმატებლად. კომპანია დავობდა, რომ პარტნიორის გარიცხვის მიზეზი იყო მისი ბიზნეს მოქმედებები. კერძოდ, ის, რომ იგი მუდმივად მოქმედებდა კომპანიის ინტერესების საწინააღმდეგოდ და ფინანსურად აზიანებდა კომპანიას; ჩართული იყო სხვადასხვა უკანონო აქტივობაში; და არ შეჰქონდა შესატანი კომპანიის კაპიტალში. კომპანიამ გადაუხადა პარტნიორს კომპენსაცია 13,811 ლარის ოდენობით. პარტნიორის, როგორც მოსარჩელეს, სურდა, რომ მომხდარიყო მისი გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების ბათილობა და ასევე ბათილად ეცნო ყველა შემდგომი მოქმედება და ასევე, მიეღო ის დივიდენდი, რომელსაც ის მიიღებდა რომ ყოფილიყო კომპანიის პარტნიორი 2009 წლიდან.

მოცემულ საქმეში რელევანტურია ის საკითხი, თუ რა არის მიზეზი პარტნიორის კომპანიიდან გარიცხვისა და როგორ უნდა მოქცეულიყო კომპანია, რომ არ დაერღვია გარიცხული პარტნიორის უფლებები.

სააპელაციო სასამართლოს ჰქონდა რამდენიმე რელევანტური მოსაზრება:

- პარტნიორი, როგორც წესი, ამხელდა კომპანიის ბიზნეს საიდუმლოებებს, ჰქონდა ურთიერთობა კომპანიის კონკურენტებთან (ეს იწვევდა იმას, რომ პარტნიორები ვერ თანხმდებოდნენ საკვანძო საკითხებზე);
- პარტნიორს არ ჰქონდა განხორციელებული შესატანი კაპიტალში და ის გაფრთხილებული იყო შესაძლო გარიცხვასთან დაკავშირებით;
- სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ პარტნიორის გარიცხვის საკითხი ექცევა კომპანიის წესდების ფარგლებში;
- სააპელაციო სასამართლომ დაინახა კავშირი მეწარმეთა შესახებ კანონის მე-3(7) მუხლსა და პარტნიორის გარიცხვას შორის და დაადგინა, რომ მე-3(7) მუხლით განსაზღვრული შემთხვევა უტოლდება პარტნიორის გარიცხვას, რამდენადაც ის ადგენს გამოსაყენებელ წესს იმ შემთხვევისთვის, როდესაც პარტნიორი არ ახორციელებს შესატანს კაპიტალში. ამდენად, სასამართლომ დაასკვნა, რომ მეწარმეთა შესახებ კანონი უშვებს პარტნიორის გარიცხვას კომპანიიდან;
- სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ კომპანიის შესახებ ცვლილებების დარეგისტრირებამდე, უნდა არსებობდეს პარტნიორთა გადაწყვეტილება პარტნიორის კომპანიიდან გარიცხვის შესახებ და სასამართლო გადაწყვეტილება, რომლითაც დადგენილია პარტნიორთა გამოვლენილი ნების ნამდვილობა. ამდენად, მხოლოდ პარტნიორთა გადაწყვეტილება, სასამართლოს აზრით, არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარის წინაპირობად პარტნიორის გარიცხვისთვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას და დაამატა რამდენიმე მოსაზრება კომპენსაციის კუთხით:

- მეწარმეთა შესახებ კანონი არ ითვალისწინებს გარიცხული პარტნიორისთვის კომპენსაციის გადახდის ვალდებულებას; და

- კომპენსაციის გადახდა ვერ გამოასწორებს პარტნიორის უკანონო გარიცხვის ფაქტს.

რამდენიმე მოსაზრება შეიძლება გამოითქვას არსებული საკითხებისა და კანონპროექტის კორელაციასთან დაკავშირებით:

- კანონპროექტი არ ჩამოთვლის ამომწურავ სიას იმ მიზეზებისა, რომლებიც შესაძლებელია საფუძვლად დაედოს პარტნიორის გარიცხვას, რამდენადაც მიზეზი შესაძლებელია იყოს ბევრი. თუმცა, აშკარაა, რომ მხოლოდ შესატანის განუხორციელობლობა არ შეიძლება გახდეს პარტნიორის კომპანიიდან გარიცხვის წინაპირობა. სანაცვლოდ, კანონპროექტი გვთავაზობს მაქსიმალურ მოქნილობას პარტნიორის გარიცხვის ნაწილში: მან შეიძლება მოიცავს ნებისმიერი ქმედება ან უმოქმედობა პარტნიორის მხრიდან, რაც ვნებს კომპანიის ინტერესებს;
- გარიცხული პარტნიორის საკუთრების უფლება დაცულია მოთხოვნით, რომ საბოლოო ინსტანცია პარტნიორის გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა, არის სასამართლო. აღსანიშნავია, რომ სასამართლოს მონაწილეობა აუცილებელია ნებისმიერი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში. ამდენად, კომპანის არ რჩება საშუალება, იმოქმედოს თვითნებურად.
- თუკი მოცემულ საქმეში, სასამართლოს ექნებოდა საშუალება, გამოეყენებინა კანონპროექტი, მას არ დასჭირდებოდა იმის განხილვა, რომ მნიშვნელოვანია კომპანიის წესდებაში შეტანილი ცვლილებების რეგისტრაცია. ნათელია, რომ ფორმალური პროცედურების დაცვა, რასაც სასამართლო მოითხოვს, საჭიროა, რათა დაცულ იყოს გარიცხული პარტნიორის უფლებები, რადგან თავად გარიცხვას აქვს სენსიტიური ფინანსური, ეკონომიკური და უფლებრივი ასპექტები; და
- აღსანიშნავია, რომ კანონპროექტი აძლევს კომპანიებს საშუალებას, თავად განსაზღვრონ გარიცხვის საფუძვლები, რაც ასევე მითითებული იყო ზემოთ განხილულ საქმეში. ამდენად, პოზიტიურია, რომ ქართული სასამართლოსა და კანონპროექტის ლოგიკა ამ ნაწილში თანხვედრაშია.

საქმე N2: საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმე N: ახ-171-164-2013

კომპანია ("კომპანია") შპს-ს სახით დარეგისტრირდა 1996 წელს. საწესდებო კაპიტალი განაწილებული იყო შემდეგნაირად: ერთ პარტნიორს ("პირველი პარტნიორი") ჰქონდა 85% წილი კომპანიაში, ხოლო მეორე პარტნიორს ("მეორე პარტნიორი") – 15%. 2007 წელს, კომპანიამ გადაწყვიტა, რომ გაერიცხა პირველი პარტნიორი. კომპანიის წესდების მე-7 მუხლის მიხედვით, პარტნიორს არ აქვს უფლება იმოქმედოს კომპანიის ინტერესების საწინააღმდეგოდ. კომპანია აცხადებდა, რომ პირველმა პარტნიორმა მოახდინა საკუთარი ძალაუფლების უზუპაცია, სთავაზობდა კაბალურ პხეპირობების მქონე ხელშეკრულებებს ქართულ მხარეს (ე.ი მეორე პარტნიორს). მისმა თვითნებურმა ქმედებებმა კომპანიას მიაყენა მნიშვნელოვანი ფინანსური ზიანი. ამასთან, ის იყო ჩაბმული რამდენიმე დავაში კომპანიის

წინააღმდეგ, რითიც უფრო მეტ ფინანსურ ზიანს აყენებდა კომპანიას. ასევე, ზიანდებოდა კომპანიის რეპუტაცია.

მოცემულ საქმეში, განსახილველი იყო ისპარტნიორის კომპანიიდან გარიცხვის საკითხი და წილების გადაცემის პროცედურა.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მეწარმეთა შესახებ კანონი ადგენს პარტნიორის გარიცხვის მხოლოდ ერთ წინაპირობას: შესატანის განუხორციელებლობა. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მხოლოდ ის ფაქტი, რომ პირველი პარტნიორი ცდილობდა საკუთარი უფლებების დაცვას სასამართლოსთვის მიმართვის გზით, არ შეიძლება ცაითვალოს პარტნიორის გარიცხვის საფუძვლად. ამასთან, რაც შეეხება ძალაუფლების უზურპაციას, სასამართლომ განმარტა, რომ მხარეთა უფლებები და ვალდებულებები გამოხატულია კომპანიის წესდებაში, რომელიც არის იურიდიული კოკუმენტი, ხელმოწერილი მხარეთა მიერ მათი ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე. ამდენად, ასეთი უფლებებისა და ვალდებულებების რეალიზაცია ვერ ჩაითთვლება ხელმძღვანელობითი ძალაუფლების უზურპაციას.

ზემოთ მოცემული ანალიზი პირველ საქმეზე, სრულად შეიძლება გამოყენებულ იქნას მეორე საქმეზე.

დასკვნა

რამდენადაც პარტნიორის გარიცხვამ შესაძლებელია იმოქმედოს კომპანიის შესაძლებლობაზე წარმატებულად განაგრძოს ბიზნესსაქმიანობა, ეს საკითხი სენსიტიურია (რამდენადაც ეხება პარტნიორთა საკუთრების უფლებას) და საჭიროებს ვრცელ და ნათელ რეგულირებას. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოების დისკრეცია პარტნიორის გარიცხვის საკითხზე მიიღოს გადაწყვეტილება, გაზრდის სასამართლოთა ლეგიტიმაციას. თუკი მეწარმეთა შესახებ კანონის საფუძველზე, სასამართლოს ამჟამად შეუძლია მხოლოდ იმსჯელოს პარტნიორის გარიცხვაზე შესატანის განუხორციელებლობის ჭრილში, კანონპროექტი საშუალებას მისცემს სასამართლო ორგანოს, უფრო მეტი მოქნილობით იმსჯელოს და შეაფასოს მხარეთა ქცევა და საკუთარი გადაწყვეტილება სწორედ მათ დააყრდნოს. საკუთრების უფლებისა და ბიზნეს ინტერესების კუთხით, ვფიქრობთ, რომ სასამართლო ან ნებისმიერი სხვა დაგეგმვის გადამწყვეტი ორგანო არის აუცილებელი იმისთვის, რომ დაბალანსდეს აღნიშნული ინტერესები.